ნანა იოსელიანი
სოფიო ქებურია
მაია იოსელიანი

2

ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს.

სულაკაურის
გამომცემლობა

ხელოვნება 2
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია, მაია იოსელიანი**

რედაქტორი **ვერიკო ენუქიძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-431-6

ART 2
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2023
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება....6

I-IV კლასების სტანდარტი, დაწყებითი საფეხური....6

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები....7

სამიზნე ცნებები და მათი მკვიდრი წარმოდგენები....8

თემატური ბლოკები და მათი მკვიდრი წარმოდგენები დაწყებით საფეხურზე....9

სავალდებულო თემატური ბლოკები....10

ცნებები და ქვეცნებები....10

შესავალი....11

კომპლექსური დავალებების გზამკვლევი....14

თემატური მატრიცა 1....21

თემატური მატრიცა 2....42

თემატური მატრიცა 3....53

თემატური მატრიცა 4....67

თემატური მატრიცა 5....86

თემატური მატრიცა 6....99

თემატური მატრიცა 7....111

შემაჯამებელი გაკვეთილი, მე უკვე ვიცი... 122

დანართი....123

მოსწავლის წიგნის სარჩევი

ბუნების ფერები

1. პეიზაჟი **6**
2. ცივა თუ თბილა **10**
3. სახელოსნო **12**
4. შემოდგომა **14**
5. სახელოსნო **16**
6. ზამთარი **18**
7. გაზაფხული **20**
8. სახელოსნო **22**
9. ზაფხული **24**
რა ვისწავლე? **26**

ამბავი ნივთებზე

10. ნივთები ჩვენ გარშემო **30**
11. უძველესი ქურჭელი **32**
12. ფორმა **34**
13. სახელოსნო **36**
14. მოხატული თეფშები **40**
რა ვისწავლე? **41**

მხატვრები ხატავენ ნივთებს

15. ნატურმორტი **44**
16. ჩვეულებრივი ნივთები **48**
17. ნივთები და ფორმა **50**
18. სახელოსნო **52**
19. აპლიკაციის სახელოსნო **54**
რა ვისწავლე? **56**

მხატვრები ხატავენ ბავშვებს

20. რას გვიამბობს პორტრეტი. **60**
21. რა შეიცვალა? **64**
22. როგორ დავხატო ადამიანი **66**
23. მივიწყებული თამაში **68**
24. თამაშების ენციკლოპედია. **70**
25. ნაცნობი თამაშები **72**
26. როცა სახლში ვარ **74**
რა ვისწავლე? **78**

სათამაშო

27. სათამაშო თუ ქანდაკება? **82**
28. უძველესი სათამაშო. **84**
29. პაულ კლეეს თოჯინები **86**
30. გაიცანი ალექსანდრ კალდერი **88**
31. კოპლების სამყარო. **90**
რა ვისწავლე? **92**

არქიტექტორობანა

32. რისთვის ვაშენებთ? **96**
33. რით ვაშენებთ?. **98**
34. სახელოსნო. **100**
35. მხიარული შენობები **102**
36. სათამაშო მოედანი. **104**
რა ვისწავლე? **106**

ჩემი საყვარელი წიგნი

37. წიგნი სამყაროს შესახებ. **110**
38. ილუსტრაცია. **112**
39. მეზღაპრე და მხატვრები **114**
40. დედაენა. **118**
41. ბალთუსის კატის ამბავი **120**
რა ვისწავლე? **122**

მე უკვე ვიცი **124**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

I-IV კლასების სტანდარტი, დაწყებითი საფეხური (1-4 კლ.)

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი		
შედეგების ინდექსები	**სტანდარტის შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგი: 1, 3, 4) **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგი: 2, 3, 4) **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** (შედეგი: 1,2,3,4) **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** (შედეგი: 1,2,3,4)
ს.გ.დაწყ.(I).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	
ს.გ.დაწყ.(I).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	
ს.გ.დაწყ. (I).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	
ს.გ.დაწყ.(I).4.	ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ.)	
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):** **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის მსხვილი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური; კონტური, შტრიხი); **ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული, ტონი, ნახევარტონი);** **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული). **ფაქტურა. ფონი.** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):** რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები:** პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.

სამიზნე ცნებები და მათი მკვიდრი წარმოდგენები

I-IV კლასები	
სამიზნე ცნებები	**ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებსა (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.).
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.

თემატური ბლოკები და მათი მკვიდრი წარმოდგენები დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები):

თემატური ბლოკები	მკვიდრი წარმოდგენები
მე და გარესამყარო	● მე სამყაროს ნაწილი ვარ, მისგან ბევრი რამის სწავლა შემიძლია; ● ხელოვნებას საზღვრები არ აქვს, იგი მთელ სამყაროს აერთიანებს; ● ქართული/სხვა ერების ხელოვნების შესწავლით უკეთ შეიძლება გაიგო, შენ ვინ ხარ და რა ადგილი გაქვს სამყაროში; ● მეც შემიძლია გარესამყაროს შეცვლა ხელოვნების საშუალებით; ● გარესამყაროს მრავალფეროვნება და ჩემი მისდამი დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით შემიძლია გადმოვცე; ● თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი დამოკიდებულება სამყაროსადმი ხელოვნების გზით, სრულიად განსხვავებულად შეიძლება გამოვხატოთ.
ადამიანები და ხელოვნება	● ხელოვნება ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს; ● ხელოვნების საშუალებით ადამიანებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრებაზე, ბევრი რამის გაგება შეიძლება; ● ხელოვნება ეხმარება ადამიანებს, უკეთ გაუგონ ერთმანეთს და დაეხმარონ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრაში; ● ხელოვნების საშუალებით შეიძლება გავიგოთ, როგორები იყვნენ ადამიანები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში; ● ხელოვნების საშუალებით საკუთარი თავის, სხვების და გარესამყაროს უკეთ გაცნობაა შესაძლებელი.
ხელოვნება ჩვენ გარშემო	● ხელოვნება ადამიანის არსებობიდან დღემდე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; ● ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან; ● ხელოვნება ჩვენ გარშემო ბევრგან და სხვადასხვა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ; ● რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ყველაფერი ხელოვნება არ არის; ● ხელოვნება სხვადასხვა დარგად იყოფა. ზოგიერთი დარგის ნიმუში როგორც შესაბამისი დარგის სპეციალისტმა, ისე ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება შექმნას; ● ხელოვნება ჩემ გარშემო ისეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა.

სავალდებულო თემატური ბლოკები

დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დამუშავდეს სამივე თემატური ბლოკი, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს თემებისა და ქვეთემებისგან. დასაშვებია მათი რამდენჯერმე გამეორებაც. თემა/ქვეთემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ შინაარსიან კონტექსტს (თემის/ქვეთემის დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელებებს), რომელიც იძლევა სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სიღრმისეულად დამუშავების საშუალებას.

თემატური ბლოკები:

- **მე და გარესამყარო;**
- **ადამიანები და ხელოვნება;**
- **ხელოვნება ჩვენ გარშემო.**

ცნებები და ქვეცნებები

II კლასი	
სამიზნე ცნებები	**ქვეცნებები**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**საშუალებები:** **ხაზი** (მსხვილი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური, კონტური). **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი). **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული. **ხერხები:** რიტმი, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები:** პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი და სხვ.

შესავალი

მოსწავლის წიგნთან დაკავშირებით:

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია, შევაყვაროთ ბავშვებს ხელოვნება, ვასწავლოთ მშვენიერების აღქმა, გავუღვივოთ ინტერესი შემოქმედების მიმართ და გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე და ინიციატორი.

სახელმძღვანელო გთავაზობთ სამივე სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამის თემებს. თემების თანმიმდევრობა აგებულია იმგვარად, რომ ყოველი შემდგომი თემა ეფუძნება და ავითარებს წინა თემაში შესწავლილ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. ამასთანავე, შემოდის ახალი ცნებები და ქვეცნებები. შესაბამისად, ყოველი თემის შესწავლისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება ამზადებს მოსწავლეს ახალი სამიზნე ცნებისა და შესაბამისი ქვეცნების ათვისება-გააზრებისთვის. წლის ბოლოს მოსწავლეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დაშენებული გამოცდილების შედეგად, უყალიბდება სამყაროს შესახებ ადეკვატური მკვიდრი წარმოდგენები.

დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით I-II კლასების მოსწავლეებს დიდი მოცულობის ტექსტის წაკითხვა უჭირთ. მოსწავლის სახელმძღვანელოში ტექსტების მოცულობა, შესაძლოა, აღემატება მოსალოდნელს, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ინტერესდებიან შვილების სწავლით, სურთ, დაეხმარონ პატარებს სირთულეების დაძლევაში. მხოლოდ ილუსტრაციითა და ორიოდე სიტყვით მიწოდებული მასალა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მშობელი საქმის კურსში ჩავაყენოთ. გასათვალისწინებელია ის, რომ მას არ აქვს მასწავლებლის წიგნი, საიდანაც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებდა. ამიტომაც, ხშირად მშობლები უკმაყოფილებას გამოხატავენ საგნის სწავლების მიმართ. ავტორებმა თავს უფლება მივეცით, მოსწავლის წიგნში მოსალოდნელზე მეტი მოცულობის ტექსტები ჩაგვედო, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-მშობელი-მასწავლებლის თანამშრომლობას.

მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებით:

მასწავლებლის წიგნში თემის შესწავლა დაყოფილია ნაბიჯებად. ზოგიერთი ნაბიჯი მოიცავს რამდენიმე გაკვეთილს, რადგან ისინი ერთსა და იმავე ცნებებსა და ქვეცნებებს მიემართება. ყოველი შემდგომი ნაბიჯი იწყება იქ, სადაც შემოდის ახალი სამიზნე ცნება და მისი შესაბამისი ქვეცნება, რომელიც ორიენტირებულია ახალი მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბებაზე.

მასწავლებლის წიგნში აქტივობები გაწერილია დაწვრილებით: ცოდნის გასამყარებელ, სააზროვნო უნარებისა და რეფლექსიის განმავითარებელ შეკითხვებს ახლავს სავარაუდო პასუხები; ყოველ პრაქტიკულ სამუშაოს – მასალის ჩამონათვალი, ეტაპობრივი მითითებები, რჩევები.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ნატიფი მოტორიკის განვითარებას; კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ჩამოყალიბებას. აქტივობები ორიენტირებულია დაკვირვებაზე, მსჯელობაზე, ინტერპრეტაციასა და შედარებაზე; ასევე არის თამაშები, ექსპერიმენტები, პრაქტიკული სავარჯიშოები და შუალედური დავალებები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებისთვის. მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებულ შუალედურ აქტივობებს ახლავს რეფლექსიის კითხვებიც, რადგან შუალედური ნაბიჯები, ფაქტობრივად, არის „რეპეტიცია“, წინასწარი გავარჯიშება კომპლექსური დავალების შესრულება-წარდგენისთვის, რეფლექსიის კითხვებზე პასუხის გაცემა შეამზადებს მოსწავლეს პრობლემის წარმატებულად დაძლევისთვის, შესაძლო სტრესის შესამცირებლად და SOLO ტაქსონომიის მიმართებითი დონის მიღწევისთვის.

*დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია აქტივობების გართულება ან გამარტივება დავალების პირობაში არსებული კომპონენტების დამატებით ან მოკლებით.

ყოველ გაკვეთილს წინ უძღვის სამოტივაციო საუბარი/წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები, რაც შეამზადებს მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს გაკვეთილის მსვლელობაში.

თითქმის ყოველი ნაბიჯის დასასრულს დასმულია ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, თავი მოუყარონ მიღებულ ცოდნას/გამოცდილებას. ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები არ ერთვის მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომლებიც სრულდება შუალედური დავალებებით, რადგან შუალედურ დავალებებს მოსდევს თავისი რეფლექსიის კითხვარი, რომელიც ისედაც აჯამებს მიღებულ გამოცდილებას/ცოდნას.

ყოველ ნაბიჯს ერთვის საილუსტრაციო მასალის, ვიდეოგაკვეთილების ან აუდიოჩანაწერების აქტიური ინტერნეტ-ბმულები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს მასალის ათვისებაში, გაუხალისებს და გაამრავალფეროვნებს გაკვეთილს.

ზოგიერთ გაკვეთილს ერთვის ლექსიკონი – ასათვისებელი ტერმინები განმარტებებითურთ.

მოსწავლის წიგნში მოცემულ ეტაპობრივ ფოტოინსტრუქციებს მასწავლებლის წიგნში ემატება დაწვრილებითი აღწერა.

მასწავლებლის წიგნი სრულდება დანართით, რომელშიც მოცემულია დასაქსეროქსებელი თარგები.

სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა, შეგვემოწმებინა ჩვენ მიერ დაგეგმილი გაკვეთილები უშუალოდ საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები დაგეგმილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს შეუძლია, მოარგოს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული იდეები საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია შემოთავაზებულ აქტივობებში ცვლილებების შეტანა – სხვა მასალის ან ტექნიკის გამოყენება ან განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მსგავსი ან სხვადასხვა სირთულის აქტივობების შერჩევა.

გაკვეთილებს ახლავს რამდენიმე აქტივობა შეკითხვებისა და პრაქტიკული დავალებების სახით.

I-II კლასების მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეკითხვების შემცველი დავალებების მიზანია, ვასწავლოთ ბავშვებს ხელოვნების ნიმუშების აღქმა. დავალებები აიძულებენ მათ, ყურადღებით დააკვირდნენ ილუსტრაციას, აღმოაჩინონ, დაფიქრდნენ, შეაფასონ, გამოიმუშაონ საკუთარი ემოციური და კოგნიტური დამოკიდებულება, რაც მომავალში მიაჩვევს მათ სამყაროს არა ზედაპირულ, არამედ საფუძვლიან, გააზრებულ აღქმას.

რეკომენდაცია

სახელმძღვანელოში ყველა აქტივობისთვის საჭირო მასალა და აღჭურვილობა შერჩეულია მაქსიმალური ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, მათი გამოყენების წინ მასწავლებელმა აუხსნას/შეახსენოს მოსწავლეებს გამოყენების წესები.

თემატური მატრიცის სტრუქტურა

- კლასი;
- თემატური ბლოკი;
- თემა;
- თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები;
- სამიზნე ცნებები და ქვეცნებები;
- საკითხი;
- საკვანძო შეკითხვები;
- კომპლექსური დავალების პირობა;
- შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული);
- კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები).

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა;

- განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად;
- რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად;
- კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები.

ეტაპი II: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა;

ნაბიჯები შეიცავს:

- კონკრეტული დავალების მიზნებს;
- მოსალოდნელ შედეგებს და ინდიკატორებს;
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს;
- სამოტივაციო სასაუბრო ტექსტს და/ან შეკითხვებს წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის;
- აქტივობისთვის საჭირო მასალის ჩამონათვალს;
- აქტივობის აღწერას;
- აქტივობასთან/შუალედურ დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს და შესაბამის პასუხებს;
- გაკვეთილის შემაჯამებელ კითხვებს.

ეტაპი III: კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (მოსწავლის წიგნში „რა ვისწავლე?“):

შეფასებები: განმავითარებელი, SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

კლასი: II **საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება**			
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო		**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**კომპლექსური დავალების პირობა/იდეა**
1	**თემა:** ბუნების ფერები (გაკვეთილები 1-9) საათების სავარაუდო რაოდენობა: 9 + 3	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნება:** ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** შერეული ტექნიკა: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნება:** პეიზაჟი.	**პეიზაჟი „წელიწადის ჩემი საყვარელი დრო“** შექმენი პეიზაჟი, რომელიც ასახავს შენს საყვარელ წელიწადის დროს მისთვის დამახასიათებელი ფერებით (ცივი, თბილი, ღია ან მუქი). პეიზაჟის დასახატად გამოიყენე შერეული ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია). **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა გააკეთე? ● წელიწადის რა დროს ასახავს შენი პეიზაჟი? ● როგორ გადმოეცი წელიწადის ეს დრო? ● რომელი ფერებით გადმოეცი სიცივე/სითბო? ● რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე წელიწადის ამ დროის გადმოსაცემად? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა იყო ყველაზე რთული? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო			
2	თემა: ამბავი ნივთებზე (გაკვეთილები 10-14) საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 + 3	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნება:** ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი (3D); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება:** ძერწვა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** გამოყენებითი ხელოვნება;	**ჩემი ნახელავი** ● ნებისმიერი საძერწი მასალით გააკეთე ჭურჭელი. ● გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმები. ● გაალამაზე ნივთი ნახატით, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა გააკეთე? ● რა მასალით და ტექნიკით გააკეთე? ● როგორი ფორმა აქვს შენს ნახელავს? ● რით გაალამაზე შენი ნაკეთობა? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა იყო ყველაზე რთული? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო			
3	**თემა:** მხატვრები ხატავენ ნივთებს გაკვეთილები 15 – 19 საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 + 3	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** **საშუალებები:** ხაზი (კონტური), ფერი (ცივი, თბილი, ღია, მუქი), ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული); ფონი; **ხერხები:** ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** შერეული ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნება:** ნატურმორტი.	**ნატურმორტი შერეული ტექნიკით.** გააწყვე სუფრა. ● ჟურნალებიდან ამოჭრილი და შენ მიერ დახატული საგნებით გააწყვე სუფრა. ● გამოიყენე გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები. ● შეურჩიე ნატურმორტს ცივი ან თბილი, ღია ან მუქი ფერის ფონი; ● დაფიქრდი, როგორ აჯობებს ფურცელზე მათი დაწყობა – სიგრძეზე თუ სიგანეზე. ლამაზად გაანაწილე გამოჭრილი დეტალები ფონზე; ● დაამატე შენ მიერ დახატული ან ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ხილი, ბოსტნეული ან ყვავილები; ● გამოკვეთე ფორმები კონტურით; ● მიახატე აპლიკაციას მაგიდა და სხვა დეტალები; ● გაუკეთე სურათს ფერადი ჩარჩო. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა ნამუშევარი შექმენი? ● რა **ტექნიკით** შეასრულე შენი **ნატურმორტი**? ● რა საგნების **ფორმები** გამოჭერი და რა დეტალები მიახატე? ● როგორ **განალაგე** საგნები სურათზე – **გრძივად** თუ **განივად**? ● რაში დაგეხმარა **კონტური**? ● როგორი **ფერებია** შენს ნატურმორტზე – **ცივი** თუ **თბილი**, **ღია** თუ **მუქი**? ● რა **ფერი** შეურჩიე ნამუშევარს **ფონად** და რატომ? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ადვილი? რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება			
4	**თემა:** მხატვრები ხატავენ ბავშვებს (გაკვეთილები 20-26) საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 + 3	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება; ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება:** ხატვა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნებები:** პორტრეტი, ყოფითი ჟანრი.	**ვარიანტი 1:** **ალბომი „თამაშების ენციკლოპედია“.** ● **დახატე** შენი საყვარელი თამაშის ამსახველი სურათი. გამოსახე ბავშვები თამაშისთვის დამახასიათებელ პოზებში. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი **განივი ან გრძივი განლაგება**. ● ნახატს მიაწერე თამაშის წესები. შეაგროვეთ ნახატები და ჩააკარით ერთ ალბომში. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა თამაში დახატე? ● როგორ გადმოეცი თამაშის შესაბამისი მოძრაობები? ● როგორი განლაგება შეარჩიე შენი სურათისთვის – გრძივი თუ განივი და რატომ? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გაგიადვილდა/გაგიძნელდა? ● რას შეცვლიდი? **ვარიანტი 2:** **„მე – რაინდი/პრინცესა“** წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი ან პრინცესა. შენმა **პორტრეტმა** სასახლის კედელი უნდა დაამშვენოს. **დახატე** ავტოპორტრეტი, რომელზეც შენს თავს ძველ დროში მცხოვრებ ბავშვს მიამსგავსებ. გამოსახე შენი თავი ძველი დროის შესაბამისი სახასიათო ნიშნებით: ტანსაცმლით, ვარცხნილობით, პოზით. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, **განივი ან გრძივი განლაგება.** **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა **დახატე**? ● რა ჩააცვი შენს გმირს? ● როგორ გადმოეცი, რას აკეთებს ის? ● როგორ პოზაში დააყენე ის? ● როგორი **განლაგება** შეარჩიე შენი სურათისთვის – **გრძივი თუ განივი** და რატომ? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გაგიადვილდა /გაგიძნელდა? ● რას შეცვლიდი?

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო			
5	**თემა:** სათამაშო (გაკვეთილები 27-31) საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+3	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი), ხაზი (სხვადასხვა ტიპის); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება;	**სათამაშოების გამოფენა** ● დაამზადე სათამაშო (თოჯინა, მანქანა ან ცხოველი). გამოიყენე სხვადასხვა მასალა (პლასტილინი, თიხა, მუყაო, ბოთლის თავსახურები, საცობები, ღილები, საქსოვი ძაფები, ზამბარა, ნაყინის ჯოხები, მაქმანები, ლენტები და სხვა უსარგებლო ნარჩენები) და **ტექნიკა** (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება, ხატვა). ● ნაკეთობაში გამოიყენე **გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული** სხვადასხვა **სივრცითი (3D) ფორმა**. ● მოხატე სათამაშო სხვადასხვა ტიპის **ხაზით**. მოაწყეთ მოაწყვეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენა. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა სათამაშო გააკეთე? ● რა **მასალა** და **ტექნიკა** გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად? ● რა **ფორმები** გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად? ● როგორი **ხაზებით** მოხატე სათამაშო? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო			
6	**თემა:** არქიტექტორობანა (გაკვეთილები: 32-36) საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სივრცითი 3D); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** კონსტრუირება, მოდელირება, აპლიკაცია; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** არქიტექტურა	**მხიარული ქალაქი** **კომპლექსური დავალების პირობა:** ● მუყაოს კოლოფებით, რულონებით, პლასტილინით და სხვა მასალით გააკეთე არქიტექტურული მაკეტი: სახლი, კოშკი ან ტაძარი. ● გაუკეთე შენობას სხვადასხვა ფორმის (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) დეტალები (სახურავი, კარი, ფანჯარა...). ● მოხატე ან აპლიკაციის ტექნიკით გაალამაზე შენი მაკეტის კედლები და სახურავი. ამისთვის გამოიყენე შენ მიერ შეგროვილი სხვადასხვა მასალა (ღილები, საცობი, საწრუპავი, ნიჟარები, მარცვლეული და სხვა), ხაზი (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), ან მრგვალი, ოთხკუთხა, სამკუთხა და სხვა ფორმები. ● შენი და მეგობრების მიერ გაკეთებული მაკეტებით ააწვეთ მხიარული ქალაქი. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა გააკეთე? ● რა მასალით „ააშენე“ მაკეტი? ● რა და რა ტექნიკა გამოიყენე? ● რისთვის გამოიყენე **ხაზები და ფორმები**? ● რითი გაალამაზე შენობა? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველად, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება			
7	**თემა:** ჩემი საყვარელი წიგნი (გაკვეთილები: 37 -41) საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 + 2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის, კონტური), ფერი; ძირითადის გამოყოფა; ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება:** ხატვა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება:** მხატვრობა.	**„დასურათებული ამბები“** დაასურათე რომელიმე ზღაპარი, მოთხრობა ან საკუთარი თავგადასავალი. **დახატე** სამი სხვადასხვა ეპიზოდის **ილუსტრაცია** – ამბის დასაწყისი, შუა და დასასრული. გადმოეცი პერსონაჟების სახასიათო ნიშნები (გარეგნობა, ჩაცმულობა). ● გმირები დახატე მოქმედების შესაბამის პოზებში. ● დახატე მოქმედება ოთახში ან პეიზაჟის ფონზე. ● გამოიყენე ნახატში სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური. ● გამოყავი მთავარი გმირი რაიმე ხერხით: ფერით, ზომით, კონტურით. ● დაამატე ნახატს ისეთი დეტალები, რომლებიც დაზუსტებენ ამბის შინაარსს. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა ამბავი დაასურათე? ამბის რომელი ეპიზოდების **ილუსტრაციები დახატე**? ● ვინ არის ამბის მთავარი გმირი? ● რა ხერხით გადმოეცი მთავარი გმირის სახასითო ნიშნები? ● რა **ხერხით** გამოყავი მთავარი გმირი? ● რა ჩააცვი შენს გმირებს? ● რას აკეთებენ ამბის გმირები? ● როგორ პოზებში დახატე ისინი? ● სად ხდება მოქმედება – ოთახში თუ პეიზაჟის ფონზე? ● რა დეტალებით გაამდიდრე ნახატი? ● რაში დაგეხმარა **კონტური**? ● რაში დაგეხმარა **ფერი**? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემატური მატრიცა 1

კლასი: II

თემატური ბლოკი 1: მე და გარესამყარო

თემა: ბუნების ფერები

გაკვეთილები 1 – 9 | საათების სავარაუდო რაოდენობა: 9 + 3

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილებები, ემოციები, იდეები შემიძლია ავსახო სხვადასხვა დარგის და ჟანრის ნამუშევარში;
- გარემოს ფერადოვნება შეიძლება გადმოვცე მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებით, ხერხებით, მასალითა და ტექნიკით.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები – საშუალებები:

ფერი (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი, ღია და მუქი);

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა –

ქვეცნებები – შერეული ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია);

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები:

ქვეცნება – მხატვრობა;

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები:

ქვეცნება – პეიზაჟი.

საკითხი – ბუნების მრავალფეროვნების და მისგან მიღებული შთაბეჭდილებების ნამუშევარში ასახვა.

საკვანძო შეკითხვები:

- რას გვიამბობს ხელოვნება გარესამყაროზე?
- როგორ გადმოსცემენ ხელოვანები ბუნებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს?
- როგორ გამოვიყენო სახვითი საშუალებები, ხერხები, სხვადასხვა მასალა და ტექნიკა ბუნების მრავალფეროვნების და მისგან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოსაცემად?

კომპლექსური დავალების პირობა:

პეიზაჟი „წელიწადის ჩემი საყვარელი დრო“

შექმენი **პეიზაჟი**, რომელიც ასახავს წელიწადის შენს საყვარელ დროს მისთვის დამახასიათებელი ფერებით. პეიზაჟის დასახატად გამოიყენე შერეული **ტექნიკა** (**მაგ.**, ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია).

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● წელიწადის რა დროს ასახავს შენი პეიზაჟი? ● როგორ გადმოეცი წელიწადის ეს დრო? ● რომელი ფერებით გადმოეცი სიცივე/სითბო? ● რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე წელიწადის ამ დროის გადმოსაცემად? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა იყო ყველაზე რთული? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ბუნება გვაოცებს და გვხიბლავს. ის სულ იცვლება – წელიწადის სხვადასხვა დროს, დღისით და ღამით, სხვადასხვა ამინდში, ცხელი უდაბნოდან ყინულოვან არქტიკამდე. ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს სამყაროს. ყოველი მხატვარი განსხვავებულად გადმოგვცემს იმას, რასაც ხედავს. შენც სცადე და ნახატით გვიამბე ბუნების სილამაზით მიღებული შთაბეჭდილება.

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

სახელმძღვანელო – გაკვეთილები 1 – 9;
ილუსტრაციები: ვერა ფაღავა, კამილ პისარო, ვინსენტ ვან გოგი, ელენე ახვლედიანი, ჯორჯია ო'კიფი, უტაგავა ჰიროშიგე, დევიდ ჰოკნი, კლოდ მონე.

ინტერნეტის რესურსები:

ტელესკოლა, თბილი და ცივი ფერები: https://www.youtube.com/watch?v=zSCdKAVIv8A

კამილ პისაროს პეიზაჟები:

https://www.camille-pissarro.org/the-complete-works.html?q=landscapes&ps=96
ტელესკოლა, თბილი და ცივი ფერები:

https://www.youtube.com/watch?v=zSCdKAVIv8A&t=803s

პეტრე ჩაიკოვსკის „ოქროს შემოდგომა" (4 წუთი):

https://www.youtube.com/watch?v=BQVd_N1xdVM

იოჰან სებასტიან ბახი, „შემოდგომა" (3. წთ.):

https://www.youtube.com/watch?v=GrT_Z39jG_Q

ფრედერიკ შოპენი, „ზამთრის ქარი" (4 წუთი):
https://www.youtube.com/watch?v=6D6wfcMbHf8

გაკვეთილი 6, აქტივობის ვიდეოინსტრუქცია:

https://www.youtube.com/watch?v=LZStGG-Rdkc

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- რომელია შენი საყვარელი წელიწადის დრო?
- როგორი ფერები ახასიათებს წელიწადის სხვადასხვა დროს?
- რა ფერები მოუხდება სიცივეს/სითბოს?
- გიცდია, ნამუშევარში ბუნების სილამაზის ასახვა?

ეტაპი II: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 1, ორი განშლა)

1. პეიზაჟი

პეიზაჟის ჟანრის გაცნობა, წლის სხვადასხვა დროის ამსახველ პეიზაჟებზე დაკვირვება

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ძირითადი და შედგენილი).

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო – კამილ პისაროს პეიზაჟები.

https://www.camille-pissarro.org/the-complete-works.html?q=landscapes&ps=96

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ბუნება გვაოცებს და გვხიბლავს. ცხელი უდაბნოდან ყინულოვან არქტიკამდე ის არასდროს მეორდება. დაკვირვებიხარ, როგორ იცვლება ბუნება – წელიწადის სხვადასხვა დროს, დღისით და ღამით, სხვადასხვა ამინდში? ბუნების ცვლილებას მხატვრებიც აკვირდებიან და ნახატებში იმას გადმოგვცემენ, რაც შეამჩნიეს. ჩვენ ყველანი სხვადასხვა რამეს ვამჩნევთ, თავისებურად აღვიქვამთ სამყაროს. რას ამჩნევ შენ, როდესაც ბუნებას აკვირდები?

პირველი განშლა:

ლექსიკონი:

პეიზაჟი – გარემოს ხედი.

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა:

დააკვირდი კამილ პისაროს პეიზაჟებს:

- რა დახატა მხატვარმა?
- რომელია ქალაქის პეიზაჟი?
- რომელია სოფლის პეიზაჟი?
- რა ნიშნით მიხვდი?

პასუხი: პირველ სურათზე ასახულია ქალაქი. ქალაქში მაღალი შენობები და განიერი ხიდია. მეორე სურათი სოფლის პეიზაჟია. აქ ბევრი მცენარეა.

აქტივობა 2, 3. დაკვირვება, შედარება, მსჯელობა:

ჩამოთვალე წელიწადის დროები.

- როგორ იცვლება ბუნება წელიწადის სხვადასხვა დროს?
- შეადარე ერთმანეთს კამილ პისაროს პეიზაჟები.
- რას ხედავ?
- რა არის მთავარი? (გარემოს ხედი. ადამიანები არ არის მთავარი)
- როგორ ფერებს ხედავ?
- წელიწადის რომელ დროს გაგონებს ეს ფერები?

დააკვირდი სოფლის პეიზაჟებს:

- რომელი ფერია მთავარი თითოეულ მათგანში?

პასუხი: ზაფხულს მოსდევს შემოდგომა. მწვანე ფერებს მოყვითალო ფერები ანაცვლებს. ზაფხულის პეიზაჟში სჭარბობს მწვანე ფერები. შემოდგომის პეიზაჟში სჭარბობს მოყვითალო და ნარინჯისფერი.

მეორე განშლა:

აქტივობა 4, 5. დაკვირვება, შედარება, მსჯელობა:

დააკვირდი კამილ პისაროს პეიზაჟებს:

- რა დახატა მხატვარმა? (სოფლის/ქალაქის პეიზაჟი)
- წელიწადის რომელი დრო დახატა მხატვარმა? (ზამთარი/გაზაფხული)
- რომელი ფერია მთავარი და რატომ?
- რით განსხვავდება ზამთრის პეიზაჟები ერთმანეთისგან?
- რით განსხვავდება გაზაფხულის პეიზაჟი ზამთრის პეიზაჟისგან?

პასუხი: ზამთრის და გაზაფხულის პეიზაჟებში სჭარბობს თეთრი, მაგრამ ზამთრის ხედებში თეთრი დაწყვილებულია ცისფერთან, რაც სიცივის შეგრძნებას იწვევს.
გაზაფხულის ხედებში მცენარეების სიმწვანე სითბოს შთაბეჭდილებას ქმნის. ზამთრის პეიზაჟებზე ხეები შიშველია, გაზაფხულისაზე კი – აყვავებული.

*დასასრულს მოსწავლეები ათვალიერებენ კამილ პისაროს პეიზაჟებს ზემოთ მითითებულ ბმულზე და მსჯელობენ ფერების შესახებ.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეიტყვე ახალი?
- რომელი ფერები სჭარბობს წელიწადის სხვადასხვა დროს?
- შეამჩნიე, რა ფერებით გადმოგვცემენ მხატვრები სიცივეს და სითბოს?

ნაბიჯი 2.

2. ცივა თუ თბილა

ცივი და თბილი ფერების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ცივი, თბილი);
2. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
3. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო – ვინსენტ ვან გოგის პეიზაჟები;
ტელესკოლა, თბილი და ცივი ფერები:
https://www.youtube.com/watch?v=zSCdKAVIv8A&t=803s

ფერების სქემა:

თბილი ფერები:

ცივი ფერები:

ფერის ბორბალი და მისი დანაყოფები:

1. ძირითადი ფერები; 2. შედგენილი ფერები; 3. თბილი ფერები; 4. ცივი ფერები.



იდეები აქტივობებისთვის:

დისკუსია თემაზე „ცივი და თბილი ფერები“.

სამოტივაციო თამაში:

მასწავლებელი ჩამოთვლის სიტყვებს, მოსწავლეები პასუხობენ, თუ რა ფერები ახსენდებათ ამ სიტყვების გაგონებაზე: მაგ.: ყინული, წყალი, მზე, ცეცხლი, ცა...

- რომელი ფერები გაგონებს სიცივეს/სიგრილეს?
- რომელი ფერები გაგონებს სითბოს/სიცხეს?
- რას დაარქმევდი ფერებს, რომლებიც სიცივეს გაგონებს? როგორ დაახასიათებდი?
- რას დაარქმევდი ფერებს, რომლებიც სითბოს გაგონებს?

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა:

დააკვირდი ფერების ბორბალს. შეადარე სამფერა ნიმუშებს:

- რის მიხედვითაა დაჯგუფებული ფერები?
- იპოვე ძირითადი, შედგენილი, ცივი და თბილი ფერების ნიმუშები.

აქტივობა 2. დაკვირვება:

გადახედე სახელმძღვანელოს:

- იპოვე, რომელ სურათშია მთავარი ცივი ფერები?
- რომელ სურათშია მთავარი თბილი ფერები?

აქტივობა 3. დაკვირვება, შედარება, მსჯელობა:

დააკვირდი ვინსენტ ვან გოგის პეიზაჟებს:

- რომელ სურათში სჭარბობს ცივი ფერები?
- რომელში სჭარბობს თბილი ფერები?
- რომელი ფერია მთავარი თითოეულ სურათში?
- რომელი სურათი ასხივებს სითბოს?
- რომელში გრილა?

პასუხი: პირველ სურათში ვხედავთ გავარვარებულ მზეს, რომლის მცხუნვარება თითქოს გარშემო ყველაფერს ადნობს. აქ ხეები მწვანე ფოთლებითაა შემოსილი. შორს ჩანს ცისფერი მთები, მაგრამ მზისგან წამოსული მხურვალება მათ ერევა. სურათში მთავარი ფერებია ნარინჯისფერი და ყვითელი. ამ პეიზაჟში ძალიან ცხელა.

მეორე სურათში მთავარია ცივი ფერები: ლურჯი და მწვანე. აქ ცივ ფერებს ერევა ცოტა მოყვითალო, მაგრამ ცივი ფერები ჯაბნის. აქ სიგრილეა.

*დასასრულს მოსწავლეები უყურებენ ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილს მითითებულ ბმულზე და მსჯელობენ ნანახის შესახებ.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა გაიგე დღეს ახალი?
- რომელი ფერებია ცივი?
- რომელი ფერებია თბილი?
- რა შთაბეჭდილებას ახდენს სურათი, რომელშიც თბილი ფერები სჭარბობს?
- რა შთაბეჭდილებას ახდენს სურათი, რომელშიც ცივი ფერები სჭარბობს?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 3)

3. სახელოსნო

ცივი და თბილი ფერებით ნამუშევრების შექმნა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფერი (ცივი და თბილი); ფორმა (ბუნებრივი/გეომეტრიული); ფონი;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო – დავალების ნიმუშები.

იდეები აქტივობებისთვის:

წინარე ცოდნის გააქტიურება:

- გაიხსენეთ, როგორ ფორმებს ვუწოდებთ ბუნებრივს და როგორს – გეომეტრიულს?
- გაიხსენეთ, რა არის აპლიკაცია?

ლექსიკონი:

ფონი – ფონი გვაჩვენებს იმას, რაც გამოსახულების გარშემო ან უკან ხდება.

აქტივობა 1. პეიზაჟი ბუნებრივი ფორმებით, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო):

მასალა: ორი სახატავი ფურცელი, ფერადი ცარცები, ფანქრები ან პასტელი, შავი მარკერი მაკრატელი, წებო.

- სახატავი ფურცელი დაფერე ცივი ფერის ლაქებით;.
- მეორე ფურცელი დაფერე თბილი ფერის ლაქებით;
- დაფიქრდი, რომელი იქნება ცივი და რომელი თბილი ფერის – ფოთლები თუ ფონი?
- ერთ ფურცელზე დახატე ფოთლები და გამოჭერი;
- დააწებე ფოთლები მეორე ფურცელს;
- მიუხატე ფოთლებს ძარღვები და ღეროები.

აქტივობა 2. პეიზაჟი გეომეტრიული ფორმებით, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო):

*ეს აქტივობა გამოდგება დიფერენცირებული სწავლების მიზნით.

მასალა: ორი სახატავი ფურცელი, მწვანე და ლურჯი ფერის ფურცლები, ფერადი ცარცები, ფანქრები ან პასტელი, მაკრატელი, წებო.

ორ ფურცელზე მოამზადე სხვადასხვა ფონი:

- ერთი დაფერე ცივი ფერებით;
- მეორე ფურცელი კი თბილი ფერებით;
- მოიმარჯვე მაკრატელი, მწვანე და ლურჯი ქაღალდი;
- გამოჭერი სხვადასხვა ზომის სამკუთხა ფორმები;
- გაანაწილე და დააწებე სამკუთხა ფორმები ორივე ფონზე.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა ტექნიკით იმუშავე?
- რა განსხვავებაა ცივ ფონზე და თბილ ფონზე შესრულებულ სურათებს შორის?
- რომელში სურათში იგრძნობა უფრო მეტად სიცივე?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილები 4, 5)

4. შემოდგომა

შემოდგომის პეიზაჟებში ფერებზე მსჯელობა, ანაბეჭდის ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ცივი, თბილი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: შერეული ტექნიკა, ანაბეჭდი;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო:

პირველი განშლა: ელენე ახვლედიანის და ჯორჯია ო'კიფის პეიზაჟები.

მომდევნო განშლა: პრაქტიკული დავალებების ნიმუშები და ეტაპობრივი ინსტრუქციები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი, წინარე ცოდნის გააქტიურება:

ჩამოთვალეთ შემოდგომის თვეები.

- როდისაა შემოდგომა უფრო თბილი?
- როდისაა უფრო ცივი?

აქტივობა 1. შედარება, მსჯელობა:

- დააკვირდი ელენე ახვლედიანის შემოდგომის პეიზაჟებს. რა შეამჩნია მხატვარმა?

პასუხი: შემოდგომა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფერისაა. პირველ ორ პეიზაჟში ფერები მკვეთრია. მესამეში ფერებმა ძალა დაკარგა, გაუფერულდა.

- რატომ არის ელენე ახვლედიანის მესამე პეიზაჟი განსხვავებული ფერის?
- შემოდგომის რომელ თვეს გაგონებს ეს სურათი?
- რომელი პეიზაჟია დახატული მკვეთრი ფერებით?

პასუხი: შემოდგომა მიიწურა, ბუნება ზამთრისთვის ემზადება, მზემ ძალა დაკარგა, ხეები გაშიშვლდა, აქა-იქ შემორჩა ყვითელი და წითელი ფოთლები. ფერები უფრო მკრთალია.

აქტივობა 2. შედარება, მსჯელობა:

ამერიკელმა მხატვარმა ჯორჯია ო'კიფმა და ქართველმა მხატვარმა, ელენე ახვლედიანმა შემოდგომის პეიზაჟები დახატეს.

- რა ფერებს ხედავ?
- შემოდგომის რომელ თვეებს გაგონებს ეს სურათები?
- რომელში სჭარბობს თბილი ფერები?
- რომელ სურათში უფრო იგრძნობა სიცივე?
- რა საერთოს ხედავ ელენე ახვლედიანის და ჯორჯია ო'კიფის პეიზაჟებს შორის?

პასუხი: შემოდგომაზე ჯერ თბილა, შემოდგომის მიწურული კი ცივია. შემოდგომის პეიზაჟების ფერადოვნება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ზედა პეიზაჟებში შემოდგომა თბილია, ქვედას კი თითქოს სიცივე შეეპარა. ზედა პეიზაჟებში მუქი, მკვეთრი ფერებია (ცივიც და თბილიც), ქვედაში კი – ღია, მკრთალი. იქ, სადაც ფერები უფრო მკვეთრია, სჭარბობს წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ანუ იქ თითქოს უფრო თბილა. სადაც ფერები მკრთალია, იქ უფრო სიგრილე იგრძნობა.

5. სახელოსნო

* პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს, საშემოდგომო განწყობის შესაქმნელად, სასურველია, მოსწავლეებმა მოისმინონ შემოდგომის თემაზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები.

** აქტივობების მრავალფეროვნება იძლევა დიფერენცირების მიზნით არჩევანის შესაძლებლობას.

აუდიო რესურსი:

პეტრე ჩაიკოვსკის „ოქროს შემოდგომა“ (4 წუთი):
https://www.youtube.com/watch?v=BQVd_N1xdVM
იოჰან სებასტიან ბახი, „შემოდგომა“ (3. წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=GrT_Z39jG_Q

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ცდა (სავარჯიშო)

მასალა: სახატავი ფურცლები, სხვადასხვა ფორმის ფოთლები, ფერადი ფანქრები.

- ძარღვიან ფოთოლს დაადე ფურცელი.
- გადაუსვი ფურცელს ფანქარი.
- რა გამოვიდა? – ეს ფოთლის ანაბეჭდია.

აქტივობა 2. ტყე, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

მასალა: სახატავი ფურცლები, სხვადასხვა ფორმის ფოთლები, ფერადი ფანქრები.

- შეაგროვე სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფოთლები;
- დაალაგე ფოთლები ერთ მწკრივად;
- დაადე სახატავი ფურცელი და გადაუსვი ფერადი ფანქრები.
- რა ფერის ფენქრები გამოიყენე?
- რა გამოვიდა?

აქტივობა 3. ანაბეჭდი, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

მასალა: სახატავი ფურცლები, სათადარიგო ფურცელი, სხვადასხვა ფორმის ფოთლები, გუაშის საღებავები, ფუნჯი.

ფოთლების ანაბეჭდით დახატე ბუნების ხედი:

- ფოთლები ძარღვიანი მხრიდან შეღებე გუაშის საღებავით;
- საღებავიანი ფოთლები დაალაგე სახატავ ფურცელზე;
- დააფარე სათადარიგო ფურცელი და გადაუსვი მას ხელი;
- ფრთხილად ააცალე ნამუშევარს ფურცელი და ფოთლები.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ცდა (სავარჯიშო)
მასალა: სახატავი ფურცლები, ფოთლები, საღებავები, პალიტრა, წყალი; კბილის ჯაგრისი ან ფუნჯი.

- ჩაასხი საღებავები პალიტრის ფოსოებში;
- დაადე ფურცელს ფოთოლი;
- ჩააწე ჯაგრისი ან ფუნჯი საღებავში, დაფერთხე ფოთლის თავზე და დააშხეფე მას საღებავი;
- ფაქიზად მოაცალე ფოთოლი ფურცელს.
- რა გამოგივიდა?



აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო, ცდა (სავარჯიშო)
მასალა: სახატავი ფურცლები, ფოთლები, გუაშის საღებავები, პალიტრა და ღრუბელი.

- დაადე ფოთოლი ფურცელს;
- საღებავიანი ღრუბლით დაფერე ფოთლის გარშემო არე;
- ფრთხილად ააცალე ფოთოლი ფურცელს;
- რა გამოგივიდა?

აქტივობა 6. პრაქტიკული სამუშაო, ცდა (სავარჯიშო)

მასალა: პასტელი, ბამბიანი ჩხირები, 1 კოვზი ზეთი.

ჩაატარე ცდა:

- ფერადი პასტელით დახატე ფოთლები;
- გადაუსვი ნახატს ზეთიანი ბამბა;
- რა გამოგივიდა?
- რა შეიძლება დახატო ამ ხერხით?

აქტივობა 7. პრაქტიკული სამუშაო

- დახატე ხეების ტანი და ტოტები;
- ჯაგრისით დააშხეფე ტოტებს საღებავი.
- რა მასალა და იარაღები დაგჭირდება ამ დავალების შესასრულებლად?

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა და რა ტექნიკა ისწავლე?
- რომელი მოგეწონა?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 6)

6. ზამთარი

სხვადასხვა ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ცივი, თბილი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო

ფრედერიკ შოპენის „ზამთრის ქარი“ (4 წუთი): https://www.youtube.com/watch?v=6D6wfcMbHf8

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

- რა ემართება ბუნებას ზამთარში?
- რომელი ფერები ჭარბობს ზამთარში?

აქტივობა 1. მსჯელობა, ინტერპრეტაცია

დააკვირდი პეიზაჟებს და აღწერე, რას ხედავ.

- წელიწადის რომელი დრო დახატა მხატვრებმა?
- რომელი ფერი სჭარბობს?
- ფერები ცივია თუ თბილი?
- ამ სურათებში სიჩუმეა თუ ხმაური?

პასუხი: ეს ზამთრის პეიზაჟებია. ყველა სურათში თეთრი ფერი სჭარბობს. ამიტომ აქ სიცივე იგრნობა.

აქტივობა 2. ზამთრის პეიზაჟი, პრაქტიკული სამუშაო (შუალედური)

* განწყობისთვის სასურველია, ხატვის პროცესში მოსწავლეებმა მოისმინონ მუსიკის ჩანაწერი ზემოთ მითითებულ ბმულზე.

მასალა: სახატავი ფურცლები, თეთრი ფერის პასტელი, ლურჯი და მწვანე ფერის აკვარელი, ფუნჯი, მარილი.

დახატე ზამთრის პეიზაჟი ცივი ფერებით:

- თეთრი პასტელით თეთრ ფურცელზე დახატე თეთრი ღრუბლები, თოვლი, ფიფქები და თოვლის ბაბუა;
- დაფერე ნახატი ლურჯი აკვარელის საღებავით;
- მწვანე ფერის აკვარელის საღებავით დახატე ნაძვები;
- შეგიძლია გაახალისო ნახატი თბილი ფერის მცირე დეტალებით;
- სველ საღებავს მოაყარე მარილი;
- როცა საღებავი გაშრება, ჩამოფერთხე ზედმეტი მარილი;
- რა მოხდა?

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა დახატე?
- წელიწადის რა დროა შენს პეიზაჟზე?
- რომელი ფერები დაგეხმარა ზამთრის სიცივის ჩვენებაში?
- რამ მისცა შენს პეიზაჟს ბრჭყვიალა თოვლის ეფექტი?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში ყველაზე მეტად?

აქტივობა 3. ზამთრის პეიზაჟი, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

მასალა: რუხი ფერის სახატავი ფურცლები (შეიძლება ლურჯი ან შავი ფურცლების გამოყენება), თეთრი და შავი ფერის საღებავები, ფუნჯი, პალიტრა, ბამბიანი ჩხირები.

- რუხ ფურცელზე შავი საღებავით დახატე ხე;
- ბამბიანი ჩხირით დაასვი ნახატს თეთრი საღებავის კოპლები.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა ტექნიკები ისწავლეთ?
- რა მასალები გამოიყენეთ ზამთრის ეფექტის გადმოსაცემად?
- კიდევ რა მასალის გამოყენება შეიძლება თოვლის დასახატად?

ნაბიჯი 6. (გაკვეთილები 7, 8)

7. გაზაფხული

არატრადიციული ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ცივი, თბილი; ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო – უტაგავა/ანდო ჰიროშიგეს გაზაფხულის პეიზაჟები, დევიდ ჰოკნის პეიზაჟები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

- ჩამოთვალე გაზაფხულის თვეები.
- როგორ იცვლება ბუნება გაზაფხულზე?

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი იაპონელი მხატვრის, უტაგავა ჰიროშიგეს სურათებს:

- რა იქცევს შენს ყურადღებას?
- რითი გვამცნობს მხატვარი გაზაფხულის დადგომას?
- სითბოა თუ სიგრილეა სურათებზე?
- რა გიქმნის ამ შეგრძნებას?

პასუხი: ჰიროშიგეს სურათებზე ყურადღებას იქცევს თეთრად და ვარდისფრად აყვავებული ხის ტოტი. მხატვარი ამით გვეუბნება, რომ გაზაფხული დადგა. სურათებში სიგრილეა, რადგან ისინი დახატულია ცივი ფერებით. თანაც, ფერები მკრთალი და ნაზია, თითქოს მზე კარგად არ ანათებს.

აქტივობა 2. გაზაფხული, პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

მასალა: ცისფერი ქაღალდი, ხის პატარა ზომის ტოტი, ბატიბუტი, ხელსაწმენდის დაჭმუჭნილი ნაფლეთები ან ბამბის ფთილები, ცხელი ან სხვა წებო.

- ცისფერ ფონზე დააწებე ხის ტოტი;
- ტოტის გარშემო დააწებე ბატიბუტი.



აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, შუალედური

მასალა: სახატავი ქაღალდი, შავი და წითელი ფერის აკვარელის საღებავი, პალიტრა, წყალი, ფუნჯი, საწრუპი მილი.

- დააწვეთე ფურცელზე საღებავი;
- შეუბერე წვეთს საწრუპი მილით. საღებავის ნაკადს მიეცი სასურველი მიმართულება;
- ფუნჯით მიახატე (ან დააშხეფე) ტოტებს ყვავილები.

ვიდეო ინსტრუქცია:
https://www.youtube.com/watch?v=LZStGG-Rdkc



აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა იყო შენი დავალება?
- რა გააკეთე?
- წელიწადის რა დროს ასახავს შენი პეიზაჟი?
- როგორ გადმოეცი გაზაფხული?
- რა ტექნიკა გამოიყენე?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში?
- რა იყო ყველაზე რთული/ადვილი?
- რას შეცვლიდი?

8. სახელოსნო

კონტურის და მონასმის შესაძლებლობების გაცნობა

რესურსები: სახელმძღვანელო – დევიდ ჰოკნის პეიზაჟები.

იდეები აქტივობებისთვის:

ლექსიკონი:

მონასმი – ფუნჯის ნაკვალევი.

კონტური – ხაზი, რომელიც გარს ევლება ფორმას.

აქტივობა 1, 3, 4, 6. დაკვირვება:

- რა ემართებათ ხეებს გაზაფხულზე?
- რა ფერია ხეებზე ახლად გამოსული ფოთლები?
- რამდენ განსხვავებულ მწვანეს ხედავ დევიდ ჰოკნის სურათზე?

დააკვირდი ხეს და ბალახს დევიდ ჰოკნის მეორე პეიზაჟზე:

- რა შეიცვალა?
- წელიწადის რომელი დრო დადგა?
- როგორ მიხვდი?

პასუხი: ხე ფოთლებით შეიმოსა, ტოტებზე ხატია ვაშლები, ბალახი გამუქდა.

- დააკვირდი, როგორ დახატა დევიდ ჰოკნიმ ცა, ფოთლები, ვაშლები?

პასუხი: ცა – ფუნჯის მოკლე მონასმებით, ვაშლები – მსხვილი კონტურით.

- როგორ ხატია ბალახი და მდინარე?

პასუხი: ფუნჯის მოკლე მონასმებით.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

აყვავებული ხე

მასალა: სახატავი ფურცლები, გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი, ბამბიანი ჩხირები.

დააკვირდი, როგორ დახატა მხატვარმა აყვავებული ხე.

შენც სცადე ნახატში გამოიყენო მსგავსი ტექნიკა და განსხვავებული მწვანე ფერები.

- შეურიე მწვანე საღებავს ცოტა ლურჯი, თეთრი ან ყვითელი.
- რომელი ფერი გაამუქებს მწვანეს? (ლურჯი)
- რომელი ფერი გააღიავებს? (თეთრი, ყვითელი)
- რა ტექნიკით დახატავ ყვავილებს?
- დაფიქრდი, სად დაგჭირდება ფუნჯის გამოყენება და რას დახატავ ბამბიანი ჩხირებით?

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო):

მასალა: სახატავი ფურცლები, გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი.

- გუაშის საღებავებით დახატე ხის ტოტი ცის ფონზე;
- ცა ფუნჯის მოკლე მონასმებით ააჭრელე;
- ვაშლებს შემოავლე მსხვილი კონტური.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა მოხდება, თუ მწვანე საღებავს შეურევ ლურჯ, თეთრ ან ყვითელ ფერს?
- რომელი გააღიავებს მწვანეს და რომელი გაამუქებს?
- რა არის მონასმი?
- რა შეგიძლია გააკეთო მონასმით?
- რა არის კონტური?
- რაში გეხმარება კონტური?

ნაბიჯი 7. (გაკვეთილი 9)

9. ზაფხული

ახალი ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ღია, მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები: სახელმძღვანელო – კლოდ მონეს პეიზაჟები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

- ჩამოთვალე ზაფხულის თვეები.
- როგორ იცვლება ბუნება ზაფხულში?

აქტივობა 1. მსჯელობა:

- როგორი ფერებით ივსება ბუნება ზაფხულში?

აქტივობა 2. დაკვირვება:

დააკვირდი ფრანგი მხატვრის, კლოდ მონეს სურათებს.

- რომელი ფერი სჭარბობს?
- რომელი ფერია მთავარი?
- ფერები ღიაა თუ მუქი?
- როგორ მიხვდი, რომ სურათზე ზაფხულია ასახული?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო (შუალედური):

მასალა: სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, პალიტრა, წყალი, ფუნჯი, ჩანგალი, საწრუპი მილი, მაკრატელი.



დახატე ყვავილებიანი მინდორი.

დააკვირდი ნიმუშს. მიყევი ფოტო-მითითებებს:

- ფუნჯით დაფერე ფონი;
- ჩააწე ჩანგალი ღია ფერის საღებავში და დახატე ბალახი;
- მაკრატლით ჩაჭერი და გაშალე საწრუპი მილის ბოლო ისე, რომ ყვავილს დაემსგავსოს;
- ჩააწე ის საღებავში და ანაბეჭდის ტექნიკით დახატე ყვავილები.

კიდევ რისი დახატვა შეიძლება ამ ხერხით?

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა იყო შენი დავალება?
- რა დახატე?
- წელიწადის რა დროს ასახავს შენი პეიზაჟი?
- რა ფერებით გადმოეცი ზაფხულის სიჭრელე (ცივი, თბილი)?
- რომელი ფერი სჭარბობს შენს პეიზაჟზე?
- რა ტექნიკა გამოიყენე შენს ნამუშევარში?
- რა იყო ყველაზე რთული/ადვილი?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში?
- რას შეცვლიდი?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა. (რა ვისწავლე?)

პეიზაჟი „წელიწადის ჩემი საყვარელი დრო“

შექმენი **პეიზაჟი**, რომელიც ასახავს წელიწადის შენს საყვარელ დროს მისთვის დამახასიათებელი ფერებით. პეიზაჟის დასახატად გამოიყენე შერეული **ტექნიკა** (**მაგ**., ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია).

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა გააკეთე?
- წელიწადის რა დროს ასახავს შენი პეიზაჟი?
- როგორ გადმოეცი წელიწადის ეს დრო?
- რომელი ფერებით გადმოეცი სიცივე/სითბო?
- რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე წელიწადის ამ დროის გადმოსაცემად?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რა იყო ყველაზე რთული?
- რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?
- რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

*კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელს შეუძლია დაუსვას მოსწავლეებს კითხვები, რომლებიც შეახსენებს მათ, რა ისწავლეს:

- რომელ ტექნიკას გამოიყენებ შენი პეიზაჟისთვის და რატომ?
- გაიხსენე, რა შეუძლია ფანქარს, საღებავს, პასტელებს, აპლიკაციის ხერხს;
- დაფიქრდი, რა შედეგს მიიღებ ფუნჯის მონასმით, კონტურით, ღრუბლით დასმული ფუშფუშა ლაქებით, ფოთლის ანაბეჭდით, ბამბიანი ჩხირით, ჯაგრისით ან საწრუპი მილით დახატული დეტალებით;
- პეიზაჟის დასახატად გამოიყენე ორი ან სამი სხვადასხვა ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, დაშხეფება, აპლიკაცია და სხვა).

თემა 1. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო

თემა: ბუნების ფერები

მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები: ფერი (ცივი, თბილი; ღია, მუქი)

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: შერეული ტექნიკა: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია.

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები: პეიზაჟი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კპეიზაჟი „წელიწადის ჩემი საყვარელი დრო“

შექმენი **პეიზაჟი**, რომელიც ასახავს წელიწადის შენს საყვარელ დროს მისთვის დამახასიათებელი **ფერებით**. პეიზაჟის დასახატად გამოიყენე შერეული **ტექნიკა** (**მაგ.**, ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია).

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად, ქმნის წელიწადის რომელიმე კონკრეტული დროის ამსახველ პეიზაჟს, სეზონისთვის დამახასიათებელი ფერებით. განასხვავებს წელიწადის დროისთვის დამახასიათებელ ფერებს (ცივი, თბილი) და აკავშირებს მათ საკუთარ გამოცდილებასთან.

გააზრებულად და მიზანმიმართულად ხატავს წელიწადის დროის შესაბამის მრავალფეროვან დეტალებს. ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან და ამთლიანებს გამოსახულებებს.

გააზრებულად იყენებს მრავალფეროვან მასალასა და ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი შერეული ტექნიკით.

წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის წელიწადის რომელიმე კონკრეტული დროის ამსახველ პეიზაჟს, სეზონისთვის დამახასიათებელი ფერებით. განასხვავებს, ადეკვატურად იყენებს ცივ და თბილ ფერებს და აკავშირებს მათ საკუთარ გამოცდილებასთან. ხატავს წელიწადის დროის შესაბამის დეტალებს. ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან და ამთლიანებს გამოსახულებებს. გააზრებულად იყენებს სხვადასხვა მასალას და ქმნის ნამუშევარს მასალის შესაბამისი ტექნიკით. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის წელიწადის რომელიმე კონკრეტული დროის ამსახველ პეიზაჟს, სეზონისთვის დამახასიათებელი ფერებით. განასხვავებს და იყენებს ცივ და თბილ ფერებს. ხატავს წელიწადის დროის შესაბამის რამდენიმე დეტალს, მაგრამ აზრობრივად ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან და ვერ ამთლიანებს გამოსახულებებს. მასწავლებლის მითითებით იყენებს მასალას და ქმნის ნამუშევარს შესაბამისი ტექნიკით. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის პეიზაჟს სეზონისთვის შეუფერებელი ფერებით. განასხვავებს ცივ და თბილ ფერებს, მაგრამ ვერ იყენებს მათ ნამუშევარში. ხატავს წელიწადის დროისთვის შეუსაბამო რამდენიმე დეტალს. აზრობრივად ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან და ვერ ამთლიანებს გამოსახულებებს. უჭირს სხვადასხვა მასალის კომბინირება და შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს და ჩამოთვლის გამოყენებულ მასალას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 2

კლასი: 2

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო

თემა: ამბავი ნივთებზე (გაკვეთილები 10-14) საათების სავარაუდო რაოდენობა: 6+3

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები, მათ შორის ნივთები, გარკვეულ იდეებს, შთაბეჭდილებებს, ემოციებს ბადებს და აისახება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე;
- მე შემიძლია შევქმნა ყოველდღიურად მოსახმარი ნივთები, რომლებიც გაალამაზებს ჩემს და ჩემი ახლობლების გარემოს და შეუქმნის შესაბამის განწყობას. ამისთვის, ჩანაფიქრის მიხედვით, შემიძლია შევარჩიო და გამოვიყენო შესაბამისი მხატვრულ-გამოსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები – საშუალებები:

ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D));

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნება: – ძერწვა.

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება: – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

საკითხი – საგნები ჩვენ გარშემო

საკვანძო შეკითხვები:

- რა მიზნით და რა დანიშნულებით ქმნიან ადამიანები ნივთებს?
- სად და რა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ ხელოვნება?
- რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ყველაფერი ხელოვნებაა?
- რა გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა შემიძლია გამოვიყენო გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად?

კომპლექსური დავალების პირობა:

ჩემი ნახელავი

ნებისმიერი საძერწი მასალით გამოძერწე ჭურჭელი.

გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმა.

გაალამაზე ნივთი ნახატით, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალით და ტექნიკით გააკეთე? ● როგორი ფორმა აქვს შენს ნახელავს? ● რითი გაალამაზე შენი ნაკეთობა? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა იყო ყველაზე რთული? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავ ნივთს ვიყენებთ – ჭურჭელს, ავეჯს, ტანსაცმელს, სამკაულს...
ამ თავში ყოველდღიურად მოსახმარი ლამაზი ნივთების დამზადებას ისწავლი.

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 10-14
ილუსტრაციები: გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ფოტოები; შუამდინარული, ბერძნული და ქართული ჭურჭლის ნიმუშები (კერამიკა, ლითონი, მინა); ბრტყელი და მოცულობითი გეომეტრიული ფორმების ილუსტრაციები; პაბლო პიკასოს და ალექსანდრ ფლორენსკის კერამიკული ჭურჭელი.

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- რა ნივთებს იყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა ნიშნით ირჩევ, რომელი მოგწონს და რომელი – არა?
- გიცდია, შენი ხელით რაიმე ნივთის დამზადება?

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 10, 11)

10. ნივთები ჩვენ გარშემო

გამოყენებითი ხელოვნების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ძერწვა;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ფოტოები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ჩვენ გარშემო უამრავი ნივთია. ზოგს ყოველდღე ვიყენებთ. ზოგი გარემოს გვილამაზებს. ლამაზი ნივთების შექმნის ხელოვნებას გამოყენებითი ხელოვნება ჰქვია. როგორ ფიქრობ, რატომ?

აქტივობა 1. უპასუხე

დააკვირდი სურათებს:

- რა ნივთებს ხედავ?
- რაში ვიყენებთ მათ?

აქტივობა 2. შედარება

დააკვირდი სკამებს:

- რომელია გამორჩეულად ლამაზი?
- რომელია უბრალო?
- რატომ ფიქრობ ასე?

დამატებითი სასაუბრო:

უბრალო ნივთები გამოსაყენებლად მოსახერხებელია, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში კი გამორჩეულად ლამაზია. ის ხელოვანმა მოიფიქრა და ოსტატურად გააკეთა. გამოყენებითი ხელოვნების ნივთები ალამაზებს იმ გარემოს, სადაც დევს ან კიდია.

ძველი ნივთები გვიამბობენ, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები – როგორი ტანსაცმელი ეცვათ, როგორ სამკაულს ატარებდნენ, როგორი ავეჯით ჰქონდათ გაწყობილი სახლი, როგორი ჭურჭლით მიირთმევდნენ...

11. უძველესი ჭურჭელი

რესურსები: სახელმძღვანელო – შუამდინარული, ბერძნული და ქართული ჭურჭლის ნიმუშები (კერამიკა, ლითონი, მინა)

აქტივობა 1. შედარება, მსჯელობა

- როგორ მიხვდი, რომ ხარის ფიგურა ჭურჭელია და არა ქანდაკება?
- რატომ არის ჭურჭელი სხვადასხვა ფორმის?
- გაიხსენე, რა დანიშნულების ჭურჭელი არსებობს და რისთვის ვიყენებთ მას?
- იპოვე ოქროს თასი.

პასუხი: ოსტატები ჭურჭელს ფორმას მისი დანიშნულების მიხედვით აძლევენ, თუ რა და რამდენი უნდა ჩაეტიოს შიგ, ეს ჭურჭელი დასალევადაა განკუთვნილი თუ საკვების შესანახად ან მისართმევად...

ჭურჭელი შეიძლება იყოს თიხის, მინის, ლითონის, დიდი ან პატარა, ღრმა ან დაბალი, ზოგს გაბერილი მუცელი აქვს, ზოგს – განიერი ყელი... ზოგს სახელური და თავსახური აქვს, ზოგს – არა...

გამოყენებითი ხელოვნების ნივთები გაფორმებულია ნახატებით და ლამაზი ფორმა აქვთ.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: პლასტილინი ან თიხა, პლასტმასის დანა.

დაამზადე პლასტილინის ან თიხის სათამაშო ჭურჭელი.

- გამოძერწე მრგვალი ფორმა;
- ჩაჭყლიტე გუნდა;
- თითებით მიეცი მას ჯამის ფორმა;
- გაუკეთე ჭურჭელს თავსახური, სახელური და სხვა დეტალები.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: პლასტილინი ან თიხა, პლასტილინის დანა.

გამოძერწე ჯამი, რომელსაც რომელიმე ცხოველს მიამსგავსებ.

- რა თანამიმდევრობით შეასრულებ დავალებას?
- რა დეტალები უნდა დაამატო ჭურჭელს, რომ ის ცხოველს დაემსგავსოს?
- რა დანიშნულება ექნება შენს ნაკეთობას?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეიტყვე ახალი?
- რისთვის ქმნიან ადამიანები ლამაზ ნივთებს?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 12)

12. ფორმა

ბრტყელი (2D) და სივრცითი (3D) ფორმების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; ბრტყელი და სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: – ძერწვა;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

რესურსები: სახელმძღვანელო – ბრტყელი (კვადრატი, წრე, ოვალი, სამკუთხედი) და მოცულობითი გეომეტრიული ფორმები (კუბი, სფერო, ცილინდრი, კონუსი), პაბლო პიკასოს კერამიკა, სხვადასხვა საგნის ნიმუშები.

იდეები აქტივობებისთვის:

წინარე ცოდნის გააქტიურება:

გაიხსენე გეომეტრიული ფორმები.

პასუხი: კვადრატი, წრე, ოვალი, მართკუთხედი, სამკუთხედი, რომბი...

სამოტივაციო საუბარი:

იცოდით, რომ არსებობს ბრტყელი და მოცულობითი ფორმები?

ბრტყელ ფორმებს არ გააჩნიათ სისქე. მათი დანახვა მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლება.

ბრტყელია ოთხკუთხედი, წრე, სამკუთხედი...

მოცულობითი ფორმა კი შეგიძლია ხელში აიღო, ყველა მხრიდან დაათვალიერო.

სამყაროში ყველა სხეულს აქვს ფორმა. ზოგს – ბუნებრივი, ზოგს – გეომეტრიული.

ოსტატები საგნის ფორმას მათი გემოვნებით და ნივთის დანიშნულების მიხედვით ირჩევენ. ზოგ საგანს ჩვეულ ფორმას აძლევენ, ზოგს – უცნაურს.

აქტივობა 1, 2. დაკვირვება:

- დააკვირდი სურათებს, რა ფორმებს გაგონებს ეს საგნები?
- ეს საგნები ბრტყელია თუ მოცულობითი?

იპოვე ნივთები, რომლებშიც ოსტატმა რამდენიმე გეომეტრიული ფიგურა გააერთიანა.

- ჩამოთვალე, რა ფორმები ამოიცანი ამ საგნებში?

პასუხი: საშაქრე – სფერო;

საათი – პარალელეპიპედი;

ჩაიდანი – კონუსი, სფერო;

საათი – წრე, კონუსი;

ქვაბი – ცილინდრი;

დოქი – სფერო, ცილინდრი.

აქტივობა 3. დაკვირვება:

- რა დეტალებით მიამსგავსა ოსტატმა ჩაიდანი სპილოს? (ცხვირი – ხორთუმი)
- რა ნიშნებით მიხვდი, რომ ეს ჭურჭელია და არა სპილოს ქანდაკება? (აქვს სახელური და თავსახური).
- რა ფორმისაა თეფშები?
- რა კერძს მოუხდება თევზის ფორმის თეფში?

პასუხი: ეს თეფშები თევზივით მოგრძოა, ზედ თევზი ახატია და თევზის კერძს მოუხდება.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეიტყვე ახალი?
- რა განსხვავებაა ბრტყელ და მოცულობით ფორმებს შორის?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილები 13, 14)

13. სახელოსნო (ორი განშლა)

სამიზნე ცნებები/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

– **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D));

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ძერწვა;

3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

* ამ და შემდეგ გაკვეთილში შემოთავაზებულია ძერწვის მრავალფეროვანი აქტივობები. მასწავლებელს შეუძლია შეარჩიეო ისინი დიფერენცირებული სწავლების მიზნით.

საძერწი (მარილიანი) ცომის რეცეპტი:

წმინდა მარილი – 1 ჭიქა
ფქვილი – 1 ჭიქა
წყალი – ½ ჭიქა
წებო პვა – 1 სუფრის კოვზი (არ არის აუცილებელი)
ზეთი – 1 ჩაის კოვზი (არ არის აუცილებელი)

უნდა მოიზილოს თიხის კონსისტენციის ცომი.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: საძერწი ცომი ან თიხა, გუაშის საღებავები, ფუნჯი, პლასტმასის დანა.

დაამზადე თიხის თეფშები:

- გააბრტყელე თიხის ნაჭერი;
- პლასტმასის დანით გამოჭერი წრე;
- ამოკეცე ნაპირები;
- გამშრალი ნაკეთობა მოხატე გუაშის საღებავებით ან გაალამაზე პლასტილინის დეტალებით.

*პლასტილინის გამოყენების შემთხვევაში, თეფშის „მოხატვა“ შეიძლება სხვა ფერის პლასტილინის წვრილი ზოლებითა და ბურთებით ან ამოჩხაპნილი ხაზებით.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: საძერწი ცომი ან პლასტილინი.

დააკვირდი ნიმუშს.
პლასტილინის ხვეულებით გააკეთე ცილინდრის ფორმის ჭიქა.

მეორე განშლა:

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: საძერწი ცომი ან თიხა, პლასტილინის დანა, ფანქარი.

- ჩაჭყლიტე თიხის ან საძერწი ცომის გუნდა. თითებით გაუბრტყელე გვერდები;
- პლასტილინის დანით ამოჩხაპნე ხაზები;
- ფანქრის წვერით გაუკეთე ნაჭდევები.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო (კუს ფორმის ზარდახშა)

მასალა: საძერწი ცომი ან თიხა, პლასტილინის დანა, საღებავები.

გააკეთე კუს ფორმის ზარდახშა.

- ჯერ გამოძერწე კუს ტანი;
- ცალკე გამოძერწე ბაკანი. მოაზომე ბაკანი კუს ტანს, რომ ზარდახშას თავსახურად მოერგოს;
- ნაჭდევებით გაუკეთე ზარდახშას დეტალები;
- მოხატე ზარდახშა შენი ფანტაზიით.

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო
ფანქრების ჩასადები (ზღარბის ფორმის)
მასალა: საძერწი ცომი ან თიხა, ფანქრები, საღებავები და ფუნჯი.

დააკვირდი ნიმუშს. გააკეთე ფანქრის ჩასადები.

- დაამრგვალე მარილიანი ცომი;
- მიეცი ცომს სასურველი ფორმა;
- ჩაჩხვლიტე ცომი ფანქრებით;
- მოხატე ან გააფერადე ნაკეთობა და დაელოდე მის გაშრობას.

აქტივობა 6. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: საძერწი ცომი ან თიხა. მინის ან კონსერვის ქილა, პლასტილინის დანა, საღებავები და ფუნჯი.

საძერწი ცომით გააკეთე ლარნაკი.

- შემოახვიე ცომი ქილას;
- გაალამაზე ლარნაკი ცომის პატარა ბურთებით, ზოლებით და ნაჭდევებით;
- გააფერადე ლარნაკი საღებავებით და დაელოდე ნაკეთობის გაშრობას.

14. მოხატული თეფშები

რესურსები: სახელმძღვანელო, პაბლო პიკასოს და ალექსანდრ ფლორენსკის მოხატული კერამიკა.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო

მასალა: საძერწი ცომი ან თიხა.

საძერწი ცომით გამოძერწე და მოხატე თეფში.
გაუკეთე თეფშს საკიდი.
* სასურველია, მასწავლებელი დაეხმაროს ბავშვებს საკიდის გაკეთებაში:
ვარიანტი 1 – უნდა გაიკვანძოს მოკლე ზონარის ან ლენტის ბოლოები. საკიდის ნაწილი ჩააყოლეთ თიხაში/ცომში თეფშის უკანა მხრიდან და დაელოდეთ ნაკეთობის გაშრობას.
ვარიანტი 2 – ნაკეთობის უკანა მხარეს დაამაგრეთ ნებისმიერი სახის საკიდი ცხელი წებოთი ან წებოვანი ლენტით.
**აქტივობის დიფერენცირების მიზნით აქტივობა შეიცვლება ერთჯერადი თეფშის მოხატვით.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა. (რა ვისწავლე?)

დავალების პირობა:

ჩემი ნახელავი

- ნებისმიერი საძერწი მასალით გამოძერწე ჭურჭელი.
- გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმა.
- გაალამაზე ნაკეთობა ნახატით, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა გააკეთე?
- რა მასალით და ტექნიკით გააკეთე?
- როგორი ფორმა აქვს შენს ნახელავს?
- რითი გაალამაზე შენი ნაკეთობა?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რა იყო ყველაზე რთული?
- რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?

- რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა 2. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: ამბავი ნივთებზე
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1– სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები. ქვეცნებები: ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული); სივრცითი (3D);
სამიზნე ცნება 2 – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა. ქვეცნებები: ძერწვა;
სამიზნე ცნება 3 – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. ქვეცნებები: გამოყენებითი ხელოვნება;</td></tr>
<tr><td colspan="2">კომპლექსური დავალების პირობა:
ჩემი ნახელავი
ნებისმიერი საძერწი მასალით გამოძერწე ჭურჭელი.
გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმა.
გაალამაზე ნივთი ნახატით, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით.</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.</td><td>დავალების პირობის თანახმად, ძერწავს გამოყენებითი ხელოვნების ორიგინალურ ნიმუშს.
გააზრებულად და მიზანმიმართულად იყენებს სივრცით, გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ ფორმას. აფორმებს ნივთს მრავალფეროვანი ნახატი, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით. ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან და ამთლიანებს საგნის ყველა ელემენტს.
გააზრებულად და დამოუკიდებლად იყენებს მასალას და მასალის შესაბამის ტექნიკას.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, ძერწავს **გამოყენებითი ხელოვნების** ნიმუშს. გააზრებულად იყენებს **სივრცით, გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ ფორმას**. აფორმებს ნივთს რამდენიმე ნახატი, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალით. ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან და ამთლიანებს საგნის რამდენიმე ელემენტს. სწორად იყენებს მასალას და მასალის შესაბამის **ტექნიკას**. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ძირითად ეტაპებზე. ადექვატურად იყენებს ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, ძერწავს **გამოყენებითი ხელოვნების** ნიმუშს. იყენებს ორიოდ **სივრცით, გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ ფორმას**. აფორმებს ნივთს ორიოდ ნახატი, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალით. იყენებს დავალებით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ საჭიროებს დახმარებას მასალის შესაბამისი **ტექნიკის** გამოყენებისას. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნახელავს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ძერწავს ნამუშევარს, რომელიც არ უკავშირდება **გამოყენებითი ხელოვნებას**. მწირად ან შემთხვევით იყენებს **სივრცით, გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ ფორმას**. ნაკეთობას აკლია გაფორმება ნახატი, ნაჭდევი ან ნაძერწი დეტალებით. საჭიროებს დახმარებას მასალისა და მისი შესაბამისი **ტექნიკის** გამოყენებისას. წარდგენისას მწირად აღწერს საკუთარ ნახელავს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 3

კლასი: 2

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო

თემა: მხატვრები ხატავენ ნივთებს (გაკვეთილები 15-19) საათების სავარაუდო რაოდენობა: 7+3

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ჩვენ გარშემო არსებული ნივთები გარკვეულ იდეებს, შთაბეჭდილებებს, ემოციებს ბადებს და აისახება ხელოვნების ნაწარმოებებში;
- მე შემიძლია შევქმნა სხვადასხვა დარგის და ჟანრის ხელოვნების ნიმუშები, რომელშიც სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, ხერხებითა და საშუალებებით ავსახავ ჩემ გარშემო არსებული ნივთებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები:

ქვეცნებები – საშუალებები:

ხაზი (მსხვილი, წვრილი, კონტური).

ფერი (ცივი და თბილი, ღია და მუქი).

ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სიბრტყობრივი (2D), ფონი.

ხერხები:

ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები – შერეული ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი).

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება: – მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნება: – ნატურმორტი

საკითხი – საგნების მრავალფეროვნების ასახვა ხელოვნებაში.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ და რატომ ასახავენ მხატვრები საგნებს?
- როგორ, რა და რა ტექნიკით შემიძლია ავსახო ნამუშევარში ჩემი საყვარელი საგნები?
- რა გამომსახველობითი საშუალებებით და ხერხებით შემიძლია გადმოვცე ნამუშევარში ჩემთვის საინტერესო საგნები?

კომპლექსური დავალების პირობა:

ნატურმორტი შერეული ტექნიკით.

გააწყვე სუფრა.

- ჟურნალებიდან ამოჭრილი და შენ მიერ დახატული საგნებით გააწყვე სუფრა.
- გამოიყენე გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები.
- შეურჩიე ნატურმორტს ცივი ან თბილი, ღია ან მუქი ფერის ფონი.
- დაფიქრდი, როგორ აჯობებს ფურცელზე მათი დაწყობა – სიგრძეზე თუ სიგანეზე. ლამაზად გაანაწილე გამოჭრილი დეტალები ფონზე.
- დაამატე შენ მიერ დახატული ან ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ხილი, ბოსტნეული ან ყვავილები.
- გამოკვეთე ფორმები კონტურით.
- მიახატე აპლიკაციას მაგიდა და სხვა დეტალები. გაუკეთე სურათს ფერადი ჩარჩო.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა ნამუშევარი შექმენი? ● რა **ტექნიკით** შეასრულე შენი **ნატურმორტი**? ● რა საგნების ფორმები გამოჭერი და რა დეტალები მიახატე? ● როგორ **განალაგე** საგნები სურათზე – **გრძივად** თუ **განივად**? ● რაში დაგეხმარა **კონტური**? ● როგორი **ფერებია** შენს ნატურმორტზე – **ცივი** თუ **თბილი**? ღია თუ მუქი? ● რა **ფერი** შეურჩიე შენს ნამუშევარს **ფონად** და რატომ? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ამ თავში ნივთების სილამაზის ასახვას და სხვებისთვის გაზიარებას ისწავლი.

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 15-19;
ილუსტრაციები: ნატურმორტები: იან ვან ჰოისუმი, ანრი რუსო, პაბლო პიკასო, ანრი მატისი, ანდრე დერენი, ვასილი შუხაევი, ვერა ფაღავა, სიუზენ ჰაბლი, ბერნარ ბიუფე, ვინსენტ ვან გოგი, პოლ სეზანი, ჯორჯო მორანდი, როი ლიხტენშტეინი, ლუის მელენდესი, ფერნან ლეჟე, კირილე ზდანევიჩი, ავგუსტ მაკე.
ინტერნეტრესურსი:
სიუზენ ჰაბლის ნატურმორტები: https://susanhable.net/collage;

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- როგორ ავსახოთ სურათში საგნების მრავალფეროვნება?
- რა და რა ხერხით შეგვიძლია შევქმნათ სურათი?

ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 15, ორი განშლა)

15. ნატურმორტი

ნატურმორტის ჟანრის გაცნობა, ნატურმორტზე მსჯელობა

სამიზნე ცნებები/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: საშუალებები: ფერი (ცივი და თბილი, ღია და მუქი); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სიბრტყობრივი (2D)); ფონი, კონტური. ხერხები: ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ნატურმორტი.

რესურსები: სახელმძღვანელო

პირველი განშლა: ანრი მატისის, ბერნარ ბიუფეს და ვინსენტ ვან გოგის, ავგუსტ მაკესა და კირილე ზდანევიჩის ნამუშევრები;

მეორე განშლა: პოლ სეზანის და ჯორჯო მორანდის ნატურმორტები.

იდეები აქტივობებისთვის:

ლექსიკონი: ნატურმორტი – სურათი, რომელზეც საგნებია ასახული. ნატურმორტი ფრანგულად „უსიცოცხლო ბუნებას“ ნიშნავს.

სამოტივაციო საუბარი:

ჩვენ გარშემო უამრავი სხვადასხვა საგანია – მაღალი, დაბალი, ვიწრო და განიერი, ფერადი და უფერული, ჩვეულებრივი და უჩვეულო. ზოგჯერ მხატვრებს ისე მოსწონთ ეს საგნები, რომ მათი დახატვა უნდებათ. ასეთ სურათს ნატურმორტი ჰქვია.

სამოტივაციო თამაში:

ზოგჯერ მხატვრის ყურადღებას უბრალო ნივთებიც იქცევს, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ. მათ ფორმებში მხატვარი რაღაც საინტერესოს აღმოაჩენს და ამას ჩვენც გვაჩვენებს.

მასწავლებელი ჩამოთვლის სიტყვებს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, თუ რომელი ჟანრის სურათში შეიძლება ამ საგნის დახატვა – პეიზაჟში თუ ნატურმორტში:

მაგ.: ხე (პეიზაჟი), წიგნი (ნატურმორტი), დოქი, ქილა, ბუჩქი, ღრუბელი, პური, მანქანა, მაგიდა, ბალახი, მზე, ნათურა, ბოთლი, ქუჩა, მდინარე, ვაშლი*...

*ვაშლი თუ ხეზეა, ეს პეიზაჟია. მაგიდაზე დადებული ვაშლი კი ნატურმორტია.

აქტივობა 1. მსჯელობა:

დააკვირდი ვინსენტ ვან გოგის სურათებს. ორივეზე აყვავებული ნუშია გამოსახული. ერთი ნატურმორტია, მეორე კი – პეიზაჟი.

- რომელია ნატურმორტი?
- რატომ ფიქრობ ასე?

პასუხი: ჭიქაში ჩადებული ნუშის ტოტი ნატურმორტია. ეს ტოტი აღარ გაიზრდება, მისი ყვავილები აღარ მოისხამს ნაყოფს. ამიტომ ეს ნატურმორტია.
ვან გოგის მეორე სურათზე კი ბუნების ხედია. ამიტომ ის პეიზაჟია.

აქტივობა 2. მსჯელობა:

დააკვირდი სურათებს და აღწერე, რა ნივთებს ხედავ თითოეულ ნატურმორტში:

- როგორ ფერებს ხედავ?
- იპოვე ღია და მუქი ფერები.
- რაში ეხმარება მხატვრებს კონტური?
- მათგან რომლები არ მიეკუთვნება გამოყენებით ხელოვნებას და რატომ?

პასუხი: ავგუსტ მაკეს ნატურმორტზე ფონი მუქია, საგნები კი ღია ფერის. კირილე ზდანევიჩის ნატურმორტზე კი პირიქითაა. ორივე სურათზე საგნები მკაფიოდ ჩანს, რადგან მუქ ფონზე – ღია ფერებით, ხოლო ღიაზე – მუქი ფერებითაა დახატული. საგნებს გარს ევლება კონტური და უკეთ გამოკვეთს მათ.

მეორე განშლა:

აქტივობა 3. მსჯელობა:

დააკვირდი პოლ სეზანის ნატურმორტებს:

- რა ნივთებს ხედავ?
- როგორ ფორმებს ხატავს მხატვარი?
- საგნები მოცულობითად გამოიყურება თუ ბრტყლად?

პასუხი: პოლ სეზანი ხატავს უბრალო ნივთებს და ხილს. ასეთი ნივთები ყველას აქვს სამზარეულოში. სეზანს მომრგვალებული ფორმები მოსწონს. ეს საგნები მოცულობითად გამოიყურება.

როგორ ფერებს ხედავ:

- კაშკაშას თუ მკრთალს?
- მყვირალას თუ ჩუმს?

პასუხი: პოლ სეზანს მკვეთრი ფერებიც მოსწონს და მკრთალიც. ზოგი საგანი „ყვირის“ და ზოგი „ჩუმადაა“.

აქტივობა 4. მსჯელობა:

- რა ხატია წინ?
- რა ხატია ფონზე?
- სეზანის ნატურმორტებზე ფონი ცივია თუ თბილი?

აქტივობა 5. მსჯელობა:

დააკვირდი ჯორჯო მორანდის ნატურმორტებს:

- როგორ ფორმებს ხატავს მხატვარი?
- როგორი ფერებია სურათში: კაშკაშა თუ მკრთალი? მყვირალა თუ ჩუმი?
- რა ფერია ფონი?
- სურათი მხიარულია თუ სევდიანი?
- როგორი ფერები უყვარს მხატვარს?

პასუხი: ჯორჯო მორანდის მოსწონს ცილინდრული ფორმის, არაფრით გამორჩეული და უბრალო

საგნები. სურათში ყველაფერი გაუფერულებულია. აქ ნაზი, მკრთალი, „ჩუმი“ ფერებია. ყველა ფერს თითქოს რძისფერი აქვს შერეული. საგნები შეშინებულები ეკვრიან ერთმანეთს. სურათი სევდიანია, მოწყენილი. ფონიც ღია ფერისაა, სადა, ერთფერი. მორანდის ნაზი, მკრთალი ფერები უყვარს.

აქტივობა 6. შედარება, მსჯელობა

შეადარე პოლ სეზანისა და ჯორჯო მორანდის ნატურმორტები ერთმანეთს.

- რას ხედავ სეზანის ნატურმორტებში ისეთს, რაც არ ხატია მორანდისთან?

პასუხი: პოლ სეზანის ნატურმორტებზე არის ხილი. ჯორჯო მორანდი ხატავს მხოლოდ ჭურჭელს. ამ მხატვრების ნამუშევრებში არ არის გამოყენებითი ხელოვნების საგნები. მათ უბრალო ნივთების ხატვა უყვართ, მაგრამ მორანდის ნატურმორტებზე ნივთები უფრო სადაა, ვიდრე სეზანის სურათებზე. მორანდის მხატვრობა გამოირჩევა სისადავით და მკრთალი ფერებით. საგნები ერთმანეთთან ახლოს დგას. სეზანთან ისინი უფრო გაშლილია და მთელ სურათზეა განაწილებული. მორანდის ნატურმორტებზე ფონი ერთი ფერისაა, ხოლო სეზანთან – უფრო ჭრელი.

აქტივობა 7. პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

მასალა: სახატავი ფურცელი; გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი.

დახატე ნატურმორტი ნაზი, ჩუმი, ბაცი ფერებით;
მკრთალი ფერების მისაღებად საღებავს შეურიე თეთრი ფერი.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შემთხვევაშია დახატული ხილი და ყვავილები ნატურმორტი და რა შემთხვევაში – პეიზაჟი? (ბუნებაში, ხეზე ხილი და მინდორში ყვავილები – პეიზაჟია, ხოლო მოწყვეტილი – ნატურმორტი).
- რა არის ფონი?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილები 16, 17)

16. ჩვეულებრივი ნივთები

ნატურმორტებზე მსჯელობა

სამიზნე ცნებები/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: საშუალებები: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სიბრტყობრივი (2D)); ფერი (ღია, მუქი), ფონი; ხერხები: ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ხატვა, აპლიკაცია;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ნატურმორტი.

რესურსები: სახელმძღვანელო – იან ვან ჰოისუმის, პაბლო პიკასოს, ანრი მატისის, ანდრე დერენის, ვასილი შუხაევის და ვინსენტ ვან გოგის ნატურმორტები.

იდეები აქტივობებისთვის:

შესავალი სასაუბრო:

ზოგი მხატვარი ნივთებს ისე ხატავს, ნამდვილი გეგონება. ზოგი კი საგნის ფორმას ბრტყლად გვაჩვენებს.

პაბლო პიკასომ ნატურმორტზე ნივთები ბევრი ბრტყელი ფორმით ააწყო და კონტურით გამოკვეთა. იან ვან ჰოისუმმა კი ნატურმორტში საგნები ნამდვილივით დახატა.

აქტივობა 1. შედარება

შეადარე ერთმანეთს ანრი მატისის და ანდრე დერენის ნატურმორტები:

- როგორ ფორმებს ხედავ?
- რომელ სურათზე აქვთ საგნებს მოცულობა?

პასუხი: ამ ნატურმორტებზე საგნებს გეომეტრიული ფორმები აქვთ. მხატვრები ერთსა და იმავე საგნებს სხვადასხვანაირად ხატავენ – ზოგი ბრტყლად, ზოგი მოცულობითად. ანრი მატისის სურათზე ფორმები ბრტყელია, ანდრე დერენის ნატურმორტზე კი – მოცულობითი. დერენთან საგნებს ემჩნევათ სიღრმე, სიმრგვალე. მოცულობითად დახატული საგანი ნამდვილს ჰგავს. როცა საგნები ბრტყლადაა დახატული, მაშინვე ხვდები, რომ ეს ნახატია.

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა (ვასილი შუხაევის ნატურმორტზე)

- აუცილებელია, ნატურმორტი ლამაზი ნივთებით დახატო?

დააკვირდი ვასილი შუხაევის ნატურმორტს:

- რა დახატა მხატვარმა?

დამატებითი შეკითხვები:

- სურათი გრძივია თუ განივი?
- როგორ ფიქრობ, რატომ შეარჩია მხატვარმა გრძივი განლაგება?
- დააკვირდი სხვა ნატურმორტებს. რომელია გრძივი და რომელი – განივი?
- როგორია მათზე საგნების განლაგება?
- რის მიხედვით ირჩევენ მხატვრები, სურათს გრძივი ფორმა შეურჩიონ თუ განივი?

პასუხი: ზოგჯერ მხატვრის ყურადღებას სრულიად უბრალო ნივთებიც იპყრობს. მათ გვერდიგვერდ ყოფნაში მხატვარი რაღაც საინტერესოს აღმოაჩენს და ამას ჩვენც გვაჩვენებს.

ნატურმორტში შეიძლება დავხატო ნებისმიერი საგანი – გამოყენებითი ხელოვნების ლამაზი ნიმუშიც და უბრალო ნივთიც.

ვასილი შუხაევმა დახატა ცოცხი, აქანდაზი, ტილო, დაყირავებული ნაგვის ურნა, მაგრამ სურათი მაინც ლამაზია. საგნები მეგობრებივით ერთად არიან სიმაღლის მიხედვით ჩამწკრივებულები. თითქოს „მეგობრებმა“ ნაგავი წინ დაყარეს და ამით გვეუბნებიან, რომ ესაა მათი საზრუნავი. მხატვარმა ამ უბრალო ნივთების ამბავი გვიამბო. ფერებიც უხდება ერთმანეთს. აქ ცივი ფერიცაა (ლურჯი) და თბილიც (ყვითელი, ნარინჯისფერი).

ვასილი შუხაევმა სურათს გრძივი ფორმა შეურჩია, რადგან საგნები სიმაღლეშია განლაგებული.

სურათის ფორმა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა განლაგებული საგნები.

განივად დალაგებული საგნები გრძივ ფორმატზე ვერ დაეტევა. ასეთ ნატურმორტს განივი ფორმატი მოუხდება.

აქტივობა 3. „ნატურმორტი“, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო)

მასალა: ფერადი ფანქრები ან საღებავები.

დახატე ნატურმორტი შენთვის საინტერესო საგნებით:

- მიმოიხედე, გარშემო უამრავ საინტერესო ნივთს აღმოაჩენ. უბრალო ფანქარი და საშლელიც კი, შეგიძლია ნატურმორტის გმირებად აქციო.

- რა საგნებს შეარჩევ?
- შენს ნატურმორტს ფურცელზე გრძივად დახატავ თუ განივად? რატომ?

აქტივობა 4, 5. მსჯელობა:
დააკვირდი სურათებს და აღწერე, რა ნივთებს ხედავ თითოეულ ნატურმორტში?
ჩამოთვალე, კიდევ რა ნივთები შეიძლება დახატო ნატურმორტში?
პასუხი: სკამი და ფეხსაცმელი უსულო საგნებია, ამიტომ ეს სურათებიც ნატურმორტია.

17. ნივთები და ფორმა
ფორმების ამოცნობა ნატურმორტში.
რესურსები: სახელმძღვანელო – ვერა ფაღავას და სიუზენ ჰაბლის ნატურმორტები.
https://susanhable.net/collage;

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა:
დააკვირდი ვერა ფაღავას ნატურმორტებს:
- რას ხედავ?
- რა საგნებს ხედავ?
- რა ფორმებით დახატა მხატვარმა საგნები?
- როგორ ფერებს ხედავ?
- ფერები „ჩუმია“ თუ „ხმაურიანი“?

პასუხი: ეს ნატურმორტებია. აქ გამოსახულია დოქები, ჭიქები, საზამთროს ნაჭერი, თევზები. ვერა ფაღავამ საგნები გეომეტრიული ფორმებით დახატა. ეს ფორმები ბრტყელია. მათ სიმრგვალე არ ემჩნევათ. მხატვარს მოსწონს სამკუთხა და ოვალური ფორმები. ყველა ფორმა თითქოს გაწელილია.
ფერები მკრთალია, ისინი თითქოს ჩურჩულებენ, არ ყვირიან.

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა:
- რატომაა ერთი სურათი ვიწრო და გრძელი, მეორე დაბალი და განიერი?

პასუხი: ვერა ფაღავას ყველა სურათის ფორმა შეესაბამება საგნების განლაგებას. სადაც ნივთები განივად აწყვია, ის სურათი განივია, ხოლო სურათი, რომელშიც საგანი მაღალია, ის სურათი გრძივია და თითქოს დოქის სიმაღლეს უსვამს ხაზს.

წინარე ცოდნის გააქტიურება:
- თანამედროვე ამერიკელი მხატვარი, სიუზენ ჰაბლი ნატურმორტებს ფერადი ქაღალდებით ქმნის. გაიხსენე, რა ეწოდება ამ ტექნიკას?

პასუხი: ეს აპლიკაციაა.

აქტივობა 3. დაკვირვება:
დააკვირდი სიუზენ ჰაბლის ნატურმორტებს:
- როგორ ფორმებს ხედავ?
- რა საგნები ამოიცანი?
- რა განწყობაა ამ სურათებში?
- რა ქმნის ასეთ განწყობას?

პასუხი: სიუზენ ჰაბლის ერთ ნატურმორტზე ვხედავთ ტაფას, თეფშს კვერცხებით და ჭიქას. ეს ალბათ

მისი საუზმის ნატურმორტია. ამ სურათებზე უმეტესად უსწორმასწორო ფორმებია, მაგრამ არის წრეც, ოვალებიც და რომბებიც. ყველა ფორმა ბრტყელია.

სიუზან ჰაბლის ნატურმორტებში მშვიდი განწყობაა, რადგან ისინი ნათელი ფერებითაა შესრულებული.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო (შუალედური):
მასალა: ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო.

აპლიკაციის ტექნიკით გააკეთე ნატურმორტი;
გამოჭერი ფერადი ქაღალდის ფორმები;
დააკვირდი და მიამსგავსე ფორმები ნაცნობ ნივთებს;
დაალაგე და დააწებე ფორმები ფერად ფონზე.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა ტექნიკით შეასრულე შენი ნატურმორტი?
- რა საგნები ამოიცანი გამოჭრილ ფორმებში?
- როგორ განალაგე ისინი სურათზე – გრძივად თუ განივად?
- როგორი ფერებია შენს ნატურმორტზე – ცივი თუ თბილი? ღია თუ მუქი?
- როგორია შენი ნამუშევრის ფონი?

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის ნატურმორტი?
- რა ნივთებით შეიძლება ნატურმორტის დახატვა?
- როდის ჰგავს დახატული საგანი ნამდვილს – როცა მას ბრტყელი ფორმა აქვს, თუ როდესაც მას მოცულობითად ხატავენ?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილები 18, 19)
18. სახელოსნო
აპლიკაციის ტექნიკით ნატურმორტის შექმნა
სამიზნე ცნებები/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: საშუალებები: ხაზი (კონტური); ფერი (ცივი და თბილი, ღია და მუქი); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სიბრტყობრივი (2D)); ფონი; ხერხები: ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: აპლიკაცია;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ნატურმორტი.

რესურსები: სახელმძღვანელო – ნატურმორტები: როი ლიხტენშტეინი, ანრი მატისი, ლუის მელენდესი, პაბლო პიკასო.
*ამ და მომდევნო გაკვეთილში შემოთავაზებულია აპლიკაციის ტექნიკით შესასრულებელი ბევრი აქტივობა. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს რამდენიმე ან გამოიყენოს ისინი დიფერენცირებული სწავლების მიზნით.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, (სავარჯიშო)
დააკვირდი როი ლიხტენშტეინის სურათებს და გააკეთე მსგავსი ნატურმორტი აპლიკაციის ტექნიკით.

*მასალაში გაზეთი შემოგვაქვს, როგორც აპლიკაციისთვის ერთ-ერთი შესაძლო საინტერესო მასალა. ამ შემთხვევაში გაზეთი ლიხტენშტეინის ნატურმორტის ფონის იმიტაციას მოგვცემს.
მასალა: გაზეთი, ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცელი, მაკრატელი, წებო, შავი მარკერი.

- მოამზადე ფონი: დააწებე ფურცელზე გაზეთის ნაკუწები;.
- შავი მარკერით დახატე თეფში ან ჯამი;
- ფერად ქაღალდებზე ფანქრით დახატე ხილი;
- გამოჭერი და დააწებე ხილი გამზადებულ ფონზე;
- შავი მარკერით შემოავლე კონტური ხილს;
- ხაზით გამოყავი მაგიდა და კედელი.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, (სავარჯიშო)
დააკვირდი ანრი მატისის ნატურმორტს.
მხატვარმა ხილი ისე დახატა, თითქოს ზევიდან უყურებდა.
მასალა: ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცელი, მაკრატელი, წებო, წრიული საგანი ფორმის შემოსახაზად; შავი მარკერი.

- შემოხაზე წრიული საგანი და გამოჭერი თეფშის ფორმა;
- დააწებე წრე სხვა ფერის ფონზე;
- გამოჭერი ხილის ფორმები და დააწებე თეფშზე;
- დაამატე ხილს ფოთლები და მიუხატე ყუნწები;
- შემოავლე ფორმებს მუქი კონტური.

აქტივობა 3. დაკვირვება
დააკვირდი ლუის მელენდესის ნატურმორტს:
- რა ნივთებს ხედავ? (ხის თაროზე დევს ლეღვი, თეთრი დოქი, ქლიავი, პური, ხის პატარა კასრი, ჯამი თევზით).
- რა ფორმები ამოიცანი? (დოქი, ხილი – სფერო; კასრი – ცილინდრი; პური – პარალელეპიპედი).
- საგნები მოცულობითია თუ ბრტყელი? (მოცულობითი).
- რა ხილია დახატული? (ლეღვი, ქლიავი).
- იპოვე თევზი. (თევზი დევს ჯამში, უკან).

აქტივობა 4. შედარება
შეადარე ერთმანეთს პაბლო პიკასოსა და ლუის მელენდესის ნატურმორტები.
იპოვე ერთნაირი საგნები.
- რომელი სურათი ჰგავს ფოტოს და რომელს ემჩნევა, რომ ის დახატულია?
- რა ნიშნით განასხვავე?

პასუხი: ამ ორ ნატურმორტში ერთნაირი საგნებია პური, სახელურიანი თეთრი დოქი და ხილი.
მელენდესის სურათი ჰგავს ფოტოს, რადგან საგნები მოცულობითია და ნამდვილივით გამოიყურება.
პიკასოს სურათზე საგნები უხეში ფორმებითაა დახატული და ეტყობა, რომ ისინი არაა ნამდვილი.

აქტივობა 5. პრაქტიკული სამუშაო, კოლაჟი (შუალედური)
მასალა: ფერადი ჟურნალებდან ამოჭრილი ნივთების სურათები, ფერადი ფურცლები ფონისთვის, მაკრატელი, წებო, შავი მარკერი.

- ფერადი ჟურნალებიდან გამოჭერი სხვადასხვა ნივთის ფოტო;
- მოიფიქრე, როგორ დაალაგებ მათ ფურცელზე;
- დააწებე ფორმები ფერად ფონზე;
- შემოავლე საგნებს კონტური;
- გაუკეთე სურათს ჩარჩო

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:
- რა გააკეთე?
- რა ტექნიკით შეასრულე შენი ნატურმორტი?
- როგორი ფორმები აქვს შენს საგნებს?
- როგორ განალაგე ისინი სურათზე – გრძივად თუ განივად?
- რაში დაგეხმარა კონტური?
- როგორი ფერებია შენს ნატურმორტზე – ცივი თუ თბილი? ღია თუ მუქი?
- როგორია შენი ნამუშევრის ფონი?
- როგორ განწყობას გიქმნის ეს სურათი?
- რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში ყველაზე მეტად?
- რას შეცვლიდი?

19. აპლიკაციის სახელოსნო
რესურსები: სახელმძღვანელო – ფერნან ლეჟეს ნატურმორტები.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო
მასალა: ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, შავი მარკერი.

- ფერად ფურცლებზე დახატე და გამოჭერი თითო საგანი;
- ლამაზად დაალაგე და დააწებე გამოჭრილი საგნები ფერად ფონზე;
- მსხვილი მარკერით შემოავლე საგნებს შავი კონტური.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო
მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, შავი მარკერი.

- თეთრ ფონზე დააწებე ფერადი ქაღალდის უსწორმასწორო ნაჭრები;
- შავი მარკერით დახატე ზედ სხვადასხვა საგნის კონტური;
- უსწორმასწოროდ შემოაჭერი ნახატს ფონის ზედმეტი კიდეები;
- შემოჭრილი ნახატი დააწებე ფერად ფურცელზე;
- შემოავლე ნახატს კონტური და ჩარჩოც მზად არის.

აქტივობა 3. ლარნაკი ყვავილებით, პრაქტიკული სამუშაო

მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო, ფერადი ფანქრები ან მარკერები.

დახატე ლარნაკი:

- დააკვირდი ნიმუშს. როგორ არის გაკეთებული ყვავილები?
- გამოჭერი და დააწებე ერთმანეთს სხვადასხვა ზომის და ფერის წრეები;
- დააწებე წრეები ლარნაკის გარშემო;
- მწვანე ზოლებით გაუკეთე ყვავილებს ღეროები;
- დააწებე ფოთლები;
- გააფერადე ლარნაკი;
- გაუკეთე ნამუშევარს ჩარჩო.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

კომპლექსური დავალების პირობა:

ნატურმორტი შერეული ტექნიკით.

გააწყვე სუფრა:

- ჟურნალებიდან ამოჭრილი და შენ მიერ დახატული საგნებით გააწყვე სუფრა;
- გამოიყენე გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები;
- შეურჩიე ნატურმორტს ცივი ან თბილი, ღია ან მუქი ფერის ფონ..
- დაფიქრდი, როგორ აჯობებს ფურცელზე მათი დაწყობა – სიგრძეზე თუ სიგანეზე. ლამაზად გაანაწილე გამოჭრილი დეტალები ფონზე;
- დაამატე შენ მიერ დახატული ან ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ხილი, ბოსტნეული ან ყვავი-ლები.;
- გამოკვეთე ფორმები კონტურით.;
- მიახატე აპლიკაციას მაგიდა და სხვა დეტალები. გაუკეთე სურათს ფერადი ჩარჩო.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა ნამუშევარი შექმენი?
- რა ტექნიკით შეასრულე შენი ნატურმორტი?
- რა საგნების ფორმები გამოჭერი და რა დეტალები მიახატე?
- როგორი ფორმები აქვს შენს საგნებს?
- როგორ განალაგე საგნები სურათზე – გრძივად თუ განივად და რატომ?
- რაში დაგეხმარა კონტური?
- როგორი ფერებია შენს ნატურმორტზე – ცივი თუ თბილი? ღია თუ მუქი?
- რა ფერი შეურჩიე შენს ნამუშევარს ფონად და რატომ?
- რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად?
- რა გააკეთე პირველად, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა 3. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო

თემა: მხატვრები ხატავენ ნივთებს

მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – ქვეცნებები: ხაზი, ფერი, ფორმა, ფონი.

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – ქვეცნებები: შერეული ტექნიკა

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – ქვეცნებები: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები – ქვეცნებები: ნატურმორტი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

ნატურმორტი შერეული ტექნიკით.

ჟურნალებიდან ამოჭრილი და შენ მიერ დახატული საგნებით გააწყვე სუფრა. გამოიყენე **გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები**. შეურჩიე ნატურმორტს **ცივი ან თბილი, ღია ან მუქი ფერის ფონი**. დაფიქრდი, როგორ აჯობებს ფურცელზე მათი დაწყობა – სიგრძეზე თუ სიგანეზე. ლამაზად გაანაწილე გამოჭრილი დეტალები **ფონზე**. დაამატე ნატურმორტს შენ მიერ დახატული ან ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ხილი, ბოსტნეული ან ყვავილები. გამოკვეთე **ფორმები კონტურით.** მიახატე აპლიკაციას მაგიდა და სხვა დეტალები. გაუკეთე სურათს ფერადი ჩარჩო.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად, ქმნის ნატურმორტს შერეული ტექნიკით. მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სხვადასხვა მასალას. იცავს ტექნიკის პროცედურულ ეტაპებს.

მრავალფეროვანი ფორმებისა (გეომეტრიული და ბუნებრივი) და ფერების (ცივი, თბილი, ღია, მუქი) კომბინაციით ქმნის ორიგინალურ, მთლიან სურათს. სიღრმისეულად ესმის კონტურული ხაზის მნიშვნელობა და გამოკვეთს გამოსახულებებს კონტურით. ამდიდრებს ნამუშევარს ნახატი დეტალებით.

აცნობიერებს გამოსახულებების განლაგების მნიშვნელობას. ირჩევს ფურცლის შესაფერის ორიენტაციას.

წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
<tr><td>

მიმართებითი:

მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად, ქმნის ნატურმორტს შერეული ტექნიკით. სწორად იყენებს ტექნიკას და იცავს პროცედურის ეტაპებს. სხვადასხვა ფორმისა (გეომეტრიული და ბუნებრივი) და ფერების (ცივი, თბილი, ღია, მუქი) კომბინაციით ქმნის შეკრულ, მთლიან სურათს. კონტურული ხაზით გამოკვეთს რამდენიმე გამოსახულებას. ამდიდრებს ნამუშევარს რამდენიმე ნახატი დეტალით. ირჩევს ფურცლის შესაფერის ორიენტაციას.

წარდგენისას საუბრობს მუშაობის რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის ნატურმორტს შერეული ტექნიკით. მწირად იყენებს მასალას. იცავს შერეული ტექნიკის რამდენიმე ეტაპს. ქმნის სურათს რამდენიმე ფორმისა (გეომეტრიული და ბუნებრივი) და ფერის კომბინაციით, მაგრამ ნამუშევარს აკლია ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირი. არ ესმის კონტურული ხაზის მნიშვნელობა გამოსახულების გამოკვეთის მიზნით. ურთავს ნამუშევარს ორიოდ ნახატ დეტალს. ფურცლის ორიენტაციის არჩევანი არა გაცნობიერებული, არამედ შემთხვევითია. წარდგენისას შეუძლია საკუთარი ნამუშევრის აღწერა. მასწავლებლის დახმარებით იყენებს რამდენიმე ტერმინს.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ნამუშევარი წარმოადგენს ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი, რამდენიმე შემთხვევითი ფორმით აწყობილ აპლიკაციას. მასწავლებლის მითითებით ჭრის და აწებებს რამდენიმე ფორმას, მაგრამ ნამუშევარს აკლია ელემენტებს შორის კავშირი. არ ესმის ნატურმორტის მნიშვნელობა. მწირად იყენებს მასალას. არ ესმის კონტურული ხაზის მნიშვნელობა გამოსახულების გამოკვეთის მიზნით. ურთავს ნახატს ორიოდ ნახატ დეტალს. ფურცლის ორიენტაცია არ არის გააზრებული. წარდგენისას მარტივად პასუხობს შეკითხვებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 4

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: მხატვრები ხატავენ ბავშვებს
გაკვეთილები 20-26 საათების სავარაუდო რაოდენობა: 7+3

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- იდეები, შთაბეჭდილებები, ემოციები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის პიროვნებას, ადამიანების ყოფას შეიძლება სხვადასხვა **დარგის** და **ჟანრის** ნამუშევარში გადმოვცე;
- ნამუშევრის შექმნისას შემიძლია სხვებისთვის საკუთარი თავის გაცნობა, რისთვისაც შევარჩევ შესაბამის **მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)
ქვეცნებები
ხერხები:
ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2)
ქვეცნება: ხატვა
3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება: მხატვრობა
4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები:
ქვეცნებები – პორტრეტი, ყოფითი ჟანრი.

საკითხი – ბავშვები და ხელოვნება.
საკვანძო შეკითხვები:

- რას გვიამბობს ხელოვნება ბავშვებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრებაზე, გატაცებებსა და ინტერესებზე?
- როგორ გვეხმარება ხელოვნება, უკეთ გავუგოთ ერთმანეთს?
- რას გვიამბობს ხელოვნება სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ბავშვებზე?
- როგორ გვეხმარება ხელოვნება საკუთარი თავისა და სხვების უკეთ გაცნობაში?
- როგორ შეგვიძლია სხვებს გავაცნოთ საკუთარი თავი, ვუამბოთ ჩვენს ინტერესებზე და გატაცებებზე ხელოვნების ნამუშევრით?
- როგორ გადმოვცეთ სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებში ბავშვების ხასიათი, მათი ინტერესები და გატაცებები?

კომპლექსური დავალება – დავალების პირობა:
ვარიანტი 1. ჯგუფური პროექტი:
ალბომი „თამაშების ენციკლოპედია“.
დახატეთ შენი საყვარელი თამაშის ამსახველი სურათი. გამოსახე ბავშვები თამაშისთვის დამახასიათებელ პოზებში. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, **განივი ან გრძივი განლაგება**.
ნახატს მიაწერე თამაშის წესები.
შეაგროვეთ ნახატები და ჩააკარით ერთ ალბომში.

ვარიანტი 2:
„მე – რაინდი/პრინცესა“
წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი ან პრინცესა. შენმა **პორტრეტმა** სასახლის კედელი უნდა დაამშვენოს. **დახატე ავტოპორტრეტი**, რომელზეც შენს თავს შორეულ დროს მცხოვრებ ბავშვს მიამსგავსებ. გამოსახე შენი თავი ძველი დროის შესაბამისი სახასიათო ნიშნებით: ტანსაცმლით, ვარცხნილობით, პოზით. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, **განივი ან გრძივი განლაგება**.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)** ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ვარიანტი 1: „თამაშების ენციკლოპედია“:** ● რა თამაში დახატე? ● როგორ გადმოეცი თამაშის შესაბამისი მოძრაობები? ● როგორი განლაგება შეარჩიე შენი სურათისთვის – გრძივი თუ განივი და რატომ? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გაგიადვილდა/გაგიძნელდა? რას შეცვლიდი? **ვარიანტი 2: „მე – რაინდი/პრინცესა“** ● რა დახატე? ● რა ჩაცვი შენს გმირს? ● როგორ გადმოეცი, რას აკეთებს ის? ან: როგორ პოზაში დააყენე ის? ● როგორი განლაგება შეარჩიე შენი სურათისთვის – გრძივი თუ განივი და რატომ? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გაგიადვილდა/გაგიძნელდა? ● რას შეცვლიდი?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები).
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
როგორები იყვნენ ბავშვები ადრე? როგორები არიან ბავშვები სხვა ქვეყნებში?
როგორი იყო და როგორია ახლა ბავშვების ჩაცმულობა, თამაშები, ინტერესები, გატაცებები?
როგორები ვართ ჩვენ?
რით ვგავართ ერთმანეთს და რით განვსხვავდებით?
ამ კითხვებზე პასუხს ხელოვნება გვცემს.
რას გვიამბობს მხატვრობა?
რომ არა მხატვრობა, საიდან გავიგებდით, როგორები არიან ბავშვები სხვა ქვეყნებში და როგორები იყვნენ ადრე?
რა შეგიძლიათ თქვენი ნახატებით უამბოთ ადამიანებს თქვენ შესახებ?
რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 20-26;
ილუსტრაციები: რობერტ პიკი, იაკობ ვან დოორტი, ჯიროლამო მაცოლა ბედოლი, დანიელ მიტენსი, კორნელის კეტელი, ამედეო მოდილიანი, ერნსტ ლუდვიგ კირხნერი, ილია რეპინი, ანრი მატისი, ალექსანდრე ბანძელაძე, ლუკას კრანახი, ელიზაბეტ ვიჟე-ლებრენი, მარი კასატი, კამილ პისარო, მე-6 ს. -ის მოზაიკა კონსტანტინოპოლის სასახლიდან, ძველი ფოტო (1905 წ.), ჯორჯო დე კირიკო, ოგიუსტ რენუარი, პაბლო პიკასო, პიტერ ბრეიგელ უფროსი, ჰარი ბრუკერი, ნავნიტ პარიხი (ინდოეთი), დიმიტრი ერისთავი, იტო შინსუი (იაპონია), ფილის სტეფენსი (ა.შ.შ), სუზუკი ჰარუნობუ (იაპონია), ტეოფილ-ემანუელ დიუვერჟერი (საფრანგეთი), ბალთუსი (ბალთაზარ კლოსოვსკი დე როლა).
ინტერნეტრესურსები:
რობერტ პიკი, „ინგლისის პრინცესა ელიზაბეტის პორტრეტი“, 1606 წ.:
https://bit.ly/45UdH9Y;
რობერტ პიკი, „ინგლისის პრინცის ჩარლზის პორტრეტი“, 1610 წ:
https://bit.ly/3J9zsJA;
ამედეო მოდილიანი ,„გოგონა ცისფერი კაბით“, 1918 წ.:
https://bit.ly/3P61Pvl;
ამედეო მოდილიანი ,„ბიჭის პორტრეტი“, 1918 წ.:
https://bit.ly/3Ykur5f;
პიტერ ბრეიგელ უფროსი, „ბავშვების თამაშები“:
https://bit.ly/3ZltYRq;
ტელესკოლა, ვიდეო გაკვეთილები:
„როგორ დავხატოთ პორტრეტი“:
https://www.youtube.com/watch?v=nRZlZKV-EPo&t=1s;
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
ვარიანტი 1:
„თამაშების ენციკლოპედია“:
- რას თამაშობენ თანამედროვე ბავშვები?
- რომელია თქვენი საყვარელი თამაში?
- როგორი მოძრაობებია დამახასიათებელი ამა თუ იმ თამაშისთვის?
- რით გადმოგვცემთ ამ მოძრაობას?
- რის მიხედვით შეარჩევთ, ფურცელი განივად უნდა დაიდოთ თუ გრძივად?

ვარიანტი 2:
„მე – რაინდი/პრინცესა“
- როგორ გამოიყურებოდნენ ბავშვები ადრე?
- რა შეიძლება გავიგოთ ადრე და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების შესახებ ხელოვნების ნიმუშებიდან?
- რას გვიამბობს მხატვრობა მათ ჩაცმულობაზე, ინტერესებსა და გატაცებებზე?
- თქვენ რომ ძველ დროს გეცხოვრათ, როგორი ტანსაცმელი გეცმეოდათ?
- როგორი ვარცხნილობა გექნებოდათ?

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 20, 21)

20. რას გვიამბობს პორტრეტი (ორი განშლა)

პორტრეტის ჟანრის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პორტრეტი.

რესურსები: სახელმძღვანელო, ილუსტრაციები:

პირველი განშლა – რობერტ პიკი, იაკობ ვან დოორტი, ჯიროლამო მაცოლა ბედოლი, დანიელ მიტენსი, კორნელის კეტელი.

რობერტ პიკი, „ინგლისის პრინცესა ელიზაბეტის პორტრეტი“, 1606 წ.
https://bit.ly/3mqnXVf;
რობერტ პიკი, „ინგლისის პრინცის ჩარლზის პორტრეტი“, 1610 წ.
https://bit.ly/3J9zsJA;

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

- რას გვიამბობს მხატვრობა?
- რა არის პორტრეტი და რას გვიამბობს ის ადამიანის შესახებ?
- რატომ იქმნება პორტრეტები? რისი ჩვენება სურთ ადამიანებს საკუთარი პორტრეტებით?

ძველად სასახლეების კედლები სავსე იყო პორტრეტებით. წარჩინებული ოჯახები ცნობილ მხატვრებს იწვევდნენ და საკუთარ პორტრეტებს უკვეთდნენ. მათ სურდათ, შთამომავლებს სცოდნოდათ, როგორები იყვნენ მათი წინაპრები.

პორტრეტი გვაჩვენებს, როგორ გამოიყურებოდა, როგორ ცხოვრობდა, როგორი ხასიათი ჰქონდა ადამიანს. მხატვრობამ შორეულ წარსულში მცხოვრები ადამიანების სურათები და მათი ისტორია შემოგვინახა.

დღეს ადვილია პორტრეტის გაკეთება – დააჩხაკუნებ კამერას და ფოტოც მზადაა. ძველად პორტრეტებს მხატვრებს ახატვინებდნენ. პორტრეტი რომ ლამაზი გამოსულიყო, გამოპრანჭული ადამიანები საათობით გაუნძრევლად იდგნენ მხატვრის წინ.

რისთვის წვალობდნენ ასე? რისი ჩვენება სურდათ?

რომ არა მხატვრობა, საიდან გავიგებდით, როგორები იყვნენ და როგორ ცხოვრობდნენ ბავშვები ადრე?

აქტივობა 1. კვლევა, შედარება:

- როგორები იყვნენ შენი წინაპრები?
- მოიძიე მათი ბავშვობის ფოტოები.
- დააკვირდი მათ ჩაცმულობას, ვარცხნილობას, დგომას.
- რა განსხვავებაა თანამედროვე და ძველ სურათებს შორის?

აქტივობა 2. სურათის აღწერა:

დააკვირდი ბავშვების პორტრეტებს:

- აღწერე მათი გარეგნობა, დგომა, გამომეტყველება და ჩაცმულობა.

- ვის უყურებენ ისინი?
- რატომ არიან ბავშვები დაძაბულები?
- ასე რომ გეცვას, როგორ იგრძნობდი თავს?
- რით განსხვავდებიან ეს ბავშვები დღევანდელი ბავშვებისგან?

პასუხი: ძველ პორტრეტებზე ბავშვებს იმ დროისთვის მოდური, მდიდრული ტანსაცმელი აცვიათ. ისინი ფეხზე დგანან, სერიოზული გამომეტყველებით. არცერთი არ იცინის. ჩანს, რომ ეს ბავშვები წარჩინებული ოჯახის შვილები არიან. გოგონებს დედოფლებივით აცვიათ: მაქმანებითა და ნაქარგობით გაწყობილ გრძელ, გაფშეკილ კაბებზე სამკაული, მძივები და გაფხორილი საყელოები უკეთიათ. ბიჭებს მოკლე, განიერი შარვლები აცვიათ, ფეხსაცმელი და წინდები ბაფთებით აქვთ შეკრული, წელზე მძიმე ხმალი აქვთ შემორტყმული. ჩანს, რომ ეს ტანსაცმელი მოუხერხებელია. ბავშვები მორჩილად, გაუნძრევლად დგანან, მხატვარს თვალებში უყურებენ. ალბათ, ურჩევნიათ სათამაშოდ გაიქცნენ. თუმცა, ასეთი ტანსაცმლით თამაში, სირბილი, ხტუნვა, ძრომიალი ალბათ ძალიან რთული იქნებოდა.

მეორე განშლა

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: ლუკას კრანახი, ელიზაბეტ ვიჟე-ლებრენი, მარი კასატი.

იდეები აქტივობებისთვის:

ლექსიკონი:

მიმიკა – გამომეტყველება;

პოზა – სხეულის მდგომარეობა.

წინარე ცოდნის გააქტიურება, შედარება:

დააკვირდი მარი კასატის და ლუკას კრანახის სურათებს.

- გამოიცანი, რომელია დახატული ძალიან დიდი ხნის წინ?

რომელია უფრო თანამედროვე?

პასუხი: გერმანელი მხატვრის, ლუკას კრანახის (მე-15-16 სს.) გმირების ჩაცმულობა ისე განსხვავდება თანამედროვე კოსტიუმებისგან, რომ ადვილი მისახვედრია – ამ ილუსტრაციებში მისი ნამუშევრები ყველაზე ძველია.

შეადარე ერთმანეთს ლუკას კრანახის და ელიზაბეთ ვიჟე-ლებრენის მიერ შესრულებული პორტრეტები.

- რას გვატყობინებს ბავშვების ჩაცმულობა?

პასუხი: ლუკას კრანახის ბავშვები საგანგებოდ არიან გამოპრანჭულები, ისინი ალბათ მშობლებმა დაახატვინეს მხატვარს. ხოლო ფრანგი მხატვრის, ელიზაბეტ ვიჟე-ლებრენის პორტრეტებზე გოგონებს უფრო სადად, შინაურულად აცვიათ. ეს გოგონები შეიძლება მხატვრის შვილები იყვნენ და დედას უნდოდა, სამახსოვროდ დაეხატა მათი პორტრეტები. მათი გამომეტყველება უფრო ცოცხალია, ვიდრე კრანახის ბავშვების. ხვდები, რომ ვიჟე-ლებრენის მოდელი პრანჭია, ცელქი გოგოა. კრანახის ბავშვების ხასიათს კი ვერ ამოიცნობ.

აქტივობა 3. სურათის აღწერა:

დააკვირდი სურათებს:

- რას გვაჩვენებს მხატვარი?
- აღწერე ბავშვების მიმიკა და პოზა.
- აღწერე ბავშვების ჩაცმულობა.

მიმიკა სახის გამომეტყველებაა. მიმიკა გამოხატავს ადამიანის ემოციას. როცა ადამიანს უხარია, წყინს, უკვირს, ეშინია, მისი გამომეტყველება, ანუ მიმიკა იცვლება. ადამიანმა ხმაც რომ არ ამოიღოს, მიმიკით მიხვდები, როგორ განწყობაზეა ის.

პოზა გვიჩვენებს, თუ როგორ დგას, ზის ან მოძრაობს ადამიანი.

21. რა შეიცვალა?

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: ამედეო მოდილიანი, ერნსტ ლუდვიგ კირხნერი, ილია რეპინი, ანრი მატისი.

აქტივობა 1. დაკვირვება, შედარება, მსჯელობა

* მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა დროის პორტრეტებს.

ილუსტრაციების ქვემოთ მითითებული მაღალი რეზოლუციის აქტიური ბმულები სურათების დეტალურად დათვალიერების შესაძლებლობას იძლევა:

ამედეო მოდილიანი „„გოგონა ცისფერი კაბით“, 1918 წ.

https://bit.ly/3ZC1K4D;

ამედეო მოდილიანი „„ბიჭის პორტრეტი“, 1918 წ.

https://bit.ly/3Ykur5f;

გადახედე სახელმძღვანელოს.

შეადარე ერთმანეთს ძველი და ახალი დროის პორტრეტები.

- რა შეიცვალა?
- ბავშვები დგანან თუ სხედან?
- დაძაბულები არიან თუ მოშვებულები?
- როგორი გამომეტყველება აქვთ?
- როგორ ეცვათ ბავშვებს ძველად და როგორ აცვიათ მოდილიანის ნახატებზე?

პასუხი: ადრინდელ პორტრეტებზე ბავშვები საზეიმოდ გაჯგიმულები დგანან, მოდილიანის მიერ შესრულებულ პორტრეტებზე კი სხედან და თანაც მოშვებულად. ბავშვებს ემჩნევათ, რომ მოსწყინდათ ერთ ადგილას ყოფნა. მათ სადად აცვიათ, არ არიან საგანგებოდ გამოპრანჭულები. ძველად ბავშვებს დაძაბულად გამოსახავდნენ, შემდეგდროინდელ პორტრეტებზე კი ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს.

დამატებითი სასაუბრო:

ძველ პორტრეტებზე მხატვრები უამრავ დეტალს ხატავდნენ – ნაქარგი ქსოვილები, მაქმანები, ბაფთები, ღილები, ძვირფასი სამკაული, ჯაჭვები და იარაღი...

ასევე დეტალურად გამოწერილი ფონი პერსონაჟების გარემოს გვაჩვენებს. ასე საგულდაგულოდ შესრულებულ ნამუშევარს მხატვრები ძალიან დიდხანს ხატავდნენ.

თანამედროვე პორტრეტებში დეტალებს ნაკლები ყურადღება ექცევა, თითქოს მხატვარს ეშინია, ბავშვი არ გაექცეს და ცდილობს, სწრაფად დახატოს ის.

აქტივობა 2. დაკვირვება

დააკვირდი ერნსტ ლუდვიგ კირხნერის, ილია რეპინის და ანრი მატისის პორტრეტებს:

- რას აკეთებდნენ ბავშვები, როცა მათ მხატვარი ხატავდა?
- ცდილობენ ბავშვები, რომ თავი მოგვაწონონ?
- იგრძნობა, რომ მათ წინ მხატვარი დგას და ხატავს?

- დაფიქრდი, რისი ჩვენება უნდოდა მხატვარს?
- გაიხსენე, რას გვაჩვენებს ძველი პორტრეტები?

დააკვირდი პორტრეტებს. მათი უმეტესობა გრძივადაა დახატული, მაგრამ არის ერთი განივი სურათიც. იპოვე ის.

- როგორ ფიქრობ, რატომ არჩია მხატვარმა მისი განივად დახატვა?

პასუხი: ამ პორტრეტებზე გოგონები ისე იქცევიან, თითქოს მხატვარს ვერც კი ამჩნევენ. ისინი სულაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ მათ პორტრეტებს მომავალში ბევრი ადამიანი ნახავს.

ერნსტ ლუდვიგ კირხნერის მარცელას საშინაო ტანსაცმელი აცვია. მან ისევე მყუდროდ მოიკალათა ტახტზე, როგორც მის გვერდით – კატამ.

ილია რეპინის ჭრიჭინა თითქოს სირბილით დაიღალა და სულის მოსათქმელად წამით ჩამოჯდა ხის ძელზე. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ სადაცაა ჩამოხტება და ისევ მინდორში გაიქცევა. გოგონას წინდები ჩამოეჩაჩა და სულაც არ აღელვებს, რომ პორტრეტზე მოუწესრიგებელი გამოჩნდება.

ანრი მატისის მარგარიტა კითხულობს და გარშემო ვერაფერს ამჩნევს.

მხატვრებს უნდოდათ ეჩვენებინათ, როგორები არიან ეს ბავშვები უშუალო, ჩვეულებრივ მომენტებში.

ანრი მატისმა გოგონა არა გრძივად, არამედ განივად დახატა, რომ გამოსახულება კარგად დატეულიყო ტილოზე. ის პორტრეტები, რომლებშიც ბავშვები დგანან, გრძივადაა დახატული. განივად რომ დაეხატათ, გარშემო ბევრი ზედმეტი, ცარიელი ადგილი დარჩებოდა.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა გვიამბო პორტრეტებმა?
- როგორები იყვნენ ბავშვები ძველად?
- როგორ ხატავდნენ მათ მხატვრები?
- როგორ ეცვათ ადრე ბავშვებს?
- როგორ პოზებში დგანან ისინი პორტრეტებზე?
- როგორი გამომეტყველება აქვთ?
- რა შეიცვალა შემდგომ?
- რის მიხედვით არჩევს მხატვარი, სურათი განივად დახატოს თუ გრძივად?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 22)

22. როგორ დავხატო ადამიანი

ადამიანის სხვადასხვა პოზითა და მიმიკით ხატვა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ხატვა, ხატვა კომპიუტერული პროგრამით;
2. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
3. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნებები**: პორტრეტი, ყოფითი ჟანრი.

რესურსები: სახელმძღვანელო, კომპიუტერი, წვდომა ინტერნეტზე, მიმიკის ნიმუშები (ამოსაბეჭდი, იხ. დანართში), სარკე.

ტელესკოლა, „როგორ დავხატოთ პორტრეტი“:
https://www.youtube.com/watch?v=nRZIZKV-EPo&t=1s

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო თამაში – მიმიკა და პოზა:

ჩვენ წინასწარ არ ვფიქრობთ, როგორი პოზა ან მიმიკა გვექნება ამა თუ იმ სიტუაციაში, ეს ჩვენდა უნებურად ხდება, მაგრამ ახლა საგანგებოდ მივიღებთ სხვადასხვა პოზასა და მიმიკას, რომ დავაკვირდეთ, როგორ იცვლება სახის ნაკვთები და სხეულის მოძრაობა სიტუაციის მიხედვით (გვიხარია, გვიკვირს, ვბრაზობთ, გვწყინს...).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პოზითა და მიმიკით განასახიერონ სხვადასხვა ემოცია. დააკვირდნენ, რომელი პოზა და მიმიკა შეესაბამება ერთმანეთს და რომელი – არა (ვთქვათ, თავჩაქინდრული, ხელებდაშვებული პოზა არ შეესაბამება გახარებულ სახეს და ა.შ.).

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშო, ციფრული ნამუშევარი

*ინტერნეტის ან კომპიუტერის არქონის შემთხვევაში ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ჟურნალის ფოტოზე მარკერით.

- მოიძიე ინტერნეტით და ჩამოტვირთე კომპიუტერში ადამიანის მთლიანი გამოსახულება;
- კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში შეარჩიე ფუნჯი;

დააკვირდი ნიმუშებს:

- გააყოლე ხაზი ადამიანის გამოსახულების ხერხემალსა და კიდურებს;
- ბოლოს შემოხაზე თავი;
- რა გამოგვიდა? გადაიხატე შენი ნახატი ფურცელზე;
- ჩააცვი ფიგურას ტანსაცმელი.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

* დიფერენცირებული სწავლების მიზნით, მოსწავლემ შეიძლება მიახატოს ამობეჭდილ ნიმუშზე გამოსახულ ადამიანებს ტანსაცმელი. (იხ. დანართი)

მასალა: სახატავი ფურცელი ან ამობეჭდილი ნიმუში, უბრალო ფანქარი.



- გადაიხატე კაცუნები;
- დახატე ადამიანი სხვადასხვა პოზაში;
- მოიფიქრე და დაამატე შენებური პოზები;
- როცა ხელს გაივარჯიშებ, შენს დახატულ კაცუნებს ჩააცვი ტანსაცმელი.

დამატებითი მითითება: დააკვირდი, რა ადგილებში იღუნება კიდურები.

აქტივობა 3. დაკვირვება

დღეს ერთმანეთს ჩვენს განწყობას ასეთი გამოსახულებებით ვუზიარებთ.

- რა ემოციას გამოხატავს თითოეულის მიმიკა?

აქტივობა 4. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო

მასალა: სარკე, სახატავი ფურცელი, ფანქრები.

ჩაიხედე სარკეში.

განასახიერე ბრაზი, სიხარული, წყენა...

დააკვირდი შენი სახის ნაკვთებს – წარბებს, თვალებს, ტუჩებს...

- როგორ იცვლება ამ დროს შენი მიმიკა?
- წრეებში ჩახატე სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სახეები.

*დასაქსეროქსებელი ნიმუში იხ. დანართში:



აქტივობა 5. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, (შუალედური)

მასალა: სარკე, სახატავი ფურცელი, ფანქრები.

გაამთლიანე შენი ცოდნა:

ჩაიხედე სარკეში;

დააკვირდი შენს პოზას;

დახატე რამდენიმე (2-3) ადამიანი სხვადასხვა პოზითა და მიმიკით.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რას აკეთებენ შენი კაცუნები?
- როგორი პოზით აჩვენე მათი მოქმედება?
- როგორი მიმიკა აქვს თითოეულს?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რას შეცვლიდი?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილები 23, 24, 25)

23. მივიწყებული თამაში

ყოფითი ჟანრის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ხერხები – ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნებები**: პორტრეტი, ყოფითი ჟანრი.

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: მე-6 ს-ის მოზაიკა კონსტანტინოპოლის სასახლიდან, 1905 წლის ფოტო, ჯორჯო დე კირიკოს, ოგიუსტ რენუარის და პაბლო პიკასოს ნამუშევრები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

მხატვრობა გვიამბობს, როგორ ერთობოდნენ ბავშვები ძველად.

რამდენიმე ათასი წლის წინანდელ ნახატზე ბიჭი რგოლებს მიაგორებს. ეს უძველესი თამაშია, სერსო, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს.

- იცი, როგორ თამაშობედნენ ბავშვები სერსოს?

დარბოდნენ და ლითონის რგოლს ჯოხით მიაგორებდნენ.

- რას გვიამბობენ ძველი სურათები?

აქტივობა 1, 2, 4. დისკუსია:

დააკვირდი სურათებს:

- რა შენიშნე?
- რას აკეთებენ ბავშვები?
- რომელი ბავშვის პოზა გვიჩვენებს, რომ ის ამ მომენტში თამაშობს?
- რომელი ბავშვები დგანან უძრავად?

პასუხი: მე-6 საუკუნის მოზაიკაზე და ჯორჯო დე კირიკოს სურათზე ბავშვების პოზა გვიჩვენებს, რომ ისინი თამაშის პროცესში არიან. ყველა სურათში ბავშვებს ხელში რგოლი და ჯოხი უჭირავთ.

*მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა დანიშნულებისაა ეს ნივთი, უთამაშიათ თუ არა მსგავსი თამაში.

- როგორი სათამაშოებით თამაშობენ ბავშვები დღეს?
- რა გამოგადგება სერსოს სათამაშოდ?
- რისი სწავლა შეგვიძლია ძველი სურათებიდან?

პასუხი: მხატვრობა გვიამბობს, როგორები იყვნენ ბავშვები ადრე, რით ერთობოდნენ, რას თამაშობდნენ. ჩვენ შეგვიძლია ნახატებიდან აღვადგინოთ მივიწყებული თამაშები.

- იპოვე გოგონა სახტუნაოთი.

პასუხი: ოგიუსტ რენუარის სურათზე ცისფერკაბიან გოგონას ხელში სახტუნაო უჭირავს.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, შუალედური:
მასალა: მოსწავლის არჩევანით.

- როგორი სათამაშოებით თამაშობენ ბავშვები დღეს, როცა გარეთ ღია ცის ქვეშ არიან?
- დახატე ყოფითი სურათი: „ჩემი საყვარელი თამაში“.
- მოქმედება გადმოეცი თამაშის შესაბამისი პოზით.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა თამაში დახატე?
- როგორი მოძრაობები ახასიათებს ამ თამაშს?
- როგორი პოზით გადმოეცი ეს მოძრაობა?

24. თამაშების ენციკლოპედია
რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაცია: პიტერ ბრეიგელ უფროსი, „ბავშვების თამაშები“.
https://bit.ly/42xug8S
იდეები აქტივობებისთვის:
*გაკვეთილის დასაწყისში, სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ გარკვეული დრო, რათა ყურადღებით დაათვალიერონ სურათი. შესაძლოა, მათ ამოიცნონ ნაცნობი თამაშები.

სურათის უკეთ აღსაქმელად, სასურველია, მასწავლებელმა ის ეკრანზე აჩვენოს. თუ ინტერნეტზე წვდომა არ გაქვთ და ზემოთ მითითებულ ბმულზე მაღალი ხარისხის ფოტოს ვერ აჩვენებთ, გამოიყენეთ სახელმძღვანელოში გამოტანილი გადიდებული დეტალები (დავალება 1). ისინი დაეხმარება მოსწავლეებს, ყურადღებით დაათვალიერონ სურათი.

აქტივობა 1, 2. დაკვირვება, დისკუსია:
დააკვირდი სურათის დეტალებს.
იპოვე ისინი სურათზე.

- რას თამაშობენ ბავშვები?
- რომელი თამაში გეცნობა?
- შეადარე შენთვის ნაცნობ თამაშებს.
- რომელი ბავშვი ბერავს საპნის ბუშტებს? (ქვედა რიგში, პირველ სურათზე ცისფერპერანგიანი ბავშვი).

დააკვირდი ბავშვების პოზებს:

- მხატვარს ყველა ბავშვი გამართულად მდგომი რომ დაეხატა, მიხვდებოდი, რას აკეთებენ ისინი?

25. ნაცნობი თამაშები
რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: ჰარი ბრუკერი (ინგლისი), ნავნიტ პარიხი (ინდოეთი), დიმიტრი ერისთავი, იტო შინსუი (იაპონია), ფილის სტეფენსი (ა.შ.შ), ჰანს ანდერსენ ბრენდკილდი (დანია), ტეოფილ-ემანუელ დიუვერჟერი (საფრანგეთი).

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
მხატვრობა გვიამბობს, რომ სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები ერთნაირი თამაშებით ერთობიან.

აქტივობა 1. დაკვირვება, ინტერპრეტაცია:
დააკვირდი სურათებს:

- რას თამაშობენ ბავშვები?
- რომელი თამაში გეცნო?
- მოუფიქრე სურათებს სათაური.

შენ უკვე იცნობ: პორტრეტს, პეიზაჟს, ნატურმორტს და ყოფით სურათს.

- დაფიქრდი, რომელ ჟანრს მიაკუთვნებდი ჰარი ბრუკერის სურათებს?
- (დამატებითი შეკითხვა) რა ნიშნით მიაკუთვნე ისინი ყოფით სურათებს?

შეარჩიე ერთ-ერთი სურათი.

- მოიფიქრე მოკლე ამბავი;
- წარმოიდგინე, რით დაიწყო სურათში აღწერილი ამბავი.
- როგორ დამთავრდება თამაში?

აქტივობა 2. დაკვირვება
დააწყვილე ერთი და იმავე თამაშის ამსახველი სურათები.

- რა თამაშები ამოიცანი?

პასუხი: ბავშვები კლასობანას თამაშობენ საქართველოში და ინდოეთში; სახტუნაოთი თამაშობენ იაპონიასა და ამერიკაში; საპნის ბუშტებს ბერავენ საფრანგეთი და დანიაში

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა გვიამბო მხატვრობამ შორეულ წარსულში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებზე?
- რა საერთო დაინახეთ მათთან?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 26, ორი განშლა)
26. როცა სახლში ვარ
ყოფითი ჟანრის სურათების აღწერა
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
2. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: – მხატვრობა;
3. სახვითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნებები**: ყოფითი ჟანრი.

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები:
პირველი განშლა: ანრი მატისის ნამუშევრები „პიანისტი და შაშის მოთამაშეები“, „ოჯახი, ჭადრაკის თამაში“.
მეორე განშლა: ბალთუსის (ბალთაზარ კლოსოვსკი დე როლა) ნამუშევრები „მხატვარი და მოდელი“, „ბიჭი და მტრედები“.

იდეები აქტივობებისთვის:
პირველი განშლა:

აქტივობა 1, 2. სურათის აღწერა, ინტერპრეტაცია:

- რას აკეთებენ სურათის გმირები?
- რას გამოხატავს მათი პოზები?
- რა ხმები ისმის ამ ოთახში?
- რაზე შეიძლება საუბრობდნენ ისინი?
- როგორი განწყობაა სურათში?
- აღწერე ოთახი.
- რა საგნებს ხედავ?
- რომელი ფერი ჭარბობს?

პასუხი: ოთახში სამი ადამიანია. ქალი უკრავს ფორტეპიანოზე. ერთი ბიჭი მის უკან დგას და აკვირდება. მეორე ბიჭი ზის სავარძელში და წიგნს კითხულობს. ისინი არ ლაპარაკობენ. ოთახში მარტო მუსიკის ხმა ისმის. შეიძლება მერე ბიჭმა ქალს სთხოვოს, კიდევ დაუკრას რამე. სურათში მკვეთრი, ხალისიანი ფერებია – ხალიჩის, კედლის... ჭარბობს წითელი, თბილი ფერი. ქალს ლურჯი კაბა აცვია. ბიჭებს კი – ერთნაირი, შავ-თეთრი ზოლიანი პერანგები და მოკლე თეთრი შარვლები. ისინი ძმები არიან. სახლში თბილა. ამ სურათში მყუდრო ოჯახური განწყობაა.

დააკვირდი მეორე სურათს:

- რა მსგავსებაა ამ ორ სურათს შორის?
- რა აცვიათ ბიჭებს? რას თამაშობენ?
- რაზე შეიძლება საუბრობდნენ ისინი?
- სურათი გრძივია თუ განივი? როგორ ფიქრობ, რატომ?

პასუხი: იმავე ოთახში იმავე ადამიანებს ვხედავთ. ქალი ისევ ფორტეპიანოზე უკრავს, ბიჭები კი ჭადრაკს თამაშობენ. ქალს აქ ყვითელი კაბა აცვია, ბიჭებს კი იგივე შავ-თეთრი ზოლიანი ტანსაცმელი. აქ ოთახის სხვა კედელიც ჩანს – კარადა, კომოდი, ზედ – ქანდაკება, სხვადასხვა ნივთი, კედელზე სურათები კიდია, ალბათ მათი მამის, ანრი მატისის დახატული. მეორე სურათში იატაკზე სხვანაირი ხალიჩა აფენია, უფრო მკვეთრი წითელი ფერის. ოთახში მუსიკა ისმის. ბიჭები არ საუბრობენ. ერთი მათგანი თავით ხელს ეყრდნობა. ეს პოზა მიგვანიშნებს, რომ ის შემდეგ სვლაზე ფიქრობს. შეიძლება ისინი საუბრობენ, ალბათ, ჭადრაკის სვლებზე...

- ამ ორი სურათის მიხედვით მოიფიქრე პატარა ამბავი.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო (შუალედური):

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

დახატე ყოფითი სურათი, როგორ ატარებ თავისუფალ დროს სახლში.

- რას აკეთებენ ამ დროს ოჯახის წევრები?
- გადმოეცი მოქმედება შესაბამისი პოზებით.

მეორე განშლა:

აქტივობა 4. სურათის აღწერა, ინტერპრეტაცია:

დააკვირდი ბალთუსის სურათებს.

- რას ხედავ? (რომელი ჟანრის სურათებია?)
- რას აკეთებენ სურათის გმირები?
- რას გამოხატავს გოგონას პოზა და მიმიკა?
- რა ნივთებს ხედავ ოთახში?
- ფერები ნაზია თუ მკვეთრი?
- ოთახში სიჩუმეა თუ ხმაური?

პასუხი: სურათზე ვხედავთ ადამიანებს ოთახში. აქ მათი ყოველდღიური ცხოვრებაა აღწერილი, ამიტომ ყოფითი ჟანრის სურათია. ფანჯრები დახურულია.

სურათზე მამაკაცი ფარდას სწევს, რომ სინათლე შემოუშვას. გოგონა, მუხლებით იატაკზე, იდაყვებით სკამს ეყრდნობა, წიგნს (მხატვრის ნამუშევრების ალბომს) ფურცლავს და ინტერესით ათვალიერებს. გოგონას უკან დგას მეორე სკამი (ზედ გადაფენილი ტანსაცმლით) და მაგიდა (ზედ კალათაში ხილით). კაცი ზურგით დგას, გოგოც თავისთვის ერთობა. ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, ამიტომ სურათში სიჩუმეა. ფერები მკრთალია და „ჩუმი“.

აქტივობა 5. სურათის აღწერა, ინტერპრეტაცია:

- რას ხედავ?
- რა არის სურათში მთავარი?
- რას აკეთებს ბიჭი?
- რას გამოხატავს მისი მიმიკა?
- რაზე ფიქრობს?
- რა ხმები ესმის?
- რა მოჩანს ფანჯარაში?
- მოუფიქრე სურათს სათაური.
- მოიფიქრე ამბავი სურათის მიხედვით.

პასუხი: სურათზე ბიჭი დგას მაგიდასთან, დახურული ფანჯრის გვერდით. სურათში მთავარია ეს ბიჭი. მის წინ მაგიდაზე ქოთნის ყვავილები დგას. ფანჯარაში მოჩანს მტრედები. შეიძლება ბიჭი მტრედებს უყურებდეს. მტრედების ფრთხიალმა სიჩუმე დაარღვია და მისი ყურადღება მიიპყრო. მას ხელში ჯოხი უკავია, თითქოს უნდა, ჩიტებს მიუკაკუნოს. ფერები მკრთალია, ბიჭიც მარტოა და ამიტომ სურათში სევდიანი განწყობაა.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

ვარიანტი 1.

ალბომი „თამაშების ენციკლოპედია“.

დახატე შენი საყვარელი თამაშის ამსახველ სურათი. გამოსახე ბავშვები თამაშისთვის დამახასიათებელ პოზებში. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, განივი ან გრძივი განლაგება.

ნახატს მიაწერე თამაშის წესები.

შეაგროვეთ ნახატები და ჩააკარით ერთ ალბომში.

წარდგენისას ისაუბრე:

- რა დახატე?
- რომელი თამაში დახატე?
- როგორ გადმოეცი თამაშის შესაფერისი მოძრაობები?
- ფურცლის როგორი ორიენტაცია შეარჩიე და რატომ?

ვარიანტი 2:

„მე – რაინდი/პრინცესა“

წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი ან პრინცესა და შენმა პორტრეტმა სასახლის კედელი უნდა დაამშვენოს.

დახატე ავტოპორტეტი, რომელზეც შენს თავს ძველ დროში მცხოვრებ ბავშვს მიამსგავსებ. გამოსახე შენი თავი ძველი დროის შესაბამისი სახასიათო ნიშნებით: ტანსაცმლით, ვარცხნილობით, პოზით. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, განივი ან გრძივი განლაგება.

წარდგენისას ისაუბრე:

- რა დახატე?
- რა ჩააცვი შენს გმირს?
- როგორ გადმოეცი, რას აკეთებს ის? როგორ პოზაში დააყენე ის?
- როგორი განლაგება შეარჩიე შენი სურათისთვის – გრძივი თუ განივი და რატომ? (1)
- რა გამოგივიდა კარგად? რა გაგიადვილდა /გაგიძნელდა?
- რას შეცვლიდი?

თემა 4. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

ვარიანტი 1: თამაშების ენციკლოპედია

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: მხატვრები ხატავენ ბავშვებს
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნებები: ხატვა

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნებები: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები
ქვეცნებები: ყოფითი ჟანრი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა: ალბომი „თამაშების ენციკლოპედია“.
დახატე შენი საყვარელი თამაშის ამსახველი სურათი. გამოსახე ბავშვები თამაშისთვის დამახასიათებელ პოზებში. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი განივი ან გრძივი განლაგება.
ნახატს მიაწერე თამაშის წესები. შეაგროვეთ ნახატები და ჩააკარით ერთ ალბომში.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

სიღრმისეულად ესმის დავალების არსი, აკავშირებს მას პირად გამოცდილებასთან. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის საყვარელი თამაშის ამსახველ, ყოფითი ჟანრის სურათს. ხატავს ფიგურებს თამაშის შესაბამისი მოძრაობის ამსახველ მრავალფეროვან პოზებში. ლოგიკურად ანაწილებს გამოსახულებებს სურათზე. ცალკეული ელემენტებით კრავს მთლიან სურათს. ამდიდრებს თხრობას მრავალფეროვანი დეტალებით.

გააზრებულად ირჩევს ფურცლის ჰორიზონტალურ/ვერტიკალურ ორიენტაციას.

ნამუშევარს ახლავს თამაშის წესები.

წარდგენისას ვრცლად მსჯელობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე და საკუთარ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	ესმის დავალების არსი, აკავშირებს მას პირად გამოცდილებასთან. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის საყვარელი თამაშის ამსახველ, ყოფითი ჟანრის სურათს. ხატავს ფიგურებს მოძრაობის შესაბამის პოზებში. აზრიანად ანაწილებს გამოსახულებებს სურათზე. ამდიდრებს თხრობას რამდენიმე დეტალით. სწორად ირჩევს ფურცლის ჰორიზონტალურ/ვერტიკალურ ორიენტაციას. ნამუშევარს ახლავს თამაშის რამდენიმე წესი. წარდგენისას მსჯელობს ნამუშევრის შესრულების რამდენიმე ეტაპზე. ესმის ძირითადი ტერმინების მნიშვნელობა და ადექვატურად იყენებს რამდენიმეს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	ესმის დავალების არსი, აკავშირებს მას პირად გამოცდილებასთან. ხატავს ფიგურებს, მაგრამ უჭირს მათი გადმოცემა მოძრაობის ამსახველ პოზებში. სურათზე გამოსახულებების განაწილება შემთხვევითია. თხრობას აკლია დეტალები. ფურცლის ჰორიზონტალური/ვერტიკალური ორიენტაცია შემთხვევითია. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს. მასწავლებლის დახმარებით იყენებს რამდენიმე ტერმინს.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ნამუშევარი რამდენადმე აცდენილია დავალების პირობას. ბუნდოვნად ესმის ყოფითი ჟანრის არსი. უჭირს დავალების პირობის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება. ხატავს ფიგურებს, მაგრამ უჭირს მათი გადმოცემა მოძრაობის შესაბამის პოზებში. სურათზე გამოსახულებების განაწილება შემთხვევითია. ფურცლის ორიენტაცია არ შეესაბამება გამოსახულებების განაწილებას. თხრობას აკლია დეტალები. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემა 4. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

ვარიანტი 2: „მე რაინდი/პრინცესა

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება

თემა: მხატვრები ხატავენ ბავშვებს

მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები: ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა;

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: ხატვა

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები: პორტრეტი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა: „მე – რაინდი/პრინცესა“

წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი ან პრინცესა. შენმა პორტრეტმა სასახლის კედელი უნდა დაამშვენოს. დახატე ავტოპორტრეტი, რომელზეც შენს თავს ძველ დროს მცხოვრებ ბავშვს მიამსგავსებ. გამოსახე შენი თავი ძველი დროის შესაბამისი სახასიათო ნიშნებით: ტანსაცმლით, ვარცხნილობით, პოზით. შეურჩიე სურათს გამოსახულების შესაფერისი, განივი ან გრძივი განლაგება

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად ხატავს ავტოპორტრეტს რაინდის/პრინცესას სახით. უხვად გადმოსცემს საკუთარი გარეგნობის სახასიათო ნიშნებს. ესმის განსხვავება ძველ და თანამედროვე ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სახასიათო პოზებს შორის. ამდიდრებს ნახატს კოსტიუმის მრავალფეროვანი დეტალებით. ცალკეული ელემენტების ერთობლიობით ქმნის ლოგიკურ, მთლიან ნახატს.

მიზანმიმართულად ირჩევს ფურცლის განივ ან გრძივ ორიენტაციას.

წარდგენისას ვრცლად მსჯელობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე და საკუთარ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად ხატავს ავტოპორტრეტს რაინდის/პრინცესას სახით. გადმოსცემს საკუთარი გარეგნობის რამდენიმე სახასიათო ნიშანს. ესმის რამდენიმე განსხვავება ძველ და თანამედროვე ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სახასიათო პოზებს შორის. ამდიდრებს ნახატს კოსტიუმის რამდენიმე დეტალით. ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს ნახატის რამდენიმე ელემენტს. მიზანმიმართულად ირჩევს ფურცლის განივ ან გრძივ ორიენტაციას. წარდგენისას მსჯელობს ნამუშევრის შესრულების რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	ხატავს რაინდს/პრინცესას, მაგრამ ვერ გადმოსცემს ნახატში საკუთარ სახასიათო ნიშნებს. ბუნდოვნად ესმის განსხვავება ძველ და თანამედროვე ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სახასიათო პოზებს შორის. კოსტიუმი დახატულია მწირი დეტალებით.. ფურცლის განივი ან გრძივი ორიენტაცია შემთხვევითია. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ხატავს ადამიანს, მაგრამ ვერ გადმოსცემს ნახატში საკუთარ სახასიათო ნიშნებს. არ ესმის განსხვავება ძველ და თანამედროვე ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სახასიათო პოზებს შორის. ნახატს აკლია დეტალები. არ ესმის ფურცლის განივი ან გრძივი ორიენტაციის შერჩევის მნიშვნელობა. წარდგენისას აღწერს საკუთარი ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 5

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო **თემა:** სათამაშო (გაკვეთილები 27 – 31)	საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+3
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში): **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** სხვადასხვა **დარგში** მიღებული გამოცდილების საფუძველზე მე შემიძლია შევქმნა ნივთი (სათამაშო), რომელიც გაამრავალფეროვნებს ჩემ ცხოვრებას და შემიქმნის შესაბამის განწყობას. ამისთვის, ჩანაფიქრის მიხედვით, შემიძლია შევარჩიო და გამოვიყენო შესაბამისი **მხატვრულ-გამოსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა.**	
1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები – საშუალებები:** **ხაზი** (მსხვილი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი). **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D)); **2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** **ქვეცნებები** – ძერწვა, კონსტრუირება, მოდელირება, აპლიკაცია.	
საკითხი – ხელოვნება გვეხმარება თამაშში. **საკვანძო შეკითხვები:** ● როგორ გაჩნდა სათამაშო? ● როგორ შეგვიძლია საკუთარი ხელით შევქმნათ სათამაშო? ● რისი ცოდნა დაგვჭირდება სათამაშოს შესაქმნელად? ● რა სახვითი საშუალებები, მასალა და ტექნიკა გამოგვადგება სათამაშოს შესაქმნელად? **კომპლექსური დავალების პირობა:** **სათამაშოების გამოფენა** დაამზადე სათამაშო (თოჯინა, მანქანა ან ცხოველი). გამოიყენე სხვადასხვა მასალა (პლასტილინი, თიხა, მუყაო, ბოთლის თავსახურები, საცობები, ღილები, საქსოვი ძაფები, ზამბარა, ნაყინის ჯოხები, მაქმანები, ლენტები და სხვა უსარგებლო ნარჩენები) და **ტექნიკა** (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება, ხატვა). ნაკეთობაში გამოიყენე **გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული** სხვადასხვა **სივრცითი (3D) ფორმა**. მოხატე სათამაშო სხვადასხვა ტიპის ხაზით. მოაწყეთ მოაწყვეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენა.	
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)** <u>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად? ● რა ფორმები გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად? ● როგორი ხაზებით მოხატე სათამაშო? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
თამაში უყვარს ყველას, დიდსაც და პატარასაც. თამაშის დროს მხედარიც ხარ, მძღოლიც, ექიმიც და მშობელიც. საკმარისია ცოტაოდენი ფანტაზია და სათამაშო შენს ხელში ცოცხლდება.
სათამაშოს ორი წინაპარი ჰყავს – ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება.
ძველად მოქანდაკეები ხის ან ქვის სათამაშოებით ახარებდნენ პატარებს. მეთუნეები თიხით ჭურჭელსაც ამზადებდნენ და ბავშვებისთვის სათამაშოების კეთებითაც ერთობოდნენ. თერძი – ტყავისა და ნაჭრის თოჯინებს კერავდა.
დღეს სათამაშოს დიზაინერები ქმნიან.
გიცდია სათამაშოს გაკეთება?
რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 27-31;
ილუსტრაციები: ძველი სამყაროს მინიატურული ქანდაკებები და სათამაშოები; პაულ კლეეს თოჯინები; ალექსანდრ კალდერის ნაკეთობები; იაოი კუსამას ნამუშევრები.
ინტერნეტრესურსები:
პაულ კლეეს თოჯინები:
https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Puppets_by_Paul_Klee;
ალექსანდრ კალდერის ნაკეთობები:
https://calder.org/archive/all/works/toy/;

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- რა არის შენი საყვარელი სათამაშო?
- რატომ მოგწონს ის გამორჩეულად? როგორი ფორმები აქვს მას?
- გიცდია, საკუთარი ხელით სათამაშოს დამზადება?

ეტაპი II: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 27, 28)
27. სათამაშო თუ ქანდაკება?
სათამაშოს ისტორია
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ხაზი (მსხვილი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი); ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ვეცნება**: ძერწვა;

რესურსები: სახელმძღვანელო, ილუსტრაციები: დიდთვალა კერპები (სირია, ძვ.წ. 3700-3500 წწ.), ოჯახი ბავშვით (თურქეთი, ძვ.წ. 3000-2500 წწ.), კვიპროსული კერპები (ძვ.წ. 2100-1900):

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
თამაში უყვარს ყველას, დიდსაც და პატარასაც.
თამაშის დროს მხედარიც ხარ, მძღოლიც, ექიმიც და მშობელიც. საკმარისია ცოტაოდენი ფანტაზია და

სათამაშო შენს ხელში ცოცხლდება.
სათამაშოს ორი წინაპარი ჰყავს – ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება.
ძველად მოქანდაკეები ხის ან ქვის სათამაშოებით ახარებდნენ პატარებს. მეთუნეები თიხით ჭურჭელსაც ამზადებდნენ და ბავშვებისთვის სათამაშოების ძერწვითაც ერთობოდნენ.
თერძი – ტყავისა და ნაჭრის თოჯინებს კერავდა.
დღეს სათამაშოს დიზაინერები ქმნიან.
გიცდია სათამაშოს გაკეთება?

აქტივობა 1. აღწერა, დაკვირვება, შედარება:
დააკვირდი თურქეთში აღმოჩენილ პატარა ქანდაკებას.

- რა არის მონიშნული ხაზებით?
- რა სხვაობაა სირიაში და თურქეთში აღმოჩენილ ფიგურებს შორის?

პასუხი: თურქეთში აღმოჩენილი ქანდაკება ორთავიან სოკოს ჰგავს: ოვალური ფორმის ტანიდან ამოზრდილია ორი გრძელი კისერი, თითქოს ორ არსებას ერთი ტანი ჰქონდეს. ორივე კისერზე სამკუთხა თავია დასმული, ხოლო ტანზე ირიბად აკრულია ასეთივე პატარა არსება. დედ-მამის სახეზე ორმაგი წრეებითაა მონიშნული თვალები, წარბების აღმნიშვნელი ხაზები მერცხლებს ჰგავს, მოკლე ხაზებით კი თმებია მონიშნული. ბავშვს თვალები წრეებში დასმული წერტილებით აქვს მიხატული, ოღონდ, წარბების გარეშე. ხელები სამივეს ირიბი ხაზებით აქვთ მონიშნული, რომლებიც ნაძვის წიწვებს ჰგავს. სამივე ფიგურას საყელო ან მძივი უკეთია ყელზე, ტანზე კი – ბავშვის თვალების მსგავსი ბევრი წრე, შიგ წერტილით. ეს ფიგურა უფრო მორთულ-მოკაზმულია და უფრო ბრტყელი, ვიდრე სირიული კერპები. მას ვერ დადგამ. სირიული კერპები შეგიძლია ფეხზე დააყენო. სირიული კერპების ფიგურებზე მხოლოდ თვალებია მონიშნული.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა
მასალა: თიხა, პლასტილინი ან საძერწი ცომი, პლასტილინის დანა.

გამოძერწე კვიპროსელი კაცუნა.

დააკვირდი ნახატებს.
სახისა და სხეულის რა ნაწილებია მონიშნული ხაზებით?

- გააბრტყელე თიხის ნაჭერი;
- პლასტილინის დანით გამოჭერი ფიგურა;
- დააწებე ან დაახატე მას ხელები და ცხვირი;
- როგორი მიმიკა ექნება შენს თოჯინას?
- რას ამოჩხაპნი ხაზებით?
- კიდევ რას დაამატებდი შენს კაცუნას?

28. უძველესი სათამაშო
რესურსები: სახელმძღვანელო, ილუსტრაციები:

ძველი ბერძნული თოჯინა, ე.წ. „პლაგონა“ (კორინთო, ძვ.წ. მე-5 ს., ტერაკოტა. ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლოა, იყოს ავგაროზი. ქორწინების წინ ბერძენი გოგონები თავის სათამაშოებს უძღვნიდნენ ქორწინების მფარველ ქალღმერთს, არტემიდას. ასე ემშვიდობებოდნენ ისინი ბავშვობას: https://www.metmuseum.org/art/collection/search/254514;

ძველი ეგვიპტური ფიგურა (ადრეული შუა სამეფოს ხანა, ხე. შესაძლოა, იყო არა სათამაშო, არამედ რელიგიური რიტუალის დროს გამოსაყენებელი ნივთი):

https://www.perankhgroup.com/Doll_with_Hair_of_Mud_Beads.jpg;

ძველი ბერძნული თოჯინა „პლაგონა“ (ძვ.წ. 700 წ., ტერაკოტა)

https://twitter.com/dr_thehistories/status/1522591914977263616;

ძველი ბერძნული ბრინჯაოს საჩხარუნოს, ე.წ. სისტრუმის თიხის ასლი (ასევე გამოიყენებოდა მუსიკალურ ინსტრუმენტად)

http://ancientgreekpandect.raftis.org/wp-content/uploads/2018/06/F03815.jpg;

ბურთი (ეგვიპტე, რომაული პერიოდი, სელის ქსოვილი, ჩალა)

https://www.britishmuseum.org/collection/object/Y_EA46709;

ტახის ფორმის საჩხარუნო (კვიპროსი, არქაიკის პერიოდი, თიხა, ღრუტანიანი, შიგ კენჭებით და მარცვლებით)

https://cycladic.gr/en/exhibit/z0602-zoomorfo-athirma?cat=kipriakos-politismos;

საგორავებელი ხარი ბორბლებით (ტრიპოლიე-კუკუტენის კულტურა, აღმოსავლეთ ევროპა, თიხა, ენეოლითი, ძვ.წ. 3950-3500 წწ.)

https://i.imgur.com/N2aYYk7.png;
https://www.heymoldova.com/fileadmin/archivio/heymoldova/enogastronomia/Cucuteni_-_15_-_dicembre_2018.jpg

იდეები აქტივობებისთვის:
წინარე ცოდნის გააქტიურება:
იპოვე სახელმძღვანელოში ჭურჭელი, რომელიც სათამაშოდაც გამოიყენებოდა.
(გაკვეთილი 11, უძველესი ჭურჭელი, გოჭის ფორმის საწოვარა).

აქტივობა 1. დაკვირვება, ინტერპრეტაცია
დააკვირდი ტახის ფიგურას.

- რას აღნიშნავს მის სხეულზე ამოკაწრული ხაზები?
- როგორი ფორმა აქვს ტახს – ბრტყელი თუ მოცულობითი?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა
* ეს აქტივობა გამოდგება დიფერენცირებული სწავლების მიზნით.
მასალა: საძერწი ცომი, პლასტილინი ან თიხა, წვეტიანი ჩხირი.

გამოძერწე პატარა ქანდაკება;
დააკვირდი ძველი ბერძნული ქანდაკებების მოხატულობას;
ამოჩხაპნე ნაკეთობაზე მსგავსი ხაზები.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო:
* ეს აქტივობა გამოდგება დიფერენცირებული სწავლების მიზნით.

მასალა: თიხა ან საძერწი ცომი, ხის წვეტიანი ჩხირები, ღილები ან მძივები.

გააკეთე საჩხარუნო.

- თიხით გამოძერწე საჩხარუნოს ფორმა;
- შუაში ჩაამაგრე ხის წვეტიან ჩხირებზე აცმული ღილები ან თიხის მძივები;
- გაალამაზე საჩხარუნო ამოკაწრული ხაზებით.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა გაიგე ახალი?
- რომელი დარგების ოსტატები აკეთებდნენ სათამაშოებს ძველად?
- რა მასალებს იყენებდნენ სათამაშოების დასამზადებლად?
- რა მასალებს იყენებენ დღეს?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 29)

29. პაულ კლეეს თოჯინები

ნაჭრის თოჯინები

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ძერწვა, კონსტრუირება, მოდელირება;

რესურსები: სახელმძღვანელო, გერმანელი მხატვრის, პაულ კლეეს მიერ შექმნილი ხელის გასაყრელი თოჯინები.
https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Puppets_by_Paul_Klee

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ერთხელ გერმანელმა მხატვარმა, პაულ კლეემ თავის შვილს ძველი ხელთათმანებით თოჯინები გაუკეთა. კარის ღიობში ფარდა დაკიდა და სცენა მოაწყო. თოჯინების თეატრი ბიჭუნას ძალიან მოეწონა. მამაც ახალ-ახალ თოჯინებს უკეთებდა. მისი მეგობრები ხუმრობდნენ – კლეეს ოჯახში სანაგვე სულ ცარიელიაო.

თოჯინები, რომლებითაც მამა-შვილი თამაშობდა, დღეს მუზეუმებში ინახება.

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო წყვილებში, ნაჭრის თოჯინა (შუალედური):

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

*ეს დავალება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ხელმისაწვდომი მასალით.

მეგობართან ერთად გააკეთე თოჯინა.

დაფიქრდით, რა მასალა გამოგადგებათ თოჯინის გასაკეთებლად?

- ტანი შეგიძლიათ გაუკეთოთ ბოთლით, მუყაოს რულონით ან ჯოხებით;
- თავი გამოძერწეთ თიხით, პლასტილინით, გამოჭერით მუყაოსგან ან გამოიყენეთ ბოთლის საცობი. სახეს დაახატეთ ცხვირ-პირი;
- ხელები გაუკეთეთ თოკით ან ჯოხებით;
- შემოახვიეთ თოჯინას ლამაზი ქსოვილი;
- გააფორმეთ თოჯინა მაქმანით, ბაფთით, მძივით, ყელსახვევით.

თმისთვის გამოდგება საქსოვი ძაფები.

აჩვენეთ თოჯინა მეგობრებს და უამბეთ:

- როგორი თოჯინა გააკეთეთ?
- რა მასალა გამოიყენეთ?
- რა გააკეთეთ პირველად, რით განაგრძეთ და რა გააკეთეთ ბოლოს?
- დაგჭირდათ დახმარება? რაში დაგჭირდათ დახმარება?
- ვის მიმართეთ დახმარებისთვის?
- თქვენ ვის და რაში დაეხმარეთ?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 30)

30. გაიცანი ალექსანდრ კალდერი

მეორადი მასალის გამოყენებით შექმნილი ნივთები

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: კონსტრუირება;

* დიფერენცირებული სწავლების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია გაანააწილოს მოსწავლეებს შორის სხვადასხვა სირთულის სათამაშოს დამზადება.

რესურსები: სახელმძღვანელო, ამერიკელი მოქანდაკის, ალექსანდრ კალდერის (1898-1976) ნაკეთობები: https://calder.org/archive/all/works/toy/;

იდეები აქტივობებისთვის:

გაიხსენე, რამდენჯერ გითამაშია უბრალო ჯოხით – ის ხან ცხენია, ხან ხმალი.
ფანტაზიას შეუძლია ნებისმიერი ნივთი სათამაშოდ აქციოს.
ამერიკელმა მოქანდაკემ, ალექსანდრ კალდერმა ასეთი თავშესაქცევი ბავშვობიდან შეიყვარა.
ის უსარგებლო ნარჩენებით მხიარულ ქანდაკებებს, სამკაულებს და სათამაშოებს ქმნიდა.

აქტივობა 1. სათამაშო, პრაქტიკული სამუშაო, კონსტრუირება:

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

*ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ხელმისაწვდომი მასალით.

დააკვირდი ნიმუშებს. შეარჩიე ერთ-ერთი და გააკეთე მსგავსი მოცულობითი სათამაშო.
მოიმარაგე უსარგებლო ნარჩენები: დამტვრეული სათამაშოს ნაწილები, სარეცხის სარჭები, ზამბარები, ღილები, ბოთლის საცობები...

- დააკვირდი შეგროვილ განძს.
- რას გაგონებს მათი ფორმები?
- რა შეიძლება გააკეთო ამ მასალით?
- დაფიქრდი, როგორ მიამაგრებ ნაწილებს ერთმანეთს?

აქტივობა 2. მოსიარულე ზებრა, პრაქტიკული სამუშაო

*ამოსაბეჭდი თარგი იხილე დანართში.

მასალა: მუყაო, გუაშის საღებავები და ფუნჯი ან მარკერები, მაკრატელი, წებო, საქსოვი ძაფები.



დააკვირდი ნიმუშს.

ამ ხერხით შეგიძლია ნებისმიერი ცხოველის გაკეთება.

- თუ ადამიანის გაკეთება მოგინდა, რამდენი ნახვრეტი დასჭირდება თარგს?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა მასალა შეაგროვე?
- რას მიამსგავსე?
- რა სათამაშო გააკეთე?
- როგორ მიამაგრე ნაწილები ერთმანეთს?
- რით გაალამაზე შენი სათამაშო?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 31)

31. კოპლების სამყარო

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული; სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ძერწვა, კონსტრუირება, აპლიკაცია;

რესურსები: სახელმძღვანელო, იაპონელი ხელოვანის, იაოი კუსამას ნამუშევრები

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

იაპონელი მხატვარი, იაოი კუსამა ნახატზე, ქანდაკებაზე, კედელზე, ტანსაცმელზე, ჩანთაზე, ყველგან კაშკაშა კოპლებს ხატავს. სადაც არ უნდა იყოს მისი ნამუშევარი, იქაურობას აფერადებს და მნახველებს

კარგ გუნებაზე აყენებს. ის დღეს ძალიან ცნობილი ხელოვანია. მის ნამუშევრებს ფერადი კოპლებით ამოიცნობ.
დააკვირდი იაოი კუსამას ქანდაკებებს.

- რას ხედავთ?
- როგორ ფერებს ხედავთ?
- როგორ ფორმებს ხედავთ?
- იპოვეთ საკუთარ ქანდაკებებში ჩამალული ავტორი.
- რა ზომის ყოფილა კუსამას ქანდაკებები?

აქტივობა 1. იაოი კუსამას ყვავილი, პრაქტიკული სამუშაო, კონსტრუირება, აპლიკაცია
მასალა: ფერადი ქაღალდები, პლასტილინი, საწრუპი მილები, წებო, მაკრატელი, წებოვანი ლენტი.
*ეს დავალება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ხელმისაწვდომი მასალით.

დააკვირდი სახელმძღვანელოში ნაჩვენებ მასალას და ყვავილის ნიმუშს.
გააკეთე მოცულობითი ყვავილები იაოი კუსამას საყვარელი კოპლებით.

აქტივობა 2. იაოი კუსამას თოჯინა, პრაქტიკული სამუშაო
მასალა: მუყაოს რულონი, ფერადი ქაღალდები ან მუყაოს ნაჭერი, მაკრატელი, წებო, გუაშის საღებავები, ფუნჯი.

დააკვირდი ნიმუშებს. მოიფიქრე, როგორ შეიძლება მსგავსი მოცულობითი თოჯინის გაკეთება.

- შეღებე მუყაოს რულონი და დაახატე ან დააწებე მას კოპლები.
- ცალკე გააკეთე თოჯინას თავი და დააწებე ის მუყაოს გამშრალ რულონზე.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა
სათამაშოების გამოფენა

- დაამზადე სათამაშო (თოჯინა, მანქანა ან ცხოველი). გამოიყენე სხვადასხვა მასალა (პლასტილინი, თიხა, მუყაო, ბოთლის თავსახურები, საცობები, ღილები, საქსოვი ძაფები, ზამბარა, ნაყინის ჯოხები, მაქმანები, ლენტები და სხვა უსარგებლო ნარჩენები) და ტექნიკა (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება, ხატვა);
- ნაკეთობაში გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული სხვადასხვა სივრცითი (3D) ფორმა;
- მოხატე სათამაშო სხვადასხვა ტიპის ხაზით.

მოაწყვეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენა;
მოიწვიეთ გამოფენაზე პირველი კლასის მოსწავლეები და აჩვენეთ მათ თქვენი ნამუშევრები.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა ნამუშევარი გამოფინე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად?
- რა ფორმები გამოიყენე სათამაშოს დასამზადებლად?
- როგორი ხაზებით მოხატე სათამაშო?
- რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად?
- რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?
- რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა 5. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: სათამაშო
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ფორმა; ხაზი

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნებები: ძერწვა, კონსტრუირება, მოდელირება

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა: დაამზადე მოცულობითი სათამაშო (თოჯინა, მანქანა ან ცხოველი). გამოიყენე სხვადასხვა მასალა (პლასტილინი, თიხა, მუყაო, ბოთლის თავსახურები, საცობები, ღილები, საქსოვი ძაფები, ზამბარა, ნაყინის ჯოხები, მაქმანები, ლენტები და სხვა უსარგებლო ნარჩენები) და **ტექნიკა** (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება, ხატვა).
ნაკეთობაში გამოიყენე **გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული** სხვადასხვა **სივრცითი (3D) ფორმა**.
მოხატე სათამაშო სხვადასხვა ტიპის **ხაზით**.
მოაწყვეთ მოაწყვეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენა.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

სიღრმისეულად ესმის გამოყენებითი ხელოვნების არსი. აკავშირებს დავალების პირობას პირად გამოცდილებასთან. დავალების პირობის თანახმად ქმნის მოცულობით სათამაშოს, რომლისთვისაც მიზანმიმართულად ირჩევს მასალას (პლასტილინი, თიხა, მუყაო, უსარგებლო ნარჩენები და სხვ.) და იყენებს მასალის შესაბამის ტექნიკას (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება). ნაკეთობაში იყენებს გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ, მრავალფეროვან სივრცით (3D) ფორმებს. ალამაზებს სათამაშოს სხვადასხვა ტიპის ხაზით. ცალკეული ელემენტების მიზანმიმართული კომბინირებით ქმნის ლოგიკურ მთლიანობას.
წარდგენისას ვრცლად მსჯელობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე და საკუთარ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.
ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	ესმის გამოყენებითი ხელოვნების არსი. აკავშირებს დავალების პირობას პირად გამოცდილებასთან. დავალების პირობის თანახმად ქმნის მოცულობით სათამაშოს, რომლისთვისაც ირჩევს მასალას (პლასტილინი, თიხა, მუყაო, უსარგებლო ნარჩენები და სხვ.) და იყენებს მასალის შესაბამის ტექნიკას (ძერწვა, მოდელირება, კონსტრუირება). ნაკეთობაში იყენებს გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ, რამდენიმე სივრცით (3D) ფორმას. ალამაზებს სათამაშოს რამდენიმე ტიპის ხაზით. ცალკეული ელემენტების კომბინირებით ქმნის მთლიანობას. წარდგენისას საუბრობს ნამუშევრის შესრულების რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	ბუნდოვნად ესმის გამოყენებითი ხელოვნების არსი. აკავშირებს დავალების პირობას პირად გამოცდილებასთან. დავალების პირობის თანახმად ქმნის მოცულობით სათამაშოს. მასალისა და ტექნიკის არჩევანი შემთხვევითია. ნაკეთობაში იყენებს გეომეტრიულ ან ბუნებაში არსებულ, მწირ სივრცით (3D) ფორმებს. ალამაზებს სათამაშოს ორიოდ ხაზით. უჭირს ცალკეული ელემენტების ერთ მთლიანობად შეკვრა. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	არ ესმის გამოყენებითი ხელოვნების არსი. ვერ აკავშირებს დავალების პირობას პირად გამოცდილებასთან. სათამშოსთვის მასალისა და ტექნიკის არჩევანი შემთხვევითია. ბუნდოვნად ესმის განსხვავება სიბრტყობრივ და მოცულობით ფორმებს შორის. ვერ აკავშირებს ერთმანეთთან ნაკეთობის ცალკეულ ელემენტებს. წარდგენისას აღწერს საკუთარი ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 6

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: არქიტექტორობანა (გაკვეთილები 32 – 36) საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- გარემოში არსებული არქიტექტურის დარგის ნიმუშები გარკვეულ შთაბეჭდილებებს ბადებს და აისახება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე;
- მე შემიძლია შევქმნა ხელოვნების ნიმუში, რომელშიც ავსახავ ჩემ იდეებს და შთაბეჭდილებებს არქიტექტურულ გარემოსთან დაკავშირებით. ამისთვის, ჩანაფიქრის მიხედვით შემიძლია შევარჩიო და გამოვიყენო შესაბამისი **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები)
ქვეცნებები – საშუალებები:
ხაზი (სწორი, ტალღოვანი, მრუდი, ზიგზაგი).
ფორმა (მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული და სივრცითი (3D));
2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნებები – აპლიკაცია, კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა.
3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება – არქიტექტურა.

საკითხი – შენობები ჩვენ გარშემო.
საკვანძო შეკითხვები:

- რა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან ადამიანები არქიტექტურულ ნაგებობებს?
- რომელი პროფესიის ადამიანები ზრუნავენ შენობების გამძლეობაზე, სილამაზეზე და მოხერხებულობაზე?
- როგორ ავაგოთ მაკეტი?
- რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა დაგვეხმარება შენობის მაკეტის დამზადებაში?

კომპლექსური დავალების პირობა:
მხიარული ქალაქი
კომპლექსური დავალების პირობა:
მუყაოს კოლოფებით, რულონებით, პლასტილინით და სხვა მასალით გააკეთე **არქიტექტურული** მაკეტი: სახლი, კოშკი ან ტაძარი.
გაუკეთე შენობას სხვადასხვა **ფორმის** (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) დეტალები (სახურავი, კარი, ფანჯარა...).
მოხატე ან აპლიკაციის ტექნიკით გაალამაზე შენი მაკეტის კედლები და სახურავი. ამისთვის გამოიყენე შენ მიერ შეგროვილი სხვადასხვა **მასალა** (ღილები, საცობი, საწრუპავი, ნიჟარები, მარცვლეული და სხვა), **ხაზი** (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), ან მრგვალი, ოთხკუთხა, სამკუთხა და სხვა ფორმები.
შენი და მეგობრების მიერ გაკეთებული მაკეტებით ააწვეთ მხიარული ქალაქი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალით „ააშენე“ სახლი? ● რა და რა ტექნიკა გამოიყენე? ● რით გაალამაზე ნაკეთობა? ● რისთვის გამოიყენე ხაზები და ფორმები? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? ● რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველად, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
თუ სახლის აშენება გინდა, სამი გოჭის ზღაპრის რომელ გმირს ჰკითხავდი რჩევას? შენ რომელ გოჭს მისცემდი რჩევას? რას ურჩევდი მას, როგორი უნდა იყოს სახლი? რა სჭირდება სახლს, რომ სხვადასხვა საფრთხისგან, სიცივისგან, სიცხისგან, ქარისგან და წვიმისგან დაგვიცვას?
გიცდია, არქიტექტურული მაკეტის გაკეთება?
იქნებ სცადო?

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 32 – 36;
ილუსტრაციები: ნაგებობების ფოტოები: მცხეთის ჯვარი, ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლები, დადიანების სასახლე ზუგდიდში, ბათუმის სტადიონი, ახალციხის ციხე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, სხვადასხვა მასალით ნაგები შენობები – ლითონის (არქ-რი ფრენკ გერი, გუგენჰეიმის მუზეუმი, ბილბაო, ესპანეთი); მინა (არქ-რი ზაჰა ჰადიდი, ბიზნეს-ცენტრი, პეკინი, ჩინეთი); აგური (გალა პლაციდიას მავზოლეუმი, რავენა, იტალია); ქვა (ეკლესია, კახეთი, კვეტერა); ბეტონი (არქ-ები ზ. ჯალაღანია, გ. ჩახავა, ყოფილი საავტომობილო გზების სამინისტრო, ამჟამად საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობა); ხე (ოდა სახლი, სამეგრელო, სენაკი); თოვლის იგლუ (ესკიმოსების სახლი, არქტიკა); ანტონიო გაუდის არქიტექტურა; ზღაპრის „სამი გოჭი“ ილუსტრაცია);
ტელესკოლა, ვიდეო გაკვეთილები:
„ქალაქი“: https://www.youtube.com/watch?v=fDkcGsPtL8Q;

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- რატომ აშენებენ ადამიანები შენობებს?
- რა დანიშნულება აქვს სხვადასხვა შენობას?
- ვინ ზრუნავს იმაზე, რომ შენობა გამძლე, ლამაზი, მოსახერხებელი იყოს?
- როგორია შენი ოცნების სახლი?

ეტაპი II: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 32)

32. რისთვის ვაშენებთ?

საუბარი არქიტექტურაზე

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: არქიტექტურა.

რესურსები: სახელმძღვანელო – არქიტექტურული ნაგებობების ფოტოები: მცხეთის ჯვარი, ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლები, დადიანების სასახლე ზუგდიდში, ბათუმის სტადიონი, ახალციხის ციხე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

არქიტექტურა ჩვენი გარემოა.
არქიტექტურა ყველგანაა, სადაც ადამიანი ცხოვრობს.
არქიტექტურაა სახლი, სკოლა, ტაძარი, თეატრი, კოშკი და სხვა.
ხელოვნების ამ დარგს **არქიტექტურა** ეწოდება.
ნაგებობა გამძლე და ლამაზი უნდა იყოს, შიგნით კი მოხერხებული.
არქიტექტორები ზრუნავენ შენობის გარეგნობაზეც და იმაზეც, რომ ის თავის დანიშნულებას შეესაბამებოდეს.

აქტივობა 1, 2. დაკვირვება, მსჯელობა:

დააკვირდი სხვადასხვა ნაგებობის ფოტოებს.

- ჩამოთვალე, რა შენობებს ხედავ?

იპოვე: სტადიონი, თეატრი, ტაძარი, ციხესიმაგრე, სასახლე, საცხოვრებელი სახლი.

- რა დანიშნულება აქვთ ამ ნაგებობებს?

პასუხი: ტაძარში ტარდება ღვთისმსახურება; საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობენ; სასახლეებში ცხოვრობდნენ მეფეები და სხვა წარჩინებული პირები; სტადიონებზე ტარდება სპორტული თამაშები, შეჯიბრებები; ციხესიმაგრეებში ადრე თავს იცავდნენ მტრის თავდასხმისგან; თეატრებში დადიან წარმოდგენების სანახავად.

- რისთვის ვაშენებთ შენობებს?

პასუხი: ყველა შენობას აქვს თავისი დანიშნულება. თეატრში, ეკლესიაში, სტადიონზე ბევრი ხალხი უნდა დაეტიოს. ამიტომ ამ შენობებს დიდი სივრცე სჭირდება. ციხესიმაგრეს უნდა ჰქონდეს მაღალი, განიერი, მიუდგომელი კედელი. საცხოვრებელ სახლებში შეიძლება იყოს პატარა ოთახები...

- რომელი მათგანი გამოდგება საცხოვრებლად და რატომ?
- რატომ არიან ისინი ასე განსხვავებული?

პასუხი: საცხოვრებლად გამოდგება მხოლოდ საცხოვრებელი სახლი და სასახლე, რადგან ისინი ამ დანიშნულებითაა აშენებული. ბინებში რომ მოხერხებულად ვიცხოვროთ, უნდა გვქონდეს ოთახები, სადაც გვძინავს, ვმუშაობთ, ვისვენებთ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, ვღებულობთ სტუმრებს. უნდა გვქონდეს სამზარეულო და სააბაზანო ოთახი. ასეთი ოთახები არ არის თეატრში, ტაძარში და არც სტადიონზე.

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა:

- დააკვირდი ადამიანების ჩაცმულობას;
- შეურჩიე მათ შესაფერისი შენობა:

თეატრი – მსახიობი, საცხოვრებელი სახლი (ცოლ-ქმარი), სტადიონი (ფეხბურთელი), ეკლესია (მღვდელი), სასახლე (დედოფალი), ციხესიმაგრე (რაინდი).

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან ადამიანები არქიტექტურულ ნაგებობებს?
- რომელი პროფესიის ადამიანები ზრუნავენ შენობების გამძლეობასა და სილამაზეზე?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 33)

33. რით ვაშენებთ

სამშენებლო მასალების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: არქიტექტურა.

რესურსები: სახელმძღვანელო, სხვადასხვა მასალით ნაგები შენობების ფოტოები –

ლითონი – (გუგენჰეიმის მუზეუმი, ბილბაო, ესპანეთი, არქიტექტორი ფრენკ გერი);

მინა -(ბიზნეს-ცენტრი, პეკინი, ჩინეთი, არქ-რი ზაჰა ჰადიდი);

აგური (გალა პლაციდიას მავზოლეუმი, რავენა, იტალია);

ქვა (ეკლესია, კახეთი, კვეტერა);

ბეტონი – (ყოფილი საავტომობილო გზების სამინისტრო, ამჟამად საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობა, არქ-ები ზ. ჯალაღანია, გ. ჩახავა);

ხე – (ოდა სახლი, სამეგრელო, სენაკი);

სამშენებლო მასალების ფოტოები; თოვლის იგლუ (ესკიმოსების სახლი, არქტიკა);

ზღაპრის „სამი გოჭი“ ილუსტრაცია;

იდეები აქტივობებისთვის:

ადამიანმა ისწავლა იმ მასალით შენება, რომელიც მის გარშემო მოიპოვება. სახლებს აშენებენ ხით, ქვით, აგურით, ბეტონით, რკინით, მინით... იქ, სადაც თოვლის მეტი არაფერია, სახლებს თოვლის ბლოკებით აშენებენ.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება:

დააკვირდი ფოტოებს.

- რომელ მოცულობით გეომეტრიულ ფორმებს გაგონებს ეს შენობები?
- რომელ შენობებშია გამოყენებული სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების კომბინაცია?
- რომელ შენობას არ აქვს გეომეტრიული ფიგურის ფორმა?
- რას გაგონებს მისი ფორმები?

პასუხი: ცილინდრი, კუბი, პარალელეპიპედი, კონუსი, ნახევარსფერო...

პირველ შენობას (გუგენჰეიმის მუზეუმი ბილბაოში) აქვს მრუდი, უსწორმასწორო ფორმები.

აქტივობა 2. მსჯელობა (საუბარი სამშენებლო მასალების გამძლეობაზე):

გაიხსენეთ სამი გოჭის ზღაპარი. ზღაპრის გმირ გოჭებს განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. მათი სახლებიც განსხვავდებოდა.

- რომელი ზღაპრის გმირებმა ააშენეს ეს სახლები? („სამი გოჭი“)
- როგორი ხასიათი ჰქონდათ გოჭებს?

- როგორი სახლები ააშენეს მათ?
- რა მასალები გამოიყენეს? (ჩალა, ხე, აგური)
- რომელია გადახურული კრამიტით?
- გაიხსენე, რა ბედი ეწია ამ შენობებს და რატომ?
- რატომ ვერ მოერია მგელი მესამე გოჭის სახლს?

აქტივობა 3. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო (სავარჯიშო):
დააკვირდი კრამიტის და აგურის ნიმუშებს:
- როგორი ხაზებით დახატავ აგურის კედელს?
- როგორი ხაზებით დახატავ კრამიტის სახურავს?

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:
- რა შეიტყვე ახალი?
- რა მასალით აშენებენ სახლებს?
- რომელი მასალაა უფრო გამძლე?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 35)
35. სახელოსნო
კოლაჟის და კონსტრუირების ტექნიკები

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: კოლაჟი, კონსტრუირება:
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: არქიტექტურა.

რესურსები: სახელმძღვანელო;
ტელესკოლა, „ქალაქი“: https://www.youtube.com/watch?v=fDkcGsPtL8Q;

იდეები აქტივობებისთვის:
აქტივობა 1. პრაქტიკული ჯგუფური სამუშაო, მუყაოს ქალაქი, კოლაჟი:
მასალა: მუყაოს ნაჭრები, ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებო, მარკერები, დიდი ზომის ფორმატი.

გააკეთეთ მუყაოს სახლები.
- მუყაოს სახლებით ააწყვეთ მუყაოს ქალაქი;
- მუყაოს პატარა ნაჭერს დააწებე ფერადი ქაღალდის სახურავი, ფანჯრები, კარი;
- დაფიქრდი, როგორი ფორმა ან ფერი ექნება შენი სახლის კედლებს, სახურავს, ფანჯრებს?
- ლამაზად გაანაწილეთ სახლები და დააწებეთ მუყაოს დიდ ნაჭერზე.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, კონსტრუირება :
მასალა: ასანთის ღერები ან ხის ჩხირები, პლასტილინი, მუყაოს ნაჭერი სადგამისთვის.

დააკვირდი ნიმუშს:

- ასანთის ღერებით და პლასტილინით ააშენე მაღალი კოშკი;
- თითოეული სართული ააწყვე სამკუთხა ან ოთხკუთხა გეომეტრიული ფორმებით.




ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა ისწავლე ახალი?
- რა გააკეთე?
- რა მასალით გააკეთე? რა ტექნიკით გააკეთე?
- რისთვის სჭირდება შენობას „ჩონჩხი“?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 36)
36. მხიარული შენობები
ზღაპრული არქიტექტურა
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული და სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა:
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: არქიტექტურა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ილუსტრაციები: ანტონიო გაუდის არქიტექტურა.

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:

ბუნების სილამაზით მოხიბლულმა არქიტექტორმა შენიშნა, რომ ბუნებაში არ არსებობს სწორი ფორმები. მან თავის არქიტექტურაში ნიჟარების, ტალღების, გირჩების, მცენარეების, თევზების და ცხოველების ფორმები გამოიყენა.

აქტივობა 1. დაკვირვება, სურათების აღწერა:
დააკვირდი

- რას ხედავ?
- რა შეამჩნიე?
- რითია გამორჩეული ეს სახლები?
- რა განწყობას ქმნის მათი სიჭრელე?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა:
დააკვირდი სურათებს.

- რა ფორმებს ხედავ?
- რას გაგონებს ეს ფორმები?
- რომელი სახურავი წააგავს გველეშაპს?
- რომელი ჰგავს ნამცხვარს?

აქტივობა 3.
მასალა: ფერადი ქაღალდები, მუყაო, მუყაოს რულონები, პლასტილინი, მოსართავები (ღილები, მძივები, ლენტები, ნიჟარები და სხვა, მაკრატელი, წებო.

პლასტილინით, მუყაოთი და ფერადი ქაღალდებით გააკეთე ზღაპრული სახლის მოდელი.
გაალამაზე სახლი ფერადი დეტალებით.

- რა მასალას გამოიყენებ სახლის მოსართავად?

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 36)
36. სათამაშო მოედანი
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა.

რესურსები – სახელმძღვანელო, ნიკი დე სენ-ფალის სათამაშო მოედნის მოდელი.
იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:

- გისეირნიათ პარკში?
- რა ნახეთ იქ? რა შეამჩნიეთ? რა დაგამახსოვრდათ?
- იცით, რომ პარკებს არქიტექტორები გეგმავენ?

ბავშვებისთვის სათამაშო მოედნის მოწყობის იდეა დაახლოებით 200 წლის წინ გერმანიაში გაჩნდა. საბავშვო მოედნები ჯერ სკოლების ეზოში გააკეთეს, შემდეგ პარკებშიც.

თანამედროვე საბავშვო მოედნებზე ბევრ საძრომიალოს წააწყდები.
კიბე, სასრიალო, გვირაბი, საქანელა, აიწონა-დაიწონა – ეს ისაა, რისი დანახვაც ბავშვებს ყველაზე მეტად უხარიათ.
მოდით, ერთად გავაკეთოთ სათამაშო მოედნის პატარა მოდელი.

აქტივობა 1. სათამაშო მოედანი, ჯგუფური პრაქტიკული სამუშაო, კონსტრუირება:

მასალა: მოსწავლის არჩევანით: მუყაოს მოზრდილი ნაჭერი ან დიდი ფორმატის ქაღალდი, მუყაო, მუყაოს რულონები, ფერადი ქაღალდები, პლასტილინი, ხის ჩხირები. საწრუპი მილები, ზონარი და სხვა; მშრალი და თხევადი წებო, სკოჩი, მაკრატელი.

დააკვირდი ნიმუშებს:
ფერადი ქაღალდით გააკეთე სასრიალო, საქანელა, კარუსელი, აიწონა-დაიწონა და საბავშვო მოედნის სხვა გასართობი კონსტრუქციები.

- დაჭერით ფერადი ქაღალდის ფურცლები გრძელ ზოლებად;
- დაკეცეთ, მოღუნეთ, დაგრიხეთ. მიეცით მათ სხვადასხვა ფორმა;
- სპირალივით დასაგრეხად დაახვიეთ ზოლი ფანქარზე და გამოაძრეთ ფანქარი;
- თავსა და ბოლოში წაუსვით წებო;
- დააწებეთ თქვენი ნამუშევრები ერთ დიდ ფორმატზე.

* ყოველი მოსწავლე გააკეთებს სათამაშო მოედანზე განსათავსებელი კონსტრუქციის ერთ მოდელს – სასრიალოს, საქანელას, საძრომიალოს და სხვა, შემდეგ ყველა მოსწავლის ნამუშევარი განთავსდება ერთ დიდ ფორმატზე.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა ისწავლეთ დღეს ახალი?
- რა გააკეთეთ?
- როგორ გააკეთეთ?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად მეგობრების ნამუშევრებიდან და რატომ?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

მხიარული ქალაქი

კომპლექსური დავალების პირობა:

მუყაოს კოლოფებით, რულონებით, პლასტილინით და სხვა მასალით გააკეთე არქიტექტურული მაკეტი: სახლი, კოშკი ან ტაძარი.

გაუკეთე შენობას სხვადასხვა ფორმის (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) დეტალები (სახურავი, კარი, ფანჯარა...).

მოხატე ან აპლიკაციის ტექნიკით გაალამაზე შენი მაკეტის კედლები და სახურავი. ამისთვის გამოიყენე შენ მიერ შეგროვილი სხვადასხვა მასალა (ღილები, საცობი, საწრუპავი, ნიჟარები, მარცვლეული და სხვა), ხაზი (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), ან მრგვალი, ოთხკუთხა, სამკუთხა და სხვა ფორმები.

შენი და მეგობრების მიერ გაკეთებული მაკეტებით ააწვეთ მხიარული ქალაქი.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა გააკეთე?
- რა მასალით „ააშენე“ სახლი?
- რა მასალით „გადახურე“ მაკეტი?
- რა და რა ტექნიკა გამოიყენე მაკეტის შესაქმნელად? რით გაალამაზე ნაკეთობა?
- რაში გამოიყენე ხაზები და ფორმები?
- რით გაალამაზე შენობა?
- რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რა გააკეთე პირველად, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა 6. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: არქიტექტორობანა
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ხაზი, ფორმა.

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნებები: კონსტრუირება, მოდელირება, აპლიკაცია.

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნებები: არქიტექტურა

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა: „მხიარული ქალაქი“
მხიარული ქალაქი
კომპლექსური დავალების პირობა:
მუყაოს კოლოფებით, რულონებით, პლასტილინით და სხვა მასალით გააკეთე **არქიტექტურული** მაკეტი: სახლი, კოშკი ან ტაძარი.
გაუკეთე შენობას სხვადასხვა **ფორმის** (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) დეტალები (სახურავი, კარი, ფანჯარა...).
მოხატე ან აპლიკაციის ტექნიკით გაალამაზე შენი მაკეტის კედლები და სახურავი. ამისთვის გამოიყენე შენ მიერ შეგროვილი სხვადასხვა **მასალა** (ღილები, საცობი, საწრუპავი, ნიჟარები, მარცვლეული და სხვა), **ხაზი** (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), ან მრგვალი, ოთხკუთხა, სამკუთხა და სხვა ფორმები.
შენი და მეგობრების მიერ გაკეთებული მაკეტებით ააწვეთ მხიარული ქალაქი.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

აკავშირებს არქიტექტურას საკუთარ ცოდნასთან, ავლებს პარალელს იმასთან, რაც უნახავს ცხოვრებაში. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის შენობის სივრცით მაკეტს. მაკეტი გაფორმებულია მრავალფეროვანი დეტალებით. ცალკეული დეტალების ერთობლიობით ქმნის მთლიან, შეკრულ ნამუშევარს. კომბინირებულად იყენებს მრავალფეროვან მასალას (პლასტილინი, მუყაო და სხვ.) და მასალის შესაბამის ტექნიკას (კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა, აპლიკაცია). მიზანმიმართულად იყენებს სახვით\ საშუალებებს – ხაზს (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), და ფორმას (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული სივრცითი) გამოყენებით გადმოსცემს სამშენებლო მასალის იერს (აგური, ქვა, ჩალა, ხე, კრამიტი...).

წარდგენისას ვრცლად მსჯელობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე და საკუთარ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	ავლებს პარალელს არქიტექტურასთან, რაც უნახავს ცხოვრებაში. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის შენობის სივრცით მაკეტს. მაკეტი გაფორმებულია რამდენიმე დეტალით. იყენებს რამდენიმე მასალას (პლასტილინი, მუყაო და სხვ.) და მასალის შესაბამის ტექნიკას (ხატვა, კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა, აპლიკაცია). იყენებს სახვით საშუალებებს – ხაზს (სწორი, მრუდი, ტალღოვანი, ზიგზაგი), და ფორმას (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული). წარდგენისას საუბრობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	აქვს ზედაპირული წარმოდგენა არქიტექტურის შესახებ. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის შენობის სივრცით მაკეტს. მაკეტი მწირადაა გაფორმებული ორიოდ დეტალით. იყენებს ორიოდ სახვით საშუალებას – ორიოდ ხაზს და ფორმას. წარდგენისას აღწერს საკუთარი ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა არქიტექტურის შესახებ. დავალების პირობის შესაბამისად ქმნის შენობის სივრცით მაკეტს. მაკეტი არ არის გაფორმებული დეტალებით. წარდგენისას აღწერს საკუთარი ნამუშევრის ორიოდ ელემენტს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 7

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: ჩემი საყვარელი წიგნი
გაკვეთილები 37– 41 საათების სავარაუდო რაოდენობა: 4+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ამბები, შთაბეჭდილებები, ემოციები შემიძლია სხვადასხვა დარგის და ჟანრის ნამუშევარში გადმოვცე;
- მეც შემიძლია სხვებს ვუამბო ნახატებით ამბავი და ამისთვის გამოვიყენო მრავალფეროვანი **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები – საშუალებები:
ხაზი (მსხვილი, წვრილი, კონტური).
ფერი (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი).

ხერხები:
ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ძირითადის გამოყოფა.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება: – ხატვა.

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები
ქვეცნებები – მხატვრობა.

საკითხი – ნახატებით ამბის თხრობა.
საკვანძო შეკითხვები:

- როგორი იქნებოდა საბავშვო წიგნი ილუსტრაციების გარეშე?
- რატომ ასურათებენ საბავშვო წიგნებს?
- ვინ ასურათებს საბავშვო წიგნებს?
- რას გვიამბობენ ილუსტრაციები ადამიანების და გარესამყაროს შესახებ?
- როგორ შემიძლია სხვებს ნახატებით ვუამბო ისტორია, ამბავი, ზღაპარი?
- რა გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა დამეხმარება ამაში?

კომპლექსური დავალება – დავალების პირობა:
„დასურათებული ამბები“
დაასურათე რომელიმე ზღაპარი, მოთხრობა ან შენი საკუთარი თავგადასავალი. დახატე სამი სხვადასხვა ეპიზოდის ილუსტრაცია – ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. გადმოეცი პერსონაჟების სახასიათო ნიშნები (გარეგნობა, ჩაცმულობა). ამბის გმირები დახატე მოქმედების შესაბამის პოზებში. დახატე მოქმედება ოთახში ან პეიზაჟის ფონზე.
გამოიყენე ნახატში სხვადასხვა ტიპის **ხაზი, კონტური**.
გამოყავი მთავარი გმირი რაიმე ხერხით: ფერით, ზომით, კონტურით.
დაამატე ნახატს ისეთი დეტალები, რომლებიც დააზუსტებენ ამბის შინაარსს.
*ფონისთვის საკმარისია, თუ მოსწავლე დახატავს პეიზაჟის ან ოთახის ერთ-ორ ელემენტს.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)** ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა ამბავი დაასურათე? ამბის რომელი ეპიზოდების **ილუსტრაციები დახატე**? ● ვინ არის ამბის მთავარი გმირი? ● რა ხერხით გადმოეცი მთავარი გმირის სახასითო ნიშნები? ● რა **ხერხით გამოყავი** მთავარი გმირი? ● რა ჩააცვი შენს გმირებს? ● რას აკეთებენ ამბის გმირები? ● როგორ პოზებში დახატე ისინი? ● სად ხდება მოქმედება – ოთახში თუ პეიზაჟის ფონზე? ● რა დეტალებით გაამდიდრე ნახატი? ● რაში დაგეხმარა **კონტური**? ● რაში დაგეხმარა **ფერი**? ● რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი? რა გამოგივიდა კარგად? ● რა გააკეთე პირველ რიგში, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე? ● რას შეცვლიდი, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
რატომ ასურათებენ წიგნებს? რაში გეხმარება სურათები?
წიგნებს მხატვრები ასურათებენ. ამ ნახატებს ილუსტრაცია ეწოდება.
ილუსტრაცია წიგნს ალამაზებს, იქ მოთხრობილ ამბებს აცოცხლებს.
ჩვენ ხშირად ვიმახსოვრებთ ზღაპრის ავტორის ვინაობას და გვავიწყდება ვნახოთ, ვინ დაასურათა იგი.
არადა, წიგნის შეყვარებაში სწორედ ნახატები გვეხმარებიან.

- რომელია შენი საყვარელი წიგნი?
- იცი, ვინ დაასურათა ის?
- შენ გიცდია ამბის დასურათება?

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები 37 – 41;
ილუსტრაციები: მე-17 ს. -ის ინდოელი (მოგოლი) მხატვრის, უსტად (ოსტატ) მანსურის მინიატურები;
კარლო კოლოდის „პინოქიო“, ილუსტრაციები: ენრიკო მაძანტი, კარლო კიოსტრი, ჩარლზ კოპლანდი; შარლ პეროს „წითელქუდა“, ედვარდ გორეი; ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის „მაკნატუნა“, დაგმარ ბერკოვა; ჰანს ქრისტიან ანდერსენის „მახინჯი იხვის ჭუკი“, თეო ვან ჰოიტემა; გუსტავ დორეს ილუსტრაციები შარლ პეროს ზღაპრებისთვის („ცეროდენა“, „წითელქუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“); ფელიქს ლორიუს ილუსტრაციები შარლ პეროს ზღაპრებისთვის; ოსკარ შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისთვის“ და მოთხრობისთვის „იავნანამ რა ჰქმნა“.
ინტერნეტ რესურსები:
გუსტავ დორეს ილუსტრაციები:
https://charles-perraults-fairy-tales.weebly.com/books/charles-perraults-fairy-tales-by-gustave-dore;
ფელიქს ლორიუს ილუსტრაციები:
https://animationresources.org/illustration-felix-loriouxs-tales-from-perrault/;
ოსკარ შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისთვის“ და მოთხრობისთვის „იავნანამ რა ჰქმნა“.
https://burusi.wordpress.com/2009/09/30/oskar-shmerling-3/;
ბალთუსის (ბალთაზარ კლოსოვსკი დე როლა) გრაფიკული ნამუშევრები.
https://www.cocosse-journal.org/2020/07/mitsou-drawings-by-balthus-1921.html?m=0;

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- შესაძლებელია, ამბის მოყოლა სიტყვების გარეშე?
- რისთვის ასურათებენ წიგნებს?
- რომელია შენი საყვარელი წიგნი?
- როგორი ნახატებია ამ წიგნში?
- დაგიხატავს, შენი საყვარელი წიგნის გმირი?
- დაგიხატავს რაიმე ამბავი?

ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 37)

37. წიგნი სამყაროს შესახებ

ილუსტრაციის ხელოვნების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (მარტივი გეომეტრიული და სივრცითი (3D));
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა.

რესურსები: სახელმძღვანელო, ილუსტრაციები: მე-17 ს.-ის ინდოელი (მოგოლი) მხატვრის, უსტად (ოსტატ) მანსურის მინიატურები.

იდეები აქტივობებისთვის:

წინარე ცოდნის გააქტიურება და სამოტივაციო შეკითხვები:

- რომელია შენი საყვარელი წიგნი?
- რატომ მოგწონს ეს წიგნი სხვებზე მეტად?
- იცი, ვინ დაასურათა შენი საყვარელი წიგნი?
- როდესაც ახალ წიგნს გადაფურცლავ, სანამ კითხვას დაიწყებ, როგორ ხვდები, რაზეა ის?
- რატომ ასურათებენ წიგნებს?
- რაში გეხმარება სურათები?

სამოტივაციო საუბარი:

წიგნებს მხატვრები ასურათებენ. ამ ნახატებს ილუსტრაცია ეწოდება.
ილუსტრაცია წიგნს ალამაზებს, იქ მოთხრობილ ამბებს აცოცხლებს.

ჩვენ ხშირად ვიმახსოვრებთ ზღაპრის ავტორის ვინაობას და, გვავიწყდება ვნახოთ, ვინ დაასურათა ის. არადა, წიგნის შეყვარებაში სწორედ ნახატები გვეხმარებიან.
ამ თავში ამბების დასურათებას ისწავლი.

მე-16 საუკუნეში, ინდოეთის ხელმწიფის კარზე მსახურობდა მხატვარი, სახელად უსტად (ოსტატი) მანსური. ხელმწიფემ მხატვარს ინდოეთის ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა აღწერა დაავალა. მხატვარმა მთელი ინდოეთი მოიარა და ინდოეთის ბუნების სურათებით დიდი ალბომი შეადგინა.
უსტად მანსურის ალბომში არის ერთი უცნაური ჩიტის ჩანახატი. ეს ფრინველი დიდი ხნის წინ კუნძულ გოაზე ბინადრობდა. მას დრონტი ერქვა. დრონტები დიდი ხანია გადაშენდნენ. ხელმწიფის ინიციატივა რომ არა, ვერასდროს გავიგებდით, როგორ გამოიყურებოდა ფრინველი დრონტი.

აქტივობა 1. კვლევა, პრაქტიკული სამუშაო:

მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან მარკერები.

- მოიძიე ცნობები (წაიკითხე საბავშვო წიგნებში, გამოკითხე უფროსები) ცხოველების და ფრინველების შესახებ – რომელი მათგანი ბინადრობს საქართველოში?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო:

- დაათვალიერე შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველების სურათები;
- შეარჩიე და დახატე ერთ-ერთი.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვა:

- რა გვიამბო უსტად მანსურის ნახატებმა?
- რა შეიტყვე საქართველოს ბუნების შესახებ?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 38)

38. ილუსტრაცია

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: საშუალებები: ხაზი (მსხვილი, წვრილი, კონტური); ფერი (ღია და მუქი). ხერხები: ძირითადის გამოყოფა.
2. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, კარლო კოლოდის „პინოქიო“, ილუსტრაციები:
ენრიკო მაძანტი, კარლო კიოსტრი, ჩარლზ კოპლანდი; შარლ პეროს „წითელქუდა“, ედვარდ გორეი; ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის „მაკნატუნა“, დაგმარ ბერკოვა; ჰანს ქრისტიან ანდერსენის „მახინჯი იხვის ჭუკი“, თეო ვან ჰოიტემა.

იდეები აქტივობებისთვის:

ლექსიკონი:

ილუსტრაცია – ბეჭდური წიგნის დასურათების ხელოვნება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

დაათვალიერე სხვადასხვა მხატვრის მიერ დახატული ილუსტრაციები.

- რომელი ზღაპრები დაასურათეს მხატვრებმა?
- ზღაპრის რომელი გმირი იცანი?

*პასუხები იხ. რესურსების ჩამონათვალში

აქტივობა 2. მსჯელობა.

- რომელია შენი საყვარელი წიგნი?
- იცი, ვინ დახატა მისთვის ილუსტრაციები?
- რატომ მოგეწონა ეს ნახატები?

აჩვენე მეგობრებს შენი საყვარელი წიგნი.

- როგორი წიგნები მოსწონთ შენს მეგობრებს?

აქტივობა 3. დაკვირვება, მსჯელობა.

დააკვირდი „წითელქუდას“ ილუსტრაციებს.

- რამ მიიპყრო შენი მზერა? (წითელმა ლაქამ).
- რა ხერხით გამოკვეთა მხატვარმა ზღაპრის მთავარი გმირი? (ფერით).

აქტივობა 4. დაკვირვება, მსჯელობა.
დააკვირდი „მახინჯი იხვის ჭუკის“ ილუსტრაციას.

- რა დახატა მხატვარმა ხაზით? (იხვების ბუმბული, ღობე, ბალახი)
- რა დახატა კონტურით? (ყველა იხვი)
- რა გამოკვეთა ფერით? (მახინჯი ჭუკი, იხვების თათები და ნისკარტები)

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 38, ორი განშლა)
38. მეზღაპრე და მხატვრები
საუბარი ილუსტრაციაზე
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: საშუალებები: ხაზი (მსხვილი, წვრილი, კონტური); ფერი (ღია და მუქი). ხერხები: ნამუშევარში ძირითადის გამოყოფა.
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა.
3. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო
პირველი განშლა: ფრანგი მხატვრის, გუსტავ დორეს ილუსტრაციები შარლ პეროს ზღაპრებისთვის („ცეროდენა“, „წითელქუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“)
https://charles-perraults-fairy-tales.weebly.com/books/charles-perraults-fairy-tales-by-gustave-dore;

იდეები აქტივობებისთვის:
პირველი განშლა:
სამოტივაციო საუბარი:
ფრანგი მწერლის, შარლ პეროს ზღაპრები მსოფლიოს ყველა ბავშვმა იცის.
მის ზღაპრებს ყოველი მხატვარი თავისებურად ასურათებს.
ფრანგი მხატვრის, გუსტავ დორეს ილუსტრაციები ორასი წლისაა, მაგრამ ამ მხატვრის გაფორმებული წიგნები დღემდე იბეჭდება.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება:
წაიკითხე ზღაპრების სათაურები.

- იპოვე შესაბამისი ილუსტრაცია: „მძინარე მზეთუნახავი“, „ჩექმებიანი კატა“, „ცეროდენა“, „კონკია“, „წითელქუდა“.

პასუხი: „ცეროდენა“, „კონკია“, „ჩექმებიანი კატა“, „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „წითელქუდა“.

აქტივობა 2, 4. მსჯელობა:

- რა არის გუსტავ დორეს ნახატებში განსაკუთრებული?
- რა შეგრძნებას იწვევს შენში ეს ნახატები?
- ზღაპრების რომელი ეპიზოდები ამოიცანი?
- იპოვე ერთი ზღაპრის ორი ილუსტრაცია (კონკია).

აქტივობა 3. დაკვირვება, ინტერპრეტაცია, მსჯელობა.
დააკვირდი ილუსტრაციებს.

- რა ხატია წინ და რა ხატია უკან?
- რა ხერხით გამოყო მხატვარმა მთავარი გმირები? (განათებით).
- რომელ სურათშია ფონზე პეიზაჟი და რომელზე ოთახი?
- როგორი დეტალებით გაამდიდრა მხატვარმა ნახატი?
- რა შეგრძნებას იწვევს მუქი და ღია ადგილების მკვეთრი სხვაობა?
- რა მოგწონს ან რა არ მოგწონს გუსტავ დორეს ილუსტრაციებში?

მეორე განშლა:
რესურსები: ფრანგი მხატვრის, ფელიქს ლორიუს ილუსტრაციები შარლ პეროს ზღაპრებისთვის
https://animationresources.org/illustration-felix-loriouxs-tales-from-perrault/

აქტივობა 5, 6. დაკვირვება:

- შარლ პეროს რომელი ზღაპარი დაასურათა ფელიქს ლორიუმ? (კონკია და წითელქუდა)
- გაიხსენე ზღაპრის შინაარსი.
- რომელი ეპიზოდია გამოტოვებული?
- რა აცვიათ გმირებს?
- რას მიგვანიშნებს მათი ჩაცმულობა?
- რითია გამოკვეთილი ფიგურები?
- რა ჰქვია ასეთ ხაზს?
- როგორი იქნებოდა ეს ნახატები კონტურის გარეშე?
- სურათების მიხედვით გვიამბე ზღაპარი.

აქტივობა 7. პრაქტიკული სამუშაო (შუალედური):
მასალა: სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები.

ფერადი ფანქრებით დახატე წითელქუდას ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია.

- დახატე სურათი კონტურული ხაზით.
- რას დახატავ წინ, რას დახატავ ფონზე?
- დახატე გმირები მოქმედების შესაბამის პოზებში.
- რას ჩააცმევ შენს გმირებს?
- გამოყავი მთავარი გმირი რაიმე ხერხით: ფერით, ზომით, კონტურით.

აჩვენე ნახატი მეგობრებს და უამბე:

- რომელი ეპიზოდი დაასურათე?
- რა დახატე წინ და რა დახატე უკან?
- როგორი პოზებით გადმოეცი გმირების მოქმედება?
- როგორი კოსტიუმები ჩააცვი შენს გმირებს?
- რა ხერხით გამოყავი მთავარი გმირი?
- რაში დაგეხმარა კონტური?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 40)

40. დედა ენა

ვინ დაასურათა დედა ენა?

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – ქვეცნება: ხატვა.
2. სახვითი ხელოვნების დარგები – ქვეცნება: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ოსკარ შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისთვის“ და მოთხრობისთვის „იავნანამ რა ჰქმნა“.
https://burusi.wordpress.com/2009/09/30/oskar-shmerling-3/;

იდეები აქტივობებისთვის:

წინარე ცოდნის გააქტიურება:

- გახსოვს, ვინ დაწერა დედაენა?

სამოტივაციო შეკითხვა:

- იცი, ვინ დაასურათა ეს წიგნი?

აქტივობა 1. დაკვირვება:

რომელ სიმღერას გაგონებს ეს ნახატი? („ჭრელი პეპელა“)

- დააკვირდი სურათს და ამოიცანი, რომელი ზღაპარია მასზე გამოსახული? („რწყილი და ჭიანჭველა“).

აქტივობა 2. ინტერპრეტაცია:

- დააკვირდი, რომელი ილუსტრაცია ასახავს ქვემოთ მოყვანილ ეპიზოდს?

„მაგდანმა მხიარულად ჩაიკრა გულში ქეთო, უნდოდა, გაექარვებინა მისი მწუხარება, მაგრამ ამაოდ. ქეთო ყინულივით ცივად, ქვასავით უგრძნობლად იყო...“

- როგორი განწყობა სუფევს სურათებზე?
- რაზე ემჩნევათ პერსონაჟებს უგუნებობა? (პოზა, მიმიკა)
- აღწერე გმირების ჩაცმულობა;
- აღწერე ოთახი.
- როგორ დასრულდა ეს ამბავი?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო:
მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები.

წაიკითხე იაკობ გოგებაშვილის რომელიმე მოთხრობა.
დახატე მოთხრობის ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია.

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 41)
41. ბალთუსის კატის ამბავი
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა.
2. სახვითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ბალთუსის (ბალთაზარ კლოსოვსკი დე როლა) მიერ 11 წლის ასაკში შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები.
https://www.cocosse-journal.org/2020/07/mitsou-drawings-by-balthus-1921.html?m=0;

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
ბავშვობაში, ცნობილმა მხატვარმა ბალთუსმა, ქუჩაში კატა იპოვა. სახლში მიიყვანა და მიცუ დაარქვა. კატა და ბიჭი დამეგობრდნენ. ერთხელ მიცუ პატრონს გაეპარა და დაიკარგა. ბიჭუნამ ძალიან იდარდა. ბალთუსმა თავისი დარდი ნახატებით გამოხატა. მიცუს ამბავს მან 40 ნახატი მიუძღვნა. ერთმა მწერალმა კი ეს ნახატები წიგნად გამოსცა.

აქტივობა 1. დაკვირვება, ინტერპრეტაცია, პრაქტიკული სამუშაო:
მასალა: სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები.

- დააკვირდი ბალთუსის ნახატებს;
- სურათების მიხედვით მოყევი ბიჭუნასა და კატის თავგადასავალი;
- დახატე ნახატი კეთილი დასასრულით.

აქტივობა 2. დაკვირვება, ინტერპრეტაცია:
დააკვირდი ბალთუსის ავტოპორტრეტს.
მხატვარმა ამ სურათს „კატების მეფე“ დაარქვა.

- დააკვირდი კატის პოზას. რას გვაჩვენებს ამით ბალთუსი?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა. (რა ვისწავლე?)

„დასურათებული ამბები“
დაასურათე რომელიმე ზღაპარი, მოთხრობა ან შენი საკუთარი თავგადასავალი;
დახატე სამი სხვადასხვა ეპიზოდის ილუსტრაცია – ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული;

- გადმოეცი პერსონაჟების სახასიათო ნიშნები (გარეგნობა, ჩაცმულობა);
- გმირები დახატე მოქმედების შესაბამის პოზებში;
- დახატე მოქმედება ოთახში ან პეიზაჟის ფონზე;

- გამოყავი მთავარი გმირი რაიმე ხერხით: ფერით, ზომით, კონტურით;
- დაამატე ნახატს ისეთი დეტალები, რომლებიც დააზუსტებს ამბის შინაარსს.

წარდგენისას ისაუბრე:

- რა ამბავი დაასურათე? ამბის რომელი ეპიზოდების ილუსტრაციები დახატე?
- ვინ არის ამბის მთავარი გმირი?
- რა ხერხით გადმოეცი მთავარი გმირის სახასიათო ნიშნები?
- რა ხერხით გამოკვეთე მთავარი გმირი?
- რა ჩააცვი შენს გმირებს?
- რას აკეთებენ ამბის გმირები?
- როგორ პოზებში დახატე ისინი?
- სად ხდება მოქმედება – ოთახში თუ პეიზაჟის ფონზე?
- რა დეტალებით გაალამაზე ნახატი?
- რაში დაგეხმარა კონტური?
- რაში დაგეხმარა ფერი?
- რა იყო მუშაობის დროს ყველაზე რთული? ყველაზე ადვილი?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რა გააკეთე პირველად, როგორ განაგრძე მუშაობა და რით დაასრულე?
- რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა 7. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: ჩემი საყვარელი წიგნი
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ხაზი, ფერი, ძირითადის გამოყოფა

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება: ხატვა

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება: მხატვრობა (გრაფიკა)

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა: „დასურათებული ამბები“

- დაასურათე რომელიმე ზღაპარი, მოთხრობა ან საკუთარი თავგადასავალი. დახატე სამი სხვადასხვა ეპიზოდის ილუსტრაცია – ამბის დასაწყისი, შუა და დასასრული. გადმოეცი პერსონაჟების სახასიათო ნიშნები (გარეგნობა, ჩაცმულობა). გმირები დახატე მოქმედების შესაბამის პოზებში. დახატე მოქმედება ოთახში ან პეიზაჟის ფონზე;
- გამოიყენე ნახატში სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური. გამოყავი მთავარი გმირი ფერით, ზომით, კონტურით;
- დაამატე ნახატს ისეთი დეტალები, რომლებიც დააზუსტებენ ამბის შინაარსს.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად ხატავს ამბის სამი საკვანძო ეპიზოდის ილუსტრაციას. სხვადასხვა ტიპის ხაზით და ფერით გადმოსცემს პერსონაჟების მრავალ სახასიათო ნიშანს (გარეგნობა, ჩაცმულობა). ხატავს გმირებს მოქმედების შესაბამის მრავალფეროვან პოზებში. ცალკეულ პერსონაჟებს აჩვენებს ერთმანეთთან კავშირში. გამოსახავს მოქმედებას პეიზაჟის ან ოთახის ფონზე. მთავარ გმირს გამოყოფს განსხვავებული ხერხით. ნახატს ერთვის მრავალი დეტალი, რომლებიც აზუსტებენ ამბის შინაარსს.

წარდგენისას ვრცლად მსჯელობს ნამუშევრის შესრულების ეტაპებზე და საკუთარ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად ხატავს ამბის სამი ეპიზოდის ილუსტრაციას. სხვადასხვა ტიპის ხაზით და ფერით გადმოსცემს პერსონაჟების რამდენიმე სახასიათო ნიშანს (გარეგნობა, ჩაცმულობა). ხატავს გმირებს მოქმედების შესაბამის პოზებში. ფონზე ხატავს პეიზაჟის ან ოთახის რამდენიმე ელემენტს. მთავარ გმირს გამოყოფს განსხვავებული ხერხით. ნახატს ერთვის რამდენიმე დეტალი, რომლებიც აზუსტებენ ამბის შინაარსს. წარდგენისას მსჯელობს ნამუშევრის შესრულების რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების პირობის თანახმად ხატავს ამბის სამი ეპიზოდის ილუსტრაციას. ხაზებით და ფერებით გადმოსცემს პერსონაჟების ორიოდ სახასიათო ნიშანს (გარეგნობა, ჩაცმულობა). გმირების მოქმედება პოზებში არ იკითხება. ფონზე ხატავს პეიზაჟის ან ოთახის ორიოდ ელემენტს. მთავარ გმირს გამოყოფს განსხვავებული ხერხით. ნახატს აკლია დეტალები, რომლებიც დააზუსტებდნენ ამბის შინაარსს. წარდგენისას აღწერს საკუთარ ნამუშევარს. ჩამოთვლის რამდენიმე სახვით საშუალებას. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ქმნის ნახატს, რომელშიც არ იკითხება ამბავი. პერსონაჟებს აკლიათ სახასიათო ნიშნები. ყველა გმირის პოზა ერთნაირია. ფონი ცარიელია, არ აზუსტებს მოქმედების ადგილს. მთავარი გმირი არ ამოიცნობა. წარდგენისას ჩამოთვლის საკუთარი ნამუშევრის რამდენიმე დეტალს. ესმის ორიოდ ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

სასურველია, ნასწავლი მასალის შეხსენება და შეკითხვების დასმა მოხდეს სასწავლო წლის დასასრულს, მოსწავლეების მიერ საკუთარი პორტფოლიოს საბოლოო მოწესრიგების პროცესში, რათა მათ ერთიანად დაინახონ წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები.

ან, შესაძლებელია, ეს გაკვეთილი წარიმართოს თამაში-ვიქტორინას სახით.

- რა არის მხატვრობა;
- როგორ ნახატს ჰქვია პეიზაჟი;
- რა ხატია ნატურმორტზე;
- რა არის პორტრეტი;
- რას გვიამბობს პორტრეტი;
- რა არის არქიტექტურა;
- რა არის ილუსტრაცია;

- შენ უკვე იცი სხვადასხვა მასალის გამოყენება;
- პორტრეტების და პეიზაჟების დახატვა, ნახატებით ამბების მოყოლა;
- ისწავლე აპლიკაციის კეთება;
- გააკეთე პლასტილინის და მუყაოს სათამაშოები;
- არქიტექტურული მაკეტები;
- დახატე ზღაპრების ილუსტრაციები;

- რისი კეთება მოგეწონა ყველაზე მეტად?
- რა გამოგდის კარგად?

თამაში-ვიქტორინა

გაიხსენე:

- როგორი ფერები არსებობს?
- რა შეუძლია ფერს?
- როგორი ფორმები არსებობს?
- რაში გვეხმარება კონტური?
- რას გვაჩვენებს ფონი?

ნამუშევრის შექმნა უამრავი ხერხით შეიძლება.

გაიხსენე:

- რა და რა ტექნიკით გიმუშავია?
- რომელი მოგეწონა და რატომ?
- რა შეუძლია ფანქარს, პასტელს, საღებავს და მარკერებს?
- რისი კეთება ისწავლე?
- რა ნივთები დაამზადე?